ISSN 0130—1624

ეროვნული
ბიბლიოთეკა



დროშა

ოქტომბერი
№ 10 1989

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფოტო მიხეილ კვირიკაშვილისა.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1989 წლის 19 და 20 სექტემბერს მიმდინარეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი, რომელმაც განიხილა გარდაქმნის, პარტიისა და ხალხის ცხოვრების კარდინალური საკითხები.

დღის წესრიგი: 1. სკკპ მორიგი XXVIII ყრილობის მოწვევის შესახებ. 2. თანამედროვე პირობებში პარტიის ეროვნული პოლიტიკის შესახებ.

პლენუმმა პირველ საკითხზე მოისმინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა და მიიღო დადგენილება, რომლის საფუძველზეც სკკპ მორიგი XXVIII ყრილობა მოწვეული იქნება 1990 წლის ოქტომბერში.

მეორე საკითხზე — „თანამედროვე პირობებში პარტიის ეროვნული პოლიტიკის შესახებ" პლენუმმა მოისმინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება, რომლის გამოც კამათში გამოვიდა 36 ამხანაგი.

პლენუმის მონაწილეებს დაურიგდათ მასალები, რომლებშიც განზოგადებულია წინადადებანი და შენიშვნები სკკპ პლატფორმის პროექტის განხილვის დროს რომ შეიტანეს პარტიულმა კომიტეტებმა, კომუნისტებმა, სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, მეცნიერებმა ეროვნებათშორისი ურთიერთობის პრობლემებზე, ამ საკითხებზე მშრომელთა წერილების მიმოხილვა, აგრეთვე მთელი რიგი საცნობარო მასალები.

პლენუმზე შექმნილი სარედაქციო კომისიის სახელით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ა. მედვედევი.

პლენუმმა მოიწონა შემოსული წინადადებების, შენიშვნებისა და გამართული განხილვის გათვალისწინებით დახვეწილი სკკპ პლატფორმის პროექტი „პარტიის ეროვნული პოლიტიკა თანამედროვე პირობებში" და მიიღო ამ საკითხზე 1989 წლის 20 სექტემბრის დადგენილება, რომელშიც ნათქვამია:

„1. მიღებულ იქნეს სკკპ პლატფორმა „თანამედროვე პირობებში პარტიის ეროვნული პოლიტიკის შესახებ" და ჩაითვალოს მისი თანამიმდევრული განხორციელება ყველა პარტიული ორგანიზაციის, თითოეული კომუნისტის ამოცანად.

პლენუმს მიაჩნია, რომ პლატფორმის იდეები და დებულებანი, რომლებმაც ფართო მოწონება პოვეს საზოგადოებაში, შეესაბამება გარდაქმნის საარსებო მოთხოვნილებებს და შეიძლება გახდეს საბჭოთა ფედერაციის განახლების, ყველა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის განვითარებისა და სხვა ეროვნული პრობლემების გადაწყვეტის საფუძველი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ყველა ხალხის საკეთილდღეოდ.

2. პლენუმი ავალებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, შეიმუშაონ პარტიულ ორგანიზაციათა საქმიანობის კონკრეტული გეგმები იმ იდეების სარეალიზაციოდ, რომლებიც მოცემულია სკკპ პლატფორმაში „პარტიის ეროვნული პოლიტიკა თანამედროვე პირობებში".

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

დასასრულ, პლენუმზე დასკვნითი სიტყვით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი, რომელმაც აღნიშნა: „ვაფართოებთ რა რესპუბლიკების, რეგიონების, ავტონომიური ფორმირებების პოლიტიკურ და ეკონომიკურ უფლებებს, დამოუკიდებლობას, ვიწვევთ რა დეცენტრალიზაციის პროცესებს, რათა გამოვიყენოთ ადამიანთა ენერგია, ყველა ხალხის ძალისხმევა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაში, ამავე დროს ჩვენ იმით ვხელმძღვანელობთ, რომ პარტიამ კიდევ უფრო მეტად უნდა შეასრულოს მაკონსოლიდირებელი როლი, გააერთიანოს ყველა ხალხი გარდაქმნის მიზნების გარშემო".

619
1989
ეროვნული ბიბლიოთეკა

მამულო, საუკარელო!

დროშა

№ 10 ოქტომბერი. (394). 1989

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ნ ო მ ე რ შ ი ა:

ოთარ ჭინჭლაძე. შინაური მიმოხილვა.

დავით ყანდაშვილი. ვაზის უძველესი ანაბეჭდი.

ილია რურუა. კულაშელი გულგული.

მალხაზ რადიანი. ეტტა.

კლიმენტ ელიზბარაშვილი. ფასწარმოქმნა.

არნოლდ გეგეჭკორი. ტყის სკულპტურა.

საინტერესო გამოცემები.

მიხეილ გიჟიმყრელი. მთიდან ყვირილი ხარისა.

გულიკო გუჯაბიძე. ჰუჯაბი უხმობს კვლავ შთამომავალს.

გივი ჩხიკვიშვილი. მონადირის სიკვდილი.

გია ტორიაშვილი. საველე ფოსტა № 40586

სპარტაკ რეხვიაშვილი. ქართველი პარტიზანი ქალი პარიზში.

სერჯო ტურინე. მოდის ტოტემი (მოთხრობა).

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა", 1989 წ.

მთავარი რედაქტორი

ოთარ ჭინჭლაძე

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ.

შინაური მიმოხილვა

ეროვნული და განმათავისუფლებელი — მძიმე ჯვარი — ვაი, სირცხვილო! — გიფვევთ სასწავლებლად — ქართული პარლამენტი

ამ ბოლოდროინდელი ჩვენი საშინაო ცხოვრების ყველაზე დამახასიათებელი და გამოკვეთილი თავისებურება უთუოდ არის ქართველების მზარდი ეროვნული თვითშეგნება და მასთან დაკავშირებული მტკივნეული პრობლემების წარმოჩენა, რასაც თან გამწვავებული, ხოლო ზოგჯერ ტრაგიკული სიტუაციების შექმნაც ახლავს ხოლმე.

ასეთმა სიტუაციებმა იმაშიც იჩინეს თავი, ერთა შორის ურთიერთობის გართულებას რომ ეტყვიან, და არც ეს უნდა იყოს მაინცდამაინც გასაკვირი. გასაკვირი, მე თუ მკითხავთ, ის არის, როცა ჩემს კაცთმოყვარე ბუნებას „მოსული“ ბოროტად გამოიყენებს, მასპინძლობას დაიჩემებს, მერე აქეთაც შემოგედავება, ჯიბეშიც ჩაგიყოფს ხელს და თავად რომ არ გყოფნის, იმის წართმევასაც მოინდომებს.

აი, ეს არის გასაკვირი.

მაგრამ ქართველი კაცის ბუნებას არც სხვისთვის რაიმის წართმევა ახასიათებს და, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, არც იმის უსასრულოდ მოთმენა, რასაც ზოგიერთი „მოსული“ ჩვენს მიწა-წყალზე ბედავს და კადრულობს.

არავის არ უნდა გაუკვირდეს ეს.

მაინც უკვირთ.

არადა, ჩემს საკუთარ მიწა-წყალს, კარ-მიდამოს, სახლს მედავებიან, ხოლო როცა ხმას ამოვიღებ და ავყვირდები, გაკვირვებული შემომხედავენ: — ნეტავი, ამ კაცს რა აყვირებსო?

ვიყვირებ კი არა, მეტსაც ვიზამ, თუ ყველა წამგლეჯი და მოძალადე თავის საკუთარ კანში არ დაეტია და თავისსავე მიწა-წყალს არ მიაშურა.

ამ საქმეს ადრე თუ გვიან ბოლოს და ბოლოს მაინც მოევლება, მაგრამ იმათ რა ვუყოთ, ვინც ეს თავსატეხი გაგვიჩინა?

ილია:

— დღეს ისეთი დროა, რომ თვითეული ჩვენთაგანი უნდა განკითხულ იყოს და პასუხისმგებელი ჩვენი ქვეყნის წინაშე.

დღეს მართლაც დადგა ასეთი დრო და ვისაც ქართული მიწა-წყლის ყიდვა-გაყიდვა თავის ხელობად გაუხდია, ყველა და უკლებლივ ყველა, უნდა განკითხულ იქნეს: გუშინდელიც, გუშინწინდელიც და დღევანდელიც. დღევანდელი კერძოდ და განსაკუთრებით — ვინც არ უნდა იყოს იგი: სოფლის საბჭოს თუ კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საბჭოთა მეურნეობის დირექტორი თუ საპასპორტო სამსახურის თანამშრომელი, პარტიული თუ საბჭოთა მუშაკი. სხვაც ყველა.

რაღაც არ ეტყობა, რომ რესპუბლიკის ამჟამინდელი ხელმძღვანელობა ამ საქმეს ჯეროვანი პასუხისმგებლობით ეკიდებოდეს. თითქოს განიხილეს კიდეც მიწათსარგებლობის დარღვევისა და კანონსაწინააღმდეგო მოქმედების საკითხები, თითქოს გამოავლინეს კიდეც დამნაშავენი და მითითება-საყვედურებიც ჩამოარიგეს, თითქოს კიდევ აპირებენ რაღაცას, მაგრამ...

არა, ასე არაფერი გამოვა: თითოეული ჩვენგანი უნდა განკითხულ იქნეს.

ეს არის და ამას გულისხმობს ჩვენი პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე და მხოლოდ ეს შეიძლება გახდეს იმის საიმედო გარანტი, რომ არაფერი მსგავსი არასოდეს აღარ განმეორდეს.

მეორდება.

დღესაც-მეთქი, ვამბობ.

თბილისში, № 2 სამშენებლო ტრესტთან შეიქმნა კოოპერატივი „შატილი“, რომელმაც აზერბაიჯანის სსრ ტაუზისა და ყაზახის რაიონებიდან უკვე მოიწვია აზერბაიჯანული ეროვნების მუშები. ისინი ჯერჯერობით იქვე, მშენებლობის ტერიტორიაზე ცხოვრობენ, მაგრამ ალბათ მალე ცოლ-შვილსა და ნაცნობ-მეგობრებსაც ჩამოიყვანენ.

რა ვქნათ?

ვის დავაბრალოთ საკუთარი უბედურება?

ვინ მოსთხოვს პასუხს, უმკაცრესსა და დაუნდობელს, ამ დღევანდელ „შატილელ“ კოოპერატორებს?

ისიცაა მხედველობაში მისაღები, რომ ეროვნულობა ამავე დროს თავისთავადობის გამომხატველი და დამადასტურებელი ცნებაა. ქართველი კაცისათვის კი ეს ორი ცნება საკუთარი მეობისა და კაცობის მაჩვენებელიცაა. ამიტომაა, რომ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი და მრავალტანჯული ისტორია ეროვნული და განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაა არსებითად და უპირატესად.

ძალიან შორსაც ნუ წავალთ.

იქიდან დავიწყოთ, როცა 1801 წელს რუსეთმა შეიერთა საქართველო.

ილია:

— ერთს უდიდესს საპოლიტიკო საგანს რუსეთისას შეადგენს ჯერ ის, რომ სხვადასხვა ტომის ერნი როგორ უნდა მოეწყონ შინაობაში სათითაოდ, და მერე — როგორ უნდა მოთავსდენ სახელმწიფოსთან. ყველას უნდა წინასწარ სცოდნოდა, რომ დღეს თუ ხვალე ეს საგანი თავისას მოითხოვდა; რომ დღესა თუ ხვალე რუსეთი იძულებული შეიქმნებოდა დაენიშნა საზღვარი სახელმწიფო მოქმედებისა საზოგადოდ და ეროვნებისა ცალკედ და ერთისა და მეორის მოედანი ცალ-ცალკე შემოეფარგლა.

რაღაც მსგავსების მაგვარი რამ მომეჩვენა იმდროინდელ და ამჟამინდელ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის ვითარებასა და სიტუაციებს შორის.

ამიტომ გავაგრძელებ ილიასთან საუბარს.

ილია:

— ქართველობამ, აქამდის ერთმანეთზედ დაშორებულმა, აქამდის ცალ-ცალკედ მოარულმა, იგრძნო, რომ ეგრეთ ყოფნა მწვადსაც სწვავს და შამფურსაც, თითოეულს კაცსაც ავნებს და მთელს საზოგადოებასაც; იგრძნო ეს ტკივილი და მალამოც უპოვა. იგრძნო, რომ ღონე ერთობაშია, ერთად თავ-მოყრაში, ერთად საერთო უღელის წევაში, ერთმანეთის მხარის მიცემაში. იგრძნო და გაშალა ხელი კიდეც, რომ დაქსაქსული, გაფანტული, ცალ-ცალკედ მოარული ღონე-ქონებითი თუ გონებითი — ერთს კვალში ჩაეყენებინა საერთო და საყოველთაო მოქმედებისათვის.

— ამ ბოლო დროს, ჩვენდა სანუგეშოდ და სასიხარულოდ, მრავალი სხვადასხვა საზოგადოება სდგება ხოლმე ჩვენში სხვადასხვა საჭიროების დასაკმაყოფილებლად. ყოველს მათგანს ჩვენის ცხოვრების არსებითის ძარღვისათვის წაუვლია ხელი. ყოველ ამისი მოქმედნი კატასავით არა ჩხავიან, არა ყვირიან საჯაროდ: აი, რა კაცები ვართო. უფრო ბევრი მათგანი სადმე კუნჭულშია მიმალული და ქვეყნის სიყვარულით აღტკინებული იბრძვის, მეცადინეობს, მხნეობს, საქმობს.

— ერთობის მღაღადებელთა არ გაუცუდდათ ღაღადება და აი, დღეს იმასა ვმკით, რაც ყმაწვილკაცობის უანგარო ღვაწლით წინა წლებში დათესილი იყო.

ყმაწვილკაცობის უანგარო ღვაწლით ახლაც, გარდაქმნისა და ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების განახლების ამჟამინდელ ვითარებაშიც, რაღაც ახალი მართლაც დაითესა, მაგრამ საერთო მიზნის მიღწევისათვის პრაქტიკული გზების ძიებისა და პოვნის ტაქტიკა ილიასდროინდელ ხანაში უთუოდ უფრო გამოკვეთილი და რეალისტურიც იყო. ამიტომ შედეგიანიც.

თუნდაც იმდროინდელი საზოგადოებების სახელწოდებებისა და მიზანდანიშნულების თვალსაზრისითაც.

ამიტომ მგონია მე, რომ ხვნა-თესვის განვლილი კამპანია ჩვენ ისე და იმდაგვარად ვერ ჩავატარეთ, როგორც ეს გვჭირდებოდა და შეგვეძლო კიდეც.

საქმე ის არის, რომ ზოგჯერ პრეტენზიულ სახელწოდებებიანი სხვადასხვა ოპოზიციური პარტიებისა და საზოგადოებების დაარსება-მომრავლებას დავეხარბეთ, ხოლო სამოქმედო პროგრამა და მისი პრაქტიკულად განხორციელების რეალური გზები ჯერჯერობით მიუკვლეველი დაგვრჩა.

მისი გაჩერება არ ხერხდება.

ამიტომ, მოვწესრიგდეთ იქნება, და უკეთესად, ვიდრე აქამდე, ვიაროთ მომავალი თუნდაც ოთხი წლის სავალ გზაზე.

ის ვინც ეროვნული დამოუკიდებლობისა და რეალური სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისაკენ მოგვიწოდებს, ისიც უნდა იცოდეს, რომ ამ მიზნის მიღწევა დაქსაქსულობის, ქიშპისა და მარტოოდენ საკუთარი თავის გამოჩენისათვის ზრუნვის პირობებში ძალიან გაჭირდება და შეუძლებელიც არის. შესაძლოა ამის გამოცაა, რომ უკვე შექმნილმა საზოგადოებებმა ჯერჯერობით ვერ მოიპოვეს საყოველთაო აღიარება და სასურველი ავტორიტეტი. ის კი არადა, მათი მისამართით აქა-იქ უკვე უკმაყოფილების ხმებიც კი გაისმის.

ასეთი ხმები დამაფიქრებელია და ახალფეხადგმულ ეროვნულ მოძრაობას ავტორიტეტის შელახვის რეალურ საშიშროებას უქადის.

აბა, დასაშვებია, როცა ახალგაზრდების ჯგუფი ამა თუ იმ საზოგადოების სახელით ავტობუსს გააჩერებს, მერე მგზავრებს ჩამოყრის და მძღოლს ფიზიკურად შეეხება, ე. ი. სცემს? ან კიდევ მუქარით შევა ვინმესთან და უკმეხი ტონით განაცხადებს: ჩვენ „ისინი“ ვართ და ესა და ეს, ასე და ასე უნდა გააკეთოთ, თორე მიტინგს მოვაწყობთო.

ან თუნდაც გაფიცვისაკენ მოწოდება და ასეთი დიალოგი:

— რაო?

— რაოდა, უნდა გაიფიცოთ.

— მერედა, განაცდურს ვინ აანახლაურებს?

— ეგ ჩვენი საქმე არ არის.

ასეთი შემთხვევები უკვე იყო.

იყო დაშინების, შანტაჟის და ამბობენ გამოძალვის შემთხვევებიცო.

არა მგონია, რაიმე გვარგოს ასეთი გზით სიარულმა.

რატომ რჩება ასეთი მოვლენები თუნდაც არაფორმალურ გაერთიანებათა წევრებისა და ხელმძღვანელების ყურადღების მიღმა?

დროზეა საჭირო შევნიშნოთ ყოველივე ეს და გავფრთხილდეთ.

არც „არევა“ რომ ჰქვია, ისაა საკადრისი საქციელი, მაგრამ კადრულობენ ნასვამ და აღგზნებულ მდგომარეობაში მყოფი ახალგაზრდები.

არ ვარგა ეს.

არც ის ვარგა, როცა ერთმანეთს პირში ბურთს ვჩრით და განსხვავებული აზრის თქმის უფლებას ვართმევთ, ხოლო სიტყვით ადამიანის უფლებების დაცვას, სამართლიანობის დამკვიდრებას და კანონიერების დაცვას ვქადაგებთ.

მე მაინც მგონია, რომ „დაღვინდება“ და დაიწმინდება თავისთავად პროგრესული ხასიათის ახალგაზრდული მოძრაობა, რომელიც დღევანდელმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ტალღამ შვა და მთელი ჩვენი ძალების გაერთიანების გზით საბოლოო შედეგიც მიღწეული იქნება.

ჯერჯერობით კი დიდად დასანანია, რომ გამოღვიძებული და უკეთესი მომავლის მაძიებელი ახალგაზრდების ნაწილში მაინც განაგრძობს არსებობას ბოროტების საწყისი. ეს მით უფრო გაუგებარია და დამაფიქრებელიც, რომ დიდძალი ახალგაზრდობა შემობრუნდა დღეს სარწმუნოებისაკენ და იმედგაცრუებული რწმენას ეძიებს. არაფერია ცუდი ამაში. ახალგაზრდული ხალხმრავლობაა წირვა-ლოცვაზე. მასობრივი გახდა ჯვრის ტარება. რელიგიური წიგნების კითხვა. მაგრამ ნუთუ ესეც მოდაა ჩვენთვის, არსის მარტოოდენ გარეგნული, ფორმალური მხარე და არა ქრისტიანული მცნებებისადმი ერთგულების დასტური. რად გინდა ჯვარი, თუ მას თან არ ახლავს შენიანი სათნოება, ქველმოქმედება, მოყვასისადმი თანაგრძნობა, მასთან თანადგომა?

„მძიმე ჯვარი“ არცთუ ისე იოლი და მსუბუქი სატარებელია.

არადა, კახიანი ხარაბაძეს კლავს, აბაშიძე კაციტაძეს, კოტრიკაძე ღამბაშიძეს და ა. შ. თბილისში, წყნეთის ქუჩაზე სამტრედიელმა ნუკრი ტრაპაიძემ მუცელში დანით სასიკვდილოდ დაჭრა ზურაბ მაისურაძე. მერე ერთი მათგანი სასაფლაოსაკენ მიმავალ გზას გაუყენეს, ხოლო მეორეს ციხის კარი გაუღეს. მათი თანატოლები კი გაყვირიან, ძლიერსა და თავისუფალ საქართველოს გაუმარჯოსო. ჭირს ყოველივე ამის ახსნა, ჩადენილი ბოროტმოქმედების მიზეზებში გარკვევა. წყალტუბოს რაიონის სოფელ ოფურჩხეთში ღამით ნიღბებაფარებული ოთხი ქუთაისელი ბოროტმოქმედი შევარდა ჯანელიძეების სახლში და ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა ოჯახის დიასახლისი — მასწავლებელი ქალი.

გახშირდა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა. გაიზარდა ისეთი მძიმე დანაშაულობები, როგორიცაა მკვლელობა, დაჭრა, ყაჩაღური თავდასხმა, ძარცვა, ქურდობა, ავტომანქანების გატაცება, ავტოავარიები და სხვ.

თუ არც ღმერთი გწამს და არც კაცი ხარ — ადამიანი, მაშინ რაღად გინდა ჯვარი?

ჯვარზე საცმელი ჩვენ შინაური მტერი გვყოლია, რომელმაც ვერც ყურადღება შეიფერა და ვერც მოფერება. ჩვენ კი ამ დროს ერთმანეთს არ ვინდობთ, რაღაც ვერ გაგვიყვია და ზოგი ალთას ვართ და ზოგი ბალთას.

ქვემო ქართლში მომხდარი ამბები მთელი საქართველოსთვისაა ცნობილი. ქ. მარნეულში ტაქსის რიგში დაწყებული პროვოცირებული შეკამათება, რომლის ინიციატორი ადგილობრივი ახალგაზრდა აზერბაიჯანელი იყო, შემდეგ სერიოზულ კონფლიქტში გადაიზარდა, რასაც შეიძლება ტრაგიკული შედეგებიც კი მოყოლოდა, რომ არეულობა ადგილობრივ სვანთა სახლებიდან არ შეენიშნათ და ქართველ ახალგაზრდებს დროულად არ მიმველებოდნენ. შემდეგ მოვლენები ასეთნაირად განვითარდნენ: ... სისწრაფით შეგროვილი აზერბაიჯანული ეროვნების ... ბელთა ჯგუფი დაიძრა ქართველთა საცხოვრებელი სახლებისაკენ და დაუშინა წინასწარ მომზადებული ქვები, ბოთლები, რკინის ნაჭრები, ჩაამსხვრია მინები და რამდენიმე ადამიანიც დაშავდა. ვითარება თხუთმეტიოდე ქართველი მამაკაცის გამძლეობამ და ვაჟკაცობამ განმუხტა, მაგრამ გამძვინვარებული ბრბოს თარეში დილამდე მაინც არ შეწყვეტილა. დილაადრიან კი მარნეულის ცენტრში შეიკრიბა თითქმის ათიათასიანი არასანქციონირებული მიტინგი, რომლის მონაწილეებმა სხვა პრეტენზიებთან ერთად წამოაყენეს ქვემო ქართლის ავტონომიზაციის აბსურდული მოთხოვნა. კერძოდ, მარნეულის, დმანისის, ბოლნისის, გარდაბნის რაიონების ავტონომიაში გაერთიანება და მის ცენტრად ქ. რუსთავი დაასახელეს. ამასთან ერთად, მოითხოვეს დასახლებული რაიონების ხელმძღვანელი კადრების აზერბაიჯანელებით შეცვლა, ქართველი მოსახლეობის გასახლება, არეულობაში მონაწილე დაკავებულ აზერბაიჯანელთა დაუყოვნებლივ განთავისუფლება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გატანაზე აკრძალვის გაუქმება და ა. შ. მარნეულის ინციდენტის პარალელურად აღმაშფოთებელ ექცესებს ჰქონდა ადგილი გარდაბანში, ბოლნისში და დმანისში, სადაც შეუტიეს ადგილობრივ ქართველ მოსახლეობას, გაიძახოდნენ ქართველთა შეურაცხმყოფელ სიტყვებს.

ეს იყო წინასწარ დაგეგმილი, შორსგამიზმული აქცია, რომელსაც ორგანიზებული ჯგუფი განაგებდა. ქვემო ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანული მოსახლეობის გამოსვლები გაგრძელებაა წლების განმავლობაში იმ ყოვლად გაუმართლებელი ცალმხრივი დათმობებისა, რომელსაც ეწეოდნენ რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობა, სამართალდამცველი ორგანოები. ჩვენ ყველანი ვეწეოდით. ამიტომაც გადააჭარბეს ყოველგვარ საზღვარს აქ გამეფებულმა უკანონობამ, დარღვევებმა, განუკითხაობამ.

და, ვაი სირცხვილო!

ამ მძიმე განსაცდელის ჟამს, როცა ყველას ერთიანი ძალისხმევა გვემართა და ერთმანეთის მხარდაჭერა, დახმარება, მდგომარეობის შემსუბუქება გვევალებოდა, აზერბაიჯანელთა მიერ დაცაოიელებულ თბილისის ბაზრებში ისევ ქართველებმა განიზრახეს ხელის მოთბობა და თითქმის ყველაფერზე ასწიეს გასაყიდი ფასები. ბევრ ჩვენგანს იმ დღეებში ჭამის მადაც კი დაეკარგა, მაგრამ შემაზრზენი იყო თავად ეს უსინდისო და მზაკვრული სიხარბე.

ძე მომეჩვენა, რომ ისევ ქართველების ხელითვე მწვანილში და კიტრსა თუ პამიდორში, ერთი სიტყვით ხილ-ბოსტნეულშიც კი. საქართველო იყიდებოდა, და კიტრის ფასად იყიდებოდა.

გაუძლებს კია ყოველივე ამას ჩემი ქვეყანა?

უნდა გაუძლოს.

მაგრამ. როგორ?

დრო გავიდა, ხოლო ქვემო ქართლში დადგმული „სპექტაკლის“ არც რეჟისორები, არც მთავარი როლების შემსრულებლები და არც სხვა ვინმე იქ მცხოვრებ აზერბაიჯანელთაგან არ დასჯილა. არც პოლიტიკური შეფასებაა მიცემული და ისევ ძველებურ ძმობასა და მეგობრობაზე ვაგრძელებთ შაბლონურ მასლაათს ისე, თითქოს არაფერიც არ მომხდარიყოს და ყველაფერი ორიოდე უსაქმური ხულიგანის ბრალი ყოფილიყო.

არ არის ეს ასე და მოვეშვათ საკუთარი თავის მოტყუებას.

განუკითხაობა ახალ დანაშაულს შობს.

სწორედ ამიტომ არ დააყოვნა თვითმარქვია აფხაზების უტიფარმა და ყოველგვარ ჭკუა-გონებას მოკლებულმა შემზარავად მტრულმა აქციამ.

ესეც მოვითმინოთ?

არა!

მოთმინებითი და ისტორიული ძმობისა და მეგობრობის გულგაწყალებული, უნაყოფო და არსებითად საკუთარი ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო ქადაგებით საქმეს უკვე აღარ ეშველება.

სათქმელი პირდაპირ უნდა ითქვას.

ის, რაც სოხუმსა და მის მახლობელ ქართულ მიწა-წყალზე აფხაზებმა მოიმოქმედეს, არავის აღარ ეპატიება. არავის და არასოდეს. ეს ჩვენ მტკიცედ, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ხმამაღლა უნდა განვაცხადოთ და გავაკეთოთ ის, რაც გამორიცხავს მსგავსის გამეორების ყოველგვარ შესაძლებლობას.

მოვეშვათ უნდა ბოლოს და ბოლოს ყველაფრის ექსტრემისტებისათვის გადაბრალებას და უმაკრესი პასუხი ვაგებინოთ ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელებს, ადმინისტრა-

ციული ორგანოების მუშაკებს, ინტელიგენციის წარმომადგენლებს და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თანამშრომლებს, რომლებსაც უმძიმესი დანაშაული ჩაიდინეს: ე. წ. „აფხაზური წერილის“ სამარცხვინო ფურცლები უკვე მეორედ შეიღება ქართველთა სისხლით და დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს.

მაგრამ არა ისე, როგორც ეს აქამდე ხდებოდა.

არა.

ასე აღარ გამოვა.

„დროშა“. 1989 წელი. ივნისი. № 6.

— „აფხაზური წერილის“ პრობლემა კვლავ ჩვენი დღევანდელი და ხვალინდელი დღის საზრუნავად რჩება. ამას ვერავინ და ვერსად ვერ გავექცევით. საქმე არც ერთი კაცის მეორეთი შეცვლით მთავრდება. ჩვენს მაშინდელ ხელმძღვანელობას უფრო ღრმად და საფუძვლიანად უნდა ჩაეხედა ამ საკითხში და მარტოოდენ მიმოხილვითი ხასიათის ინფორმაციით არ უნდა შემოფარგლულიყო. სათქმელი დროულად უნდა ითქვას. გასაკეთებელიც თავის დროზე უნდა გაკეთდეს. არ გაკეთებულა“.

დასანანია, მაგრამ ფაქტია, რომ რესპუბლიკის ადრინდელი და, სამწუხაროდ, ამჟამინდელი ხელმძღვანელობის სრულიად გაუმართლებელმა უმოქმედობამ შექმნილი ვითარება უკიდურესად გაამწვავა და საბოლოოდაც მოუთმენელი გახადა.

ისევ დატრიალდა სისხლიანი ტრაგედია.

გზის ძებნა კი მაშინ დავიწყეთ, როცა ურემი გადაბრუნდა.

დროული თადარიგია საჭირო.

„დროშა“. 1989 წელი. ივნისი. № 6:

— „ვინ იცის, იქნებ „აფხაზური წერილი“ მთიანი ყარაბახის ამჟამინდელი ადმინისტრაციული მმართველობის „აფხაზური ვარიანტის“ წარუმატებელი ცდაც იყო. ვიღაც ვიღაცეებს იქნება აწყობდეს კიდეც ეს და იქნება ვიღაცეები მიუხვდნენ კიდეც ამ პროვოკაციულ ჩანაფიქრს? ვინ იცის“.

მაშინ არა და ახლა უკვე დანამდვილებით ვიცი.

ვიცი იმიტომ, რომ სწორედ ამისაკენ სულწასული მისწრაფება ამოვიკითხე მოსკოვური გაზეთების აფხაზურ კორესპონდენციებში. აბა დავაკვირდეთ: „სოხუმში ბევრნი, მათ შორის ავტონომიური რესპუბლიკის პასუხისმგებელი მუშაკები, თვლიან, რომ ვითარების უკეთესობისაკენ შეცვლა მხოლოდ საგანგებო მდგომარეობის შემოღებას, კომენდანტის საათის დაწესებას შეუძლია“ („იზვესტია“, 19 ივლისი, 1989 წ. №200). აი, კიდევ: „აფხაზეთის სახალხო ფორუმის ხელმძღვანელობამ ორჯერ მიმართა ხელისუფლების ორგანოებს თხოვნით კომენდანტის საათისა და საგანგებო მმართველობის რეჟიმის შემოღების შესახებ“ („კომსომოლსკაია პრავდა“, 20 ივლისი 1989 წ., № 166). და სოხუმში სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების უფროსის გენერალ-პოლკოვნიკ ი. შატალინის პრესკონფერენციაზე მიცემული შეკითხვა: შემოღებული იქნება თუ არა სამხედრო მდგომარეობა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე?

როგორ მოგწონთ?

ასე რომ, ყველაფერს ე. წ. „ექსტრემისტებს“ ნუ გადავაბრალებთ. ისინი მხოლოდ გაბოროტებული და გუნებაარეული შემსრულებლები იყვნენ.

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მაშინდელი მდივანი საიდ ტარკილი ა. წ. 1 ივლისს სოხუმში გამართულ შეხვედრაზე ამბობდა, რომ ჩვენი დელეგაცია მოსკოვს საგანგებო მისიით გაემგზავრაო. იქ ჩვენ შევხვდითო და ვესაუბრეთ სკკპ პოლიტბიუროს წევრებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებს ვ. მედვედევს და ვ. ჩებრიკოვს. აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეს რ. ნიშანოვს და ამ საბჭოს ეროვნული პოლიტიკისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარეს გ. ტარაზევიჩს.

კი მაგრამ, რა მოხდა ასეთი და რაში იყო საქმე?

ამ საუბრების დროსო, განაგრძობს ს. ტარკილი, ყურადღების ცენტრში აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთლიანობის შენარჩუნებისა და ამ საკითხზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა კომისიის აფხაზეთში გაგზავნის საკითხები იყო.

აი, ასე.

თვითონ საქართველოს მთლიანობის წინააღმდეგი არიან და სულ უნდათ საქართველოდან გამოყოფა, შენ კი აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ქართული სექტორის გამოყოფასაც არ განებებენ და „დასახმარებლად“ მოსკოვიდან ჩამოჰყავთ კომისია. ეს აფხაზეთის სახალხო პოეტმა, სოციალისტური შრომის გმირმა ბაგრატ შინკუბამაც დაადასტურა და შეკრებილთ სიხარულით ამცნო, რომ აფხაზეთში ესოდენ ავტორიტეტული კომისიის გამოგზავნის საკითხი გადაწყდაო.

ახლა ვნახოთ, ვინ შეიყვანეს ამ ავტორიტეტულ კომისიაში, რომელსაც, წარმოდგენაც კი ჰირს, უნდა გადაეწყვიტა საკითხი იმის თაობაზე, შეიძლება თუ არა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს თავისი ფილიალი ჰქონოდა სოხუმში.

აი, ვინ ჩამოვიდა საქართველოს ზღვისპირა ქალაქში [illegible] უდგა აფხაზეთის ასს რესპუბლიკისაგან სახალხო [illegible] მართვის შესწავლას: კრასნოიარსკის სამხარეო საბჭოს აღმასკომის ჩრდილოეთისა და არქტიკის ხალხების განყოფილების გამგე, გაზეთ „იზვესტიის“ საკუთარი კორესპონდენტი კრასნოიარსკის მხარესა და ტუვის ასს რესპუბლიკაში, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სლავთმცოდნეობისა და ბალკანისტიკის ინსტიტუტის სექტორის გამგე, უკრაინის სსრ კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე და სსრ კავშირის სახალხო განათლების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

მაინც რა დაადგინა კომისიამ?

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალად აფხაზეთის უნივერსიტეტის ქართული სექტორის გამოყოფა შეიძლება ჩაითვალოს დროებით ღონისძიებადო გასული სასწავლო წლის ნორმალურად დამთავრებისათვის, ხოლო დღეისათვის კი მან თავისი დანიშნულება ამოწურა და პრაქტიკულად არღვევს სასწავლო პროცესსო, ხელს არ უწყობსო ეროვნული ურთიერთობის განმტკიცებასო და საერთოდ „თქვენი“ ფილიალის გახსნა „ჩვენი“ საქმეა და ესეც იცოდეთო.

ელაპარაკე ახლა ამათ.

გააგებინებ რამეს?

ვერა.

ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი, აგრეთვე მოთმინებასაც.

„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ უნდა და ამაში ნურავინ, ნურც შინაური და ნურც გარეშე მტერ-მოყვარე ნუღარ შეგვეცილება.

კმარა!

ჩვენ უკვე ვიცანით და ვიცით, ვინ არის მტერი და ვინ მოყვარე.

შინაც და გარეთაც.

მაგრამ, ერთსაც და მეორესაც დახვედრა უნდა. მტერს მტრულად, მოყვარეს მოყვრულად. ეს კი ჩვენზეა დამოკიდებული. შესაძლოა, ამის გამოც სწორედ იმ დღეებში ვიგრძენი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით გაჩაღებული ტრადიციული კამპანიის მთელი სიმწვავე და საშიშროებაც: „გიწვეთ სასწავლებლად“. განცხადება განცხადებას ცვლის, მიპატიჟება მიპატიჟებას, ტარდება ღია კარის დღეები, იბეჭდება საგამოცდო კომისიის წევრების პორტრეტები და ვინ იცის, კიდევ რა. სასწავლებლადაა მიწვეული ყველა.

კი, ბატონო!

კარგი საქმეა სწავლა.

თუ, რა თქმა უნდა, ისწავლი.

მაგრამ არავის არ გაგვახსენდა და ერთი სიტყვაც კი არ წამოგვცდენია იმის თაობაზე, რომ საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდობა ვიღაცამ სამუშაოდაც უნდა მიიწვიოს, მიიპატიჟოს და კარიც გაუღოს. სოფლადაც და ქალაქადაც. მიწაზე სამუშაოდაც და დაზგასთანაც, რამეთუ ერი, რომელიც მიწასა და დაზგას მოსწყდება, მისი მომავალი სერიოზული საფრთხის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს და უთუოდ აღმოჩნდება.

ახლა მაინც. განსაკუთრებით ახლა, როცა სოფლად საკუთრების სხვადასხვა ფორმა მკვიდრდება და მიწის მუდმივ სარგებლობაში გადაცემის პირობები იქმნება. სწორედ ახლა უნდა მიაშუროს ახალგაზრდობამ სოფელს და სოფელში იცხოვროს. საქართველო სოფლის გარეშე ვერ იარსებებს. ესეც ეროვნული და განმათავისუფლებელი მოძრაობის სამოქმედო პროგრამაა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არავის გვახსოვს — არც ფორმალებს და არც არაფორმალებს. სწორედ ის არ გვახსოვს, რაც საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის საფუძველთა საფუძველია.

სამაგიეროდ, ბევრს ვწერთ და ვლაპარაკობთ, ეროვნულ პარლამენტზე. უსაშველო რაოდენობის სხვადასხვა კომისიაც შეიქმნა, მაგრამ რად გინდა ეროვნული შემოსავლის გარეშე დარჩენილი უმიწაწყლო პარლამენტი, თუ მას ქაღალდისა და საწერკალმის მეტი აღარაფერი დარჩა.

ილია:

— ბევრი რამ გვაკლია ჩვენ, ქართველებს, მაგრამ ყველაზედ დიდი ნაკლი ის არის, რომ ჯერ-ხანად არ ვიცით საზოგადო საქმეს როგორ მივცეთ მხარი, როგორ მოვუაროთ, როგორ ვუპატრონოთ.

ეს თუ ვისწავლეთ, რაც გვაკლია, ის თუ შევივსეთ და შევიძინეთ, მაშინ ვერავინ და ვერაფერი ვეღარ დაგვამარცხებს.

სამშობლოსადმი ნაღდი სიყვარულით გამსჭვალული კაცია უძლეველი და გამარჯვებული.

ოთარ ჭინჭარაძე.

ვაზის უძველესი ანაბეჭდი

ვაზი ჩვენი პლანეტის უძველეს მცენარეთა ჯგუფს მიეკუთვნება.

საქართველოში ვაზის მრავალი ჯიში ხარობს და ქართველი ხალხი უძველესი დროიდან მისდევს მევენახეობას. საგულისხმოა, რომ ვაზის, როგორც უძველესი მცენარის დამადასტურებელი უტყუარი საბუთები, საქართველოშია მოპოვებული, ერთი მხრივ, ქისათიბის დიატომიტის საბადოს ქანში და მეორე მხრივ, ეგრეთწოდებულ გოდერძის წყებაში (გოდერძის გადასასვლელია).

ახალციხის რაიონში არსებული დიატომიტის საბადო, სადაც მოპოვებულია ვაზის ლერწისა და ფოთლების ანაბეჭდები, მესამეული პერიოდისაა და ათი მილიონი წლით განისაზღვრება. რაც შეეხება გოდერძის წყებას, ისიც მესამეულ პერიოდს ეკუთვნის, მაგრამ დიატომიტის საბადოზე უფრო ძველია და 15 მილიონი წლით განისაზღვრება.

რადგან ქისათიბის საბადომ შემოგვინახა ჩვენთვის საინტერესო ვაზის ანაბეჭდები, ბუნებრივად საინტერესო ხდება თვით დიატომიტის საბადოს ისტორია და დიატომიტის, როგორც ქანის წარმოშობა.

დიატომიტის სახელწოდება დაკავშირებულია ერთუჯრედოვან წყალმცენარე დიატომეასთან, რომლის უჯრედის გარსს კაჟის ჯავშანი აკრავს. დიატომეას უჯრედის გარსის ნაშთებს ეწოდება დიატომიტი, ის არის დანალექი ქანი და გარეგნულად ჰგავს ცარცს.

დიატომიტი ცუდად ატარებს ბგერასა და სითბოს, ამიტომ გამოიყენება საიზოლაციო მასალად.

დიატომიტმა დიდი გამოყენება პოვა როგორც სამშენებლო მასალამ.

საზღვარგარეთ დიატომიტის უდიდესი, აგრეთვე მესამეული ასაკის საბადოები მოიპოვება ცენტრალურ კალიფორნიაში (აშშ) და ალჟირში.

საქართველოს დიატომიტის საბადო საქვეყნოდაა ცნობილი მესხეთში. ერუშეთის ქედის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ქისათიბის დიატომიტის სახელით.

აი, როგორ ახასიათებს აკადემიკოსი ალექსანდრე თვალჭრელიძე ქისათიბის დიატომიტს: „დიატომიტი, რომელიც მესხეთში (ქისათიბში) მოიპოვება, თავისი ღირსებით კალიფორნიის საუკეთესო დიატომიტს კონკურენციას უწევს“.

როგორც ირკვევა, ქისათიბის დიატომიტით დაინტერესებულან მე-19 საუკუნის ბოლოს, ხოლო საბადოს შესწავლა და სამრეწველო ათვისება იწყება 1926 წლიდან.

საბადოს გეოლოგიური ძიება კი დაიწყო 1946 წელს გეოლოგიურმა სამმართველომ. გამოთვლილი და დამტკიცებულია ქისათიბის საბადოს მაღალხარისხოვანი, მათ შორის უნიკალური თეთრი სახეობის დიდი მარაგი.

მართალია, გეოლოგიური წელთაღრიცხვის განსაზღვრა მიახლოებითია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამა თუ იმ ქანის ასაკის დადგენა არ ხერხდებოდეს. ამაში დიდ როლს ასრულებს ქანებში ნახული ფაუნისა და ფლორის ანაბეჭდები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიატომიტის საბადოები საერთოდ, და კერძოდ, ქისათიბის საბადოც, მესამეულ პერიოდს განეკუთვნება. ამდენად ქანში ნახული ვაზის ანაბეჭდის ასაკიც ამის მიხედვით უნდა განისაზღვროს: ქვედა პალეოგენი და ზედა ნეოგენი. პალეოგენი ანუ ქვედა ნაწილი მესამეულის შედარებით ძველი დროა, ხოლო ნეოგენი ანუ ზედა კი შედარებით ახალი. თვით ნეოგენი კი თავის მხრივ ორ ეპოქად იყოფა: მიოცენური და პლიოცენური.

ქისათიბის დიატომიტის საბადო მიეკუთვნება პლიოცენურ ეპოქას. მსოფლიო და საბჭოური გეოლოგიური ქრონოლოგიით პლიოცენური ეპოქა განისაზღვრება 9 მილიონი წლით, თუ ამას დავუმატებთ მომდევნო მეოთხეული პერიოდის ხანგრძლივობას — ერთ მილიონ წელს, მაშინ ცხადი ხდება, რომ დიატომიტის საბადო დღევანდელობიდან დაშორებულია 10 მილიონი წლით.

გეოლოგიურ მეცნიერებაში ფაუნისა და ფლორის ანაბეჭდებს ნალექების ასაკის განსაზღვრისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს, რადგან ძველი ეპოქის ნალექებში უფრო მდიდარია ფლორისა და ფაუნის ანაბეჭდები და ისინი თანამედროვე სახესხვაობებს უახლოვდებიან.

მინდა აღვნიშნო, რომ 1967 წელს დიატომიტის ქანში ნაპოვნი ვაზის ანაბეჭდის შესახებ ვაცნობე აკადემიკოს ნიკო კეცხოველს, რომელმაც მერე ეს ფაქტი მხატვრულად აღწერა თავის წიგნში „არსიანიდან მოვდივარ, მომიხარია“. მომყავს ნაწყვეტი ამ წიგნიდან:

„აი, ამ პატარა დარბაზში გვაქვს ის მცენარენი, რომელნიც დიატომიტმა შემოგვინახა ანაბეჭდების სახით. ესაა სხვადასხვა მცენარის ფოთლები, ყლორტები, ნაყოფი. ტბაში ჩამდინარე წყალს მოჰქონდა დიატომეა და ილექებოდა ტბის ფსკერზე, თან მოჰქონდა აგრეთვე მდინარის პირას მოზარდი მცენარის ფოთოლი, ნაყოფი და ყლორტი. ისიც აქ ილექებოდა. ეს სწორედ ასეთი ანაბეჭდებია. როგორც ხედავთ, ცოტა არ არის...

— ეს ვაზის ფოთოლი არაა? — ეკითხა ერთ-ერთ ბიბლიოთეკა

— ... ბეჭდს ჩასცქეროდა.

— სწორედ!

— განა აქ ათი მილიონი წლის წინათ ვაზი ხარობდა?

— ამაზე დამაჯერებელ საბუთს ვერ ნახავ, აი, მეორე კარადა მთელი ლერწის ანაბეჭდია...“

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ვაზის ფოთლებისა და რქის (ლერწის) ანაბეჭდები, რომელიც სათუთად შემოგვინახა მესხეთში მდებარე ქისათიბის დიატომიტის საბადომ, ბუნებრივია, გვაფიქრებინებს მესხეთის მიწაზე უძველესი ვაზის გავრცელების არეალზე. ასევე უნდა ვივარაუდოთ, რომ ქისათიბში აღმოჩენილ ვაზს წინამორბედი ეყოლებოდა საბადოს შემოგარენშიც.

ამ მიმართულებით ძიების ყველა გზას გოდერძის უღელტეხილის მიდამოებში მივყავდით, რომელიც ადიგენის რაიონშია, ქისათიბის დიატომიტის საბადოდან ორმოცდაათამდე კილომეტრზე.

დიდი ხანია, გოდერძის უღელტეხილის მიდამოებში, პატარა მდინარე ძინძეს ორივე მხარეს სპეციალისტების ყურადღება მიიქცია გეოლოგების მიერ კარგად შესწავლილმა ეგრეთწოდებულ — გოდერძის წყების ვულკანურ ქანებში შემონახულმა „გაქვავებულმა ტყემ“. პალეობიოლოგებმა შეისწავლეს ფოთლოვანი, წიწვიანი და სუბტროპიკული მცენარეების — მუხის, თელის, წიფელის, ფიჭვის, ნაძვის, სოჭის, პალმის, ბზის გაქვავებული ნაშთები.

ამგვარად, ძიებამ გოდერძის უღელტეხილის მიდამოებში მიგვიყვანა და ნასოფლარ ძინძეს სიახლოვეს გოდერძის წყებამ გასაოცარი ნიმუში შემოგვთავაზა. სამხრეთისაკენ დახრილ, გაშიშვლებულ ქანებში შორიდანვე შეინიშნება მოყვითალო ფერის გაქვავებული ხის საკმაოდ სქელი, გადახრილი ნაწილი. იგი, ერთი შეხედვით, გარეგნულად ვაზს უფრო ჰამოჰგავს, ვიდრე სხვა რომელიმე მცენარის გაქვავებულ ნაწილს.

როგორც მოსალოდნელი იყო, ნიმუში ამოღებისთანავე რამდენიმე ნაწილად გაიყო სიგრძეზე მასში არსებული ბზარების გამო. გაქვავებული ხე გიგანტური ვაზის ღერო (შტამბი) აღმოჩნდა.

გოდერძის წყებაში ვაზის ღეროს ნაპოვნმა ნიმუშმა დაგვიდასტურა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე დაახლოებით 15 მილიონი წლის წინათ საკმაოდ დიდი ზომის ვაზიც ხარობდა.

გიგანტური ვაზი არც თანამედროვე პირობებში აკლია საქართველოს მიწა-წყალს. მათი სახეობები გვხვდება ხერთვისისა თუ ხიზაბავრის ტერასებზე, ხოლო ადიგენის რაიონის სოფელ სმადაში გიგანტური ზომის ვაზის ასაკი სამ საუკუნეს უახლოვდება.

მაშასადამე, ერთი მხრივ ქისათიბის დიატომიტის საბადოში მოპოვებული ვაზის ფოთლისა და ლერწის ანაბეჭდები, რომელთა ასაკი 10 მილიონი წლით განისაზღვრება და, მეორე მხრივ, გოდერძის წყებაში ნანახი ვაზის ღეროს ნიმუში, დაახლოებით 15 მილიონი წლისა, უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ვაზის სამშობლო საქართველო უნდა იყოს.

დავით ყანდაშვილი,
გეოლოგი

ქულაფელი ჯულაფული

ხიდი

ილია რურუა

ქუთაისის გუბერნიის ებრაულ თემთა სულიერ მამებს დანიელამ უჩვეულო საფიქრალ-სადარდებელი გაუჩინა. აღებმიცემობით, ცხოვრების მამა-პაპური წესისადმი ერთგულებით ცნობილი ოჯახის შვილს ნამდვილად მხარი ექცა. არა, ამ ლაზათიან, წარმოსადეგი გარეგნობის ახალგაზრდა კაცს არც მოსეს სჯული დაუგდია, არც სინაგოგის გზა დაიწყნია და არც თალმუდის შეგონებანი. უბრალოდ, იშვიათადი ლამაზი და ძლიერი ხმის პატრონი, სხვათა ჭკუაზე გადავიდა, ოჯახზე ლამის გული აიყარა, ვაჭრული მოდგმის კაცისათვის მიუტევებელი მკრეხელობა — ფულის დაუდევრად ფანტვა დასჩემდა. დღეს ქუთაისელი ერისთავებისა და მიქელაძეების სუფრაზე რომ ღიღინებდა, ხვალ ზუგდიდში ამოყოფდა თავს დადიანებთან, ზეგ — სენაკელ ჩიჩუებთან, მას ზეგ — ბანძელ ფაღავებთან ან ანჯაფარიძეებთან, ხან კიდევ სულაც არავინ უწყოდა მისი ასავალ-დასავალი.

არადა, თავიდან საამისო არაფერი ეტყობოდა დანიელას. სხვა ებრაელი ბიჭებივით ადრიდანვე დაიწყო ტრიალი მამის პატარა დუქანში, ნელ-ნელა ეუფლებოდა აღებმიცემობის საიდუმლოებებს, ზოგჯერ სოფლებსაც ჩამოივლიდა უფროსების დავალებით, რომ ნისიით წაღებული ფართლის ფულის გადახდა შეეხსენებინა ზოგიერთებისათვის. სიჭაბუკეში შესულს, მრავალმა ებრაულმა ოჯახმა დაადგა თვალი სასიძოდ. ხელიდან არ უშვებდნენ ლხინსა და ქორწილში მისი დაპატიჟების შესაძლებლობას. გლეხური ოჯახების ხშირი სტუმარიც გახდა, ბოლოს აღარც თავადაზნაურები თაკილობდნენ მასთან ერთად ქეიფს.

ცხოვრებით განებივრებული ადამიანების წრეში დანიელა, პირველ ხანებში, თავს რამდენადმე შებოჭილად გრძნობდა, მაგრამ მალე თვალსა და ხელს შუა შეიცვალა: ნამდვილი დარდიმანდი გახდა, მიხვრა-მოხვრით, სიტყვა-პასუხითა და ჩაცმულობით თავადიშვილებში ვერც გამოარჩევდით. ოღონდ ეს იყო, ტანზე კოხტად მომდგარ ჩოხაზე ხმლისა და სატევრის შემორტყმას ერიდებოდა, ემანდ რაიმე შარს არ გადავეყაროო. არადა, მართალი იყო. რამდენი ტკბილი პურობა და ლხინი ახსოვს, სულ პატარა წალაპარაკების გამო მიწევ-მოწევითა და ხანჯლების ტრიალით რომ დამთავრებულა.

მოსეს სჯულის გუშაგნი ვერაფრით შეგუებოდნენ იმას, რომ მათმა საიმედო დანიელამ არშინი ყანწებზე გაცვალა, კალათებგადაკიდებული ჯაგლაგი — ურა ცხენზე, ქათამ-ინდაურებსა და კვერცხებზე გროშების მოსაგებად ეზო-ეზო ხეტიალი — თავქეიფა ხალხთან ჰარი-ჰარალესა და დროის ტარებაზე. ისიც კი ეჩვენებოდათ — ებრაულ ნაღვლიან სიმღერებზე უკეთ ქართული სუფრულები და სატრფიალოები ეხერხებაო. მომღერალთა შორის მოშურნეებიც კი გაუჩნდა, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ იყო. მხოლოდ ბონდო მიქელაძე და კაკურია ფაღავა არ უდებდნენ ტოლს. სამივე ერთად რომ მოიღერებდა ყელს სუფრაზე, იმათ მოსმენას არაფერი სჯობდა. სხვები, უბრალოდ, პირში წყალს იგუბებდნენ ან საერთო ბანის მიცემას სჯერდებოდნენ. აღიარება ებრაელ კაცს სახუმარო სიმღერითაც დაუდასტურეს:

„დანიელა ურია
ჩვენში რამ გაურია...“

მოხდა ისე, რომ დანიელას ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმაც მოუსმინა ერთხელ. ეს შემთხვევა დაკავშირებული აღმოჩნდა ინცინდენტთან, როცა ცნობილ დარდიმანდს ბარამ ჩიჩუას ბანძაში ერთი მაღალი რანგის ჩინოვნიკი შემოელახა. მკაცრი სასჯელისაგან ქართველი გოლიათის დახსნა დიდად გაელენიანმა კოკი დადიანმა და მექი ფაღავამ იკისრეს.

ოდესღაც პეტერბურგის სალონების სული და გული, პირველი მოქეიფე და ამკლები, მოულოდნელად გაუხალისებია ქართველ დიდებულთა ნაამბობს — მაგ კაცზე ბევრი რამ მსმენია, ერთი მანახვეთო. ბარამ ჩიჩუა ჯაბანი კი არ იყო, მსჯავრს სამალავში დალოდებოდა, იქვე მჯდარა, მისაღებში. შუა კაბინეტში ნაქალაქევის ციხის გოდოლივით აღმართული ვაჟკაცის დანახვაზე გუბერნატორს პირი დაუღია — ჩემს გუბერნიაში ასეთი კაცი თუ მყავდა, აქამდე რად მიმალავდითო.

საქმის კეთილად დამთავრების აღსანიშნავი სუფრის გაშლა ბარამის გადაბმულ ძმაკაცს ბუკულა მიქელაძეს უკისრია. ამ ტყვიერელ მემამულეს მდიდარი კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი, თუმცა მთელ მიწებს უკვე გამოთხოვებოდა. ბოლო ხანებამდე ერთადერთი, რაც კიდევ შერჩენოდა, სანაქებო კარ-მიდამო იყო და ისიც ცეცხლმა გადაუბუგა. ხმა გაუვრცელეს — თვითონ დასწვაო, მაგრამ დამზღვევი კომპანიის მიზეზიანმა აგენტებმა შარის მოსადები ვერაფერი გამოუჩხრიკეს და გერბიანი პოლისის პირობით აღთქმული ოქროები სულ კაკალ-კაკალ ხელში ჩაუთვალეს. უმამულოდ დარჩენილი მემამულე, საბოლოოდ, ქუთაისში გადმოვიდა და უკანასკნელი ოქროების ჩვეული ხელგაშლილობით ფანტვას შეუდგა. საკუთარი საფირმო, მონოგრამიანი პაპიროსიც კი გაიჩინა.

მა-ა-შ! იცოდა ქართულმა თავად-აზნაურობამ მამულების ქარისათვის გატანება და თვალში ნაცრის შეყრა!..

სწორედ ბუკულას ნაქებ სუფრაზე გამოუჩენია თავი დანიელას, თუ გამოუჩენია. სიმღერის ეშხში შესულს, ალაბიევის „ბულბული“ რომ ჩაურაკრაკებია და ზედ ბოშური რომანსებიც მიუყოლებია, გულჩუყებულ გენერალ-გუბერნატორს ებრაელი მკერდშიც კი ჩაუკრავს.

დანიელა მარტო თავისი უჩვეულო ხმით როდი ინადირებდა ადამიანის გულს. არც ვაჟკაცობითა და სულიერი ღირსებებით უდებდა ტოლს ვისმეს. მის ვაჟკაცობაზე ხალხი განსაკუთრებით ალაპარაკდა ბანძელთა მშვენების — მარიამ ფაღავა. ქორწილის შემდეგ. მაყრიონს, რა თქმა უნდა, დანიელაც ახლდა, მაგრამ კინაღამ სირცხვილში ჩავარდა, თანაც ერთი თავისი ძველი პატივისმცემლისა და თანამოინახის მიზეზით.

ცხენზე ამხედრებული ებრაელის დანახვაზე ბარამ ჩიჩუა, რატომღაც, თოფის წამალივით აფეთქებულა — ეგ უიარაღო კაცი რაღას ამომიყენეთ გვერდზეო. ჩვეოდა ამ კაცს ამგვარი მოულოდნელი ახირებანი. მეტი რა გინდათ, ერთხელ ქუთაისში, რომელიღაც ოჯახში ნაადრევად დაქვრივებული გურიელის უმშვენიერესი ასული გაუცვნია და ისე მოხიბლულა, იმ ღამესვე მოუტაცებია. კეკელა ახალგაზრდა ქალი, რომლის თვალთა მომნუსხავმა ჟუჟუნმა სენაკელი ვაჟკაცი ცვილივით დაადნო, ახლა სალ კლდედ ქცეულა — ჩემი გული უკვე სხვას ეკუთვნის და ვერ გამოგყვებიო. გაწბილებულ, მაგრამ უზომოდ თავმოყვარე ბარამს ქალი თითდაუკარებლად უკანვე გაუბრუნებია და აღთქმა დაუდვია, რომ ცოლს არასოდეს შეერთავდა. სიტყვა მართლაც აღარ გაუტეხია, თუმცა მას შემდეგ გულდარდიანობა და მოულოდნელი სიფიცხე დასჩემებია...

— ან ამ კაცს აასხით იარაღი, ან თქვენთან წამომსვლელი არა ვარ! — კვლავ აბორგებულა ბარამი და ცხენი ყალუზე შეუყენებია. ყველანი დაბნეულან, მაგრამ ბოლოს ვიღაცას აივნიდან დაუძახნია — ახლავე კაცია ფაღავას ხმალს ჩამოვხსნით კედლიდან და ჩამოგირბენინებთო. ამაზე პატარძალის ძმა კაკურია გამხდარა დასაბმელი — რუხის ცხენესთან სახელოვნად ნაქნევ პაპაჩემის ხმალს ვაჭრების ჩამომავალი კაცის წელზე რა უნდა, ღმერთი არ გაგიწყრეთ, ხელი არ ახლოთო.

პირგამშრალი მაყარი ისევ თემის უხუცესს აბრამა აჯიაშვილს გამოუყვანია მდგომარეობიდან — არც ისეა საქმე, ხმალიც გვეშოვება, სატევარიც და დამბაჩაცო. ვიღაც ბიჭი უფრენია შინ და დანიელასათვის ისეთი ძვირფასი, სულ ოქრო ვერცხლით ქარქაშგაწყობილი ხმალი შემოურტყამთ წელზე, ყველას თვალი ზედ დარჩენია. ამ ხმლის დანახვაზე რომელიღაც თავადს სახეზე ფერ-ფური გადასვლია, მაგრამ აბრამა ბიბლიურ მოსეს მარტო წვერებით კი არ ჩამოჰგავდა. განა იმისი კაცი იყო, წმინდა ვაჭრული საიდუმლო გაემეღავნებინა და ხმლის დამგირავებლისათვის საქვეყნოდ თავი მოეჭრა?!

ბარამ ჩიჩუა კიდევ ერთხელ ახირებია დანიელას, ამჯერად ჩაჩავებთან. მაყრებთან გამოსათხოვარი სუფრა გათენებისას ასწლოვანი მუხის ძირას რომ გაუშლიათ და ებრაელ მომღერალს ხმა ტოროლასავით ცაში აუფრენია, თავადს მერიქიფესათვის უბრძანებია — მარტო სიმღერა რას მიქვია, მაგ უმაწვილს ღვინო ჭიქით მაინც მიართვით, ნეფე-პატარძალი გვიდღეგრძელოსო. დანიელას შორს დაუჭერია — ებრაელებს მარხვა გვაქვს და ვერ გავტეხავო. ისე გატეხ, როგორც დამიბარებიაო, დაუჟინია ბარამს. დანიელსაც ფეხი მაგრად გაუდგამს. მაშინ ჩიჩუას ქისიდან ოქროს თუმნიანი დაუძვრია და ღვინით სავსე ჭიქაში ჩაუცურებია — ახლავე ნახავთ, თუ არ დალევსო. მომღერალ ვაჟკაცს ღირსეული სიტყვა უბრძანებია: ებრაელი კი ვარ, მაგრამ სულს ოქროზე არ ვყიდიო.

ქვის ენა იცის...





ოერჯოლის რაიონში თუ იკითხავთ იონა კვიმსაძეს, უმალ გიპასუხებენ: ეს ის კაცია ქვის „ენა“ რომ იცის და თავის მოწაფეებსაც უშურველად აზიარებს მისი სიმფონიის მშვენიერებასო. მერე გაგიძღვებიან კაპიტანი ბუხაიძისა თუ გამარჯვებული ჯარისკაცების კვარცხლბეკისაკენ, მისი ხელით რომაა გამოკვეთილი (სკულპტურის ავტორი გურამ კვიმსაძე).

— ქართული ხუროთმოძღვრება ბიზანტიური ან სხვა რომელიმე ქვეყნის ხუროთმოძღვრების განშტოება კი არ არის, არამედ დამოუკიდებელი, თვითმყოფი, ეროვნული ნიშნების მატარებელი ხელოვნებაა, — ასწავლის იონა კვიმსაძე თავის მოსწავლეებს. როგორ არ ირწმუნონ ეს მათ, როცა თვალნათლივ უყურებენ მშობლიური რაიონის ცენტრსა და შესასვლელში ქვის ნაგებობაზე საჭრეთლით შესრულებულ პანოს, ნატურმორტს, ოთხი ძმის ქუჩაზე დადგმულ ნიშანსვეტს, — მისი ხელით გაცოცხლებულ მრავალ ქართულ ჩუქურთმას, ორნამეტს...

თეორიულ მეცადინეობას პრაქტიკული ჩვევების ჩამოყალიბების პროცესი ცვლის, მასწავლებელი მოსწავლეებს დაწვრილებით აცნობს და უჩვენებს ქვის ნაკეთობათა ტექნოლოგიურ თანამიმდევრობას.

როცა კაცი ძიებით ცოცხლობს, საფიქრალს რა დაულევს. ქვის დასამუშავებლად საგანგებო ინსტრუმენტებიც კი შექმნა, მისი მომარჯვების ნაირგვარი ხერხებიც შეიმუშავა.

იქნებ ზოგმა ეჭვის თვალითაც კი შეხედა მეოცნებე შრომის მასწავლებელს ქვის ორიგინალური ტექნოლოგიით საწარმოო ნარჩენების საშენ მასალად ქცევის იდეა რომ დაებადა, მაგრამ ვიღას რა ეთქმოდა, როცა სიტყვა საქმედ იქცა.

ეკლარის ქვის საშენ მასალათა კომბინატის საწარმოო ნარჩენებისაგან მოსწავლეები საშენ ფილებს ამზადებენ, მერე კედლის აყვანასაც ცდიან...

საშენი ფილებისა და ბლოკების დამამზადებელი საამქროს დაარსების აუცილებლობაზე საკითხიც დააყენა. მან ჩაუყარა საფუძველი სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატში მწარმოებლურ შრომას. სწავლების ერთ-ერთი პროფილი აქ ქვის მხატვრული დამუშავებაა.

...წასულა ომში სოფელ ჭოგნარიდან დედისერთა ბიჭი. იგი გმირულად დაცემულა ბრძოლის ველზე. დედა გარდაიცვალა. იშლებოდა უპატრონოდ დარჩენილი სახლი, დავიწყების ბურუსში ეხვეოდა ერთი ჩვეულებრივი, სამშობლოსათვის თავდადებული ახალგაზრდა კაცის სახელი.

რამდენი ჰყავდა სოფელს კიდევ ამგვარი...

...და ერთი ჯარისკაცის სახლი იონა მასწავლებლის ინიციატივით შინმოუსვლელი ჯარისკაცის სახლმუზეუმად იქცა...

პატრიოტული აღზრდაო, ადამიანური სითბოს და სიყვარულის, მისი დაფასების გრძნობის გადაცემა მოსწავლეებისთვისო, იტყვიან... რაც იმ სახლ-მუზეუმმა ხმაურისა და ჭარბსიტყვაობის გარეშე გააკეთა, თაობებს ეყოფა.

დიახ, ცხოვრობს ერთი სულით შემოქმედი კაცი მშობლიურ რაიონში და უხმაუროდ, თავმდაბლად აკეთებს დიდ საქმეს.

ოთარ ვახტანგაძე

თავადს კიდევ ორი ოქრო შემოუვლია თავზე — მერიქიფეე, ეგ ჭიქა ცოტა ზევით ასწიე, მზეს კარგად დაანახვეო.

ქარვისფერი ღვინით გაპიპინებულ გათლილ ბროლის ჭიქაში ნაპერწკლების ფრქვევით ჩალივლივებული, გამდნარ ოქროსავით აღუებული, ჰაერის ბუშტულებით დაცვარული მონეტები თვალის მომჭრელად აკიაფებულან მზეზე, მაგრამ დახიელა უფრო გაჯიქებულა:

— რჯულის მადლმა, არა!

ბარამ ჩიჩუა ამგვარ ურჩობას ნაჩვევი არ იყო, ხელი სატევრისაკენ გაქცევია:

— ან ეგ ჭიქა, ან სისხლი!

— აკი მოგახსენეთ, თავადო, არ დავლევ-მეთქი!

ბარამისაგან კბილების გაკრაჭუნება ცუდად ჰქონიათ დაცდილი. რაღაც უბედურების მომასწავებელი სიჩუმე ჩამოწოლილა... და უცებ, ყველასათვის მოულოდნელად, წრეში შემოსულმა პატარძალმა, თურმე, მერიქიფეს ხელიდან ააცალა ჭიქა, ფოფინა ხელისგულზე დაიღო, მშვიდი ღიმილით გასხივოსნებული მზერა ირგვლივ შემოატარა, და ბოლოს, მარჯვენა კაკურიასკენ გაიშვირა. ძმა უმალ მიუხვდა, ერთი ნახტომით დასთან გაჩნდა და ხელი ჯიბეზე გაიკრა.

ჭაბუკ ფაღავას სხვებმაც მიბაძეს.

გაპიპინებული ჭიქიდან ოქროს მონეტებით გამოდევნილი ღვინო თანდათან პატარა ტბად შეგუბდა პატარძლის ვარდისფერ ხელისგულზე, შემდეგ თითებს შუა გაძვრა და დილის ნიავის ფრთებს მინდობილი, მტვერივით გაიბნა ჰაერში. თვალსა და ხელს შუა ოქროს ზოდად ქცეული ჭიქა, ერთ დაქცეულ თავადის ოჯახს ფეხზე რომ დააყენებდა, პატარძალმა ებრაელს გაუწოდა:

— გამომართვი, დანიელ, ღმერთმა სიკეთეში მოგახმაროს!

მომღერალი უმალ მარიამის წინაშე დაეცა მუხლზე. მის თეთრად მოქათქათე კაბის კალთას ეამბორა, კვლავ ფეხზე წამოდგა და ამოიღაღადა:

— ფაღავას ასულო, ღმერთსა და ჩემს შორის ჩადგომა რაკი ინებე, შეცოდებისა აღარ მეშინია! — ჭიქა ტუჩებზე მიიყუდა, შიგ ჩარჩენილი ნაყური სულის ერთი მოთქმით, ხარბად გამოსრუტა, შემდეგ ხელისგულზე გადმოპირქვავებული ცარიელი ჭიქა შორს მოისროლა, ოქროებით სავსე მუშტი მაღლა შემართა და დასჭექა, — ღღეის სწორს ყველანი ჩემი სტუმრები ხართ!.. ახლა კი ტაში თქვენს დანიელას!..

ერთბაშად აყიყინებულმა ხალხმა საცეკვაო დასცხო და ბედნიერებით სახეგაბადრულმა ებრაელმა მკლავები ლაღად გაშალა.

* * *

თითქმის საუკუნე გვაშორებს ამ ამბებს.

თითქმის დაცარიელდა ებრაელობისაგან კულაშისა და ბანძის, სენაკისა და საჩხერის თემები. საქართველოს სიყვარული სიყვარულად, მაგრამ მაინც თავისი გაიტანა ისრაელის შვილთა პირველდამბადებელი მიწის იდუმალმა ძახილმა.

არ ვიცი, ვერ მიგასწავლით იმ კაცის საფლავს, რომელიც საქართველოს სიმღერებად უფრქვევდა სიყვარულსა და მადლიერებას. სამუდამოდ ჩამდნარა დანიელას ხმა ჩვენი ცის სივრცეებში, მაგრამ დარჩა მისი ხსოვნის გადამრჩენი ეული სიმღერა, რომელსაც დღესაც წაიღიღინებს ვინმე შექეიფიანებული კაცი იმერეთისა თუ სამეგრელოს ორღობეებში.

პოლიტიკური ანეკდოტი



ანასტას მიქოიანი სტუმრადაა მეგობრებთან. უეცრად კოლისპირული წვიმა წამოვიდა. მიქოიანი ფანჯარასთან მივიდა და შემდეგ სასწრაფოდ დაემშვიდობა გაოცებულ მასპინძლებს. „როგორ უნდა წახვიდეთ, ქუჩაში ხომ თქეშია? — ეკითხებიან მას მეგობრები. — გარეთ თავსხმაა, თქვენ კი ქოლგაც არ მიგაქვთ“! ანასტასი იღიმება და უპასუხებს: „არაფერია, მე ნაკადსა და ნაკადს შუაც გავძვრები“.

გაძვრა კიდეც.

იცის კაცმა თავისი საქმე.

* * *

ოჯახში ხელოსანი გამოიძახეს. ზამთარი ახლოვდებოდა, რამდენიმე რადიატორი კი დაზიანებული იყო. ხელოსანმა ყველა რადიატორი ყურადღებით შეამოწმა, მერე კარგა ხანს იფიქრა და მოთმინებადაკარგულ დიასახლისს მოულოდნელად მიახალა: „არა, ქალბატონო, აქედან არაფერი გამოვა, მთელი სისტემაა შესაცვლელი“.

* * *

მაღალ ინსტანციაში თათბირი ტარდება. კაპიტალური დაბანდებების საკითხი იხილება. განაცხადები დიდია, მაგრამ ბოლოს ირკვევა, რომ თანხები არა ჰყოფნით. „კი მაგრამ, რაღას ვთათბირობდით, ან ამდენი დრო რატომ დავკარგეთ?“ — ჩაილაპარაკა ერთმა. ჩუმად ნათქვამი მეორემ მაინც გაიგონა და ისევ ჩურჩულით განუმარტა: „დრო ფულია. ფული არა გვაქვს. ვხარჯავთ დროს“.

* * *

დრო მოვიდა და მამა, რომელიც თითქმის მთელი თავის შეგნებული ცხოვრება სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში მუშაობდა, ბოლოს და ბოლოს, პენსიაზე გავიდა. შვილი, მამისაგან „წარმოებაში“ დარჩენილი საქმეები რომ მიიღო, გაეცნო მათ და მამას ეუბნება: „მამილო, ეს რა საქმეებია, თხუთმეტი წელია ჩაჰკირკიტებ და ვერ დაგიმთავრებია? მე აგერ გავეცანი და დავხურე კიდეც“. „ყოჩაღ, შვილო, — გამოეპასუხა მამა. — მაგ საქმეებით მე აგერ თხუთმეტი წელია პურსა ვჭამ და ოჯახს ვარჩენ, შენ კი გაეცანი და დახურე კიდეც?“.

ETA

ერეოვნული გიბერნიოლოგია

ესპანეთის მრავალრიცხოვან ტერორისტულ ორგანიზაციას შორის, რომლებიც ამჟამად მოქმედებენ, არის ბასკების ორგანიზაცია, „ეუსკალდი ტა ასკატასუნას“ („ბასკეთი და თავისუფლება“), შემოკლებით — ეტტა.

გასულ წელს, 19 ივნისს, ბარსელონის მუშათა კვარტალში, სან-ანდრეს სავაჭრო ცენტრში ჩვეულებრივი საქმიანი ატმოსფერო სუფევდა, როდესაც მოულოდნელად აფეთქდა ბომბი. ამ აფეთქებამ 18 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. თუკი სტატისტიკას გავყვებით, 1988 წელს კატალონიაში ეს რიგით მეცხრე ტერორისტული აქტი იყო.

ადგილობრივ ტერორიზმს ფესვები წარსულში აქვს გადგმული. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლამ ბასკებს 1936 წელს ავტონომია მოუტანა, მაგრამ იგი, როგორც მოვლენათა განვითარებამ ცხადყო, დროებითი აღმოჩნდა. მომდევნო წლის ივნისში ფრანკოს ჯარის ნაწილები ბასკთა ახალგაზრდა რესპუბლიკაში შევიდნენ. ადგილობრივმა მოსახლეობამ მათ მედგარი წინააღმდეგობა გაუწია. მაშინ ფაშისტურმა რეჟიმმა ბასკთა გენოციდი წამოიწყო. ამას მოწმობს ქალაქ გერნიკის ტრაგიკული ისტორია. 1938 წელს ფრანკომ ბასკეთის ორი პროვინცია „მოღალატე პროვინციებად“ გამოაცხადა, აკრძალა ბასკური ენა. ბასკი ხალხის ყოველგვარ მოწოდებას თუ მოთხოვნას ფრანკოს რეჟიმი რეპრესიებს უპირისპირებდა — ხალხის წინააღმდეგ გამოდიოდა პოლიცია, იუსტიცია, გვარდია...

სწორედ ასეთ ვითარებაში, 50-იანი წლების ბოლოს, ბასკმა სტუდენტებმა შექმნეს ორგანიზაცია — ეტტა, რომლის მიზანია ბასკი ხალხის თვითგამორკვევა და ავტონომიის დაბრუნება.

ფრანკოს რეჟიმის სისასტიკემ, უცხოეთში მყოფი ბასკი ბურჟუაზიული ნაციონალისტების პოზიციამ და წვრილბურჟუაზიულ-ანარქისტულმა გავლენამ ეტტა რადიკალურ ორგანიზაციად აქცია. 1968 წელს თავისი ერთ-ერთი წევრის დახვრეტას ეტტამ შურისძიებით უპასუხა — მოკლეს პოლიციის ოფიცერი. ეტტას ტერორისტულ აქციათა შორის ირიცხება 1973 წელს ფრანკოს მემკვიდრისა და მთავრობის მაშინდელი მეთაურის კარერო ბლანკოს აფეთქებაც.

1975 წელს დიქტატორის გარდაცვალებამ და ესპანეთში ბურჟუაზიული დემოკრატიის დამყარებამ გარკვეული კორექტივები შეიტანა არსებულ სიტუაციაში. 1979 წელს ბასკეთის რეგიონმა შეზღუდული ავტონომიაც კი მიიღო. ამის შემდეგ ეტტა მცირე ხნით იატაკქვეშეთში გადავიდა. მაგრამ ბოლო წლებში მან კვლავ გააქტიურა ტერორი.

რას წარმოადგენს ამჟამად ეს ორგანიზაცია? ეტტა მრავალი დაჯგუფებისაგან შედგება, რომლის წევრები განსხვავებულ მრწამსს იზიარებენ. თუკი ფრანკოს მმართველობის პერიოდში საზოგადოებისათვის ეტტას მიზნები გასაგები იყო, დღეს მისი მოქმედება აგრესიულ ფანატიზმსა და ტერორზეა დამყარებული. ორგანიზაცია ამჟამად რეაქციის სამსახურშია. ყოველი ტერორისტული აქტი იწვევს ხელისუფალთა მიერ ქვეყნის დემოკრატიული ძალების საწინააღმდეგო რეპრესიების გაძლიერებას. ჯერ კიდევ 1970 წელს ესპანეთის კომუნისტურმა პარტიამ დაგმო ეტტას ტერორისტული მოქმედება. მართალია, პოლიციის ჩარევისა და ტერორსაწინააღმდეგო კანონის გამოსვლის შემდეგ მადრიდის მთავრობამ შეძლო მისი ზოგიერთი წევრის დაპატიმრება, მაგრამ ამით მაინც ვერ გადაწყვიტა არსებული პოლიტიკური პრობლემები. ერთ დროს აყვავებულ მხარეში მოსახლეობის 25 პროცენტი უმუშევარია. რაც ყველაზე დიდი მაჩვენებელია მთელს ესპანეთში. მხარეების შეთანხმება თითქმის შეუძლებელია, რადგანაც ეტტა სხვა საკითხებთან ერთად დაბჯითებით მოითხოვს ნავარას პროვინციის შეერთებას ბასკეთის რეგიონთან. თვით ბასკეთის მოსახლეობაში ეტტა არცთუ ისე პოპულარულია. ამ ორგანიზაციასთან ახლოს მდგომმა ნაციონალისტურმა პარტიამ „ჰერიკო ბატასუნამ“ („ხალხის კავშირი“) უკანასკნელ რეგიონალურ არჩევნებზე ხმების 17.5 პროცენტი მიიღო.

1992 წელს ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს ბარსელონა მასპინძლობს. ტერორისტული ორგანიზაციის — ეტტას აქტიურობა კი შეშფოთებასა და პანიკას იწვევს მასპინძლებში...

ვალხაზ რადიანი.

ფასწარმოქმნა

ფასი ერთობ რთული ეკონომიკური კატეგორიაა. იგი „საქონელში გასაგნობრივებული შრომის ფულადი სახელწოდებაა..., საქონლის ღირებულების სიდიდის მაჩვენებელია“ (კ. მარქსი).

ამ ბოლო ხანებში, როცა გარდაქმნა-განახლების მეორე ეტაპმა ფასწარმოქმნის რეფორმა მოითხოვა, ბევრი გაუგებრობა წარმოიშვა. ეს ბუნებრივიცაა. სოციალიზმის დროს არსებულ სასაქონლო-ფულად ურთიერთობებს თან ახლავს მის წიაღში ობიექტურად არსებული და მოქმედი ღირებულების კანონი, რომელიც საფუძვლად უნდა ედოს მთელ ვაჭრობას, ე. ი. ფასწარმოქმნის მოქმედ პრაქტიკას.

ბევრი ჩვენგანი სამართლიანად სვამს კითხვას, თუ რატომ მატულობს ფასები, თუ როგორ გამოიყენება მარქსის მიერ მეცნიერულად დასაბუთებული თეორია ფასის, როგორც ღირებულების გარდაქმნილი ფორმის შესახებ. ამ თეორიის მიხედვით ვიცით, რომ ფასი არის საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის გამოხატულება. ეს იმას ნიშნავს, რომ საქონელში გასაგნობრივებული საზოგადოებრივი შრომა შეადგენს მის ღირებულებას.

ამრიგად, ღირებულება სოციალისტური საზოგადოების მუშაკთა შრომის დანახარჯების გამოხატულებაა. თუმცა არც ის არის დასავიწყებელი, რომ მოცემული პროდუქტის ღირებულების აბსოლუტური სიდიდე თავისთავად არ მოწმობს საზოგადოებისათვის მის სიძვირესა თუ სიიაფეს. ჩვეულებრივ მას უნდა შევუფარდოთ ხარისხი, რომელიც სასარგებლო ეფექტით გამოიხატება. ეს არის მაგალითად, ამ პროდუქციის (ნაწარმის) ფიზიკური და ქიმიური თვისებები, დრო, რომლის განმავლობაშიც იგი გამოიყენება და ა. შ.

ბოლოდროინდელი პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ მასალებში უგულებელყოფილია საქონლის ღირებულების განმსაზღვრელი შრომის საზოგადოებრივად აუცილებელი დანახარჯების ობიექტური ხასიათი. არადა, მათი ოდენობა დამოკიდებულია საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების რეალურად მიღწეულ დონეზე.

სწორედ ამის გამო საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის დანახარჯების აღრიცხვა მოითხოვს სხვადასხვაგვარი სირთულის შრომის დაყვანას მარტივი შრომის გარკვეულ რაოდენობაზე და მრავალფეროვანი კონკრეტული შრომის დაყვანას შრომაზე საერთოდ. ეს იმას ნიშნავს, რომ ღირებულების სიდიდე არ არის უბრალო ჯამი სამუშაო დროის დანახარჯებისა წარმოების ყველა სტადიაში, პირველადი ნედლეულის მოპოვება იქნება ეს თუ მომხმარებლისათვის მზა ნაწარმის მიწოდება.

ამიტომ, სასაქონლო წარმოების პირობებში მოქმედი ღირებულების კანონი თავისი ობიექტური ხასიათის გამო მეტად რთულ კანგარიშებებთან არის დაკავშირებული. უამისოდ სუბიექტური ფაქტორების სიჭარბის კარგი შესაძლებლობები წარმოიშობა ხოლმე. იქნებ ამიტომაც არის, რომ ჩვენში, სამწუხაროდ, ფასები კი არ ყალიბდება, არამედ წესდება.

ფასების საკითხზე გამოთქმულ პუბლიცისტურ მოსაზრებებს აქვთ კიდევ ერთი ნაკლი. მხედველობაში გვაქვს ბრუნვიდან გადასახადის უგულებელყოფა, ან მისი, როგორც საცალო ფასების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის, გაუთვალისწინებლობა. მეტიც, ბრუნვიდან გადასახადის გარეშე ძნელი წარმოსადგენია ქვეყანაში ჩამოყალიბებული მრავალფეროვანი, ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული ფასების სისტემა. ამ სისტემის მთავარი რგოლია საბითუმო ფასები. მათი საშუალებით ხდება მთელი საზოგადოებრივი პროდუქტის ნახევარზე მეტის რეალიზაცია. სახალხო მოხმარების საგნებით ვაჭრობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საცალო ფასები განისაზღვრება სწორედ საბითუმო ფასებით. ახლა ამ ფასებით გაყიდული საქონლის მასა მთელი საცალო საქონელბრუნვის 98 პროცენტს შეადგენს. დანარჩენ საქონელს მოსახლეობა საკოლმეურნეო ბაზრებზე ყიდულობს, სადაც ფასები ყალიბდება მიწოდებისა და მოთხოვნის ზეგავლენით.

ამრიგად, საცალო ფასი იყო, არის და კვლავაც დიდხანს იქნება მშრომელთა კეთილდღეობის მნიშვნელოვანი ეკონომიკური ბერკეტი.

ამ საკითხს იმიტომ მივანიჭეთ ესოდენ დიდი მნიშვნელობა, რომ ვთქვათ: არამც და არამც არ შეიძლება ბრუნვიდან გადასახადის უსაზღვროდ გადიდება. იგი ნელოვნურად ზრდის საცალო ფასებს, რაც თავის მხრივ უარყოფითად მოქმედებს ცხოვრების დონეზე.

ჩვენს ქვეყანაში დაწყებული ეკონომიკური რეფორმა სწორედ ამ მხრივაც იპყრობს ყურადღებას. წლის დამდეგიდან ამოქმედებული კანონი გულისხმობს ისეთ ფასწარმოქმნას, რომელიც ახალისებს საწარმოთა და გაერთიანებათა მოგების გადიდებას.

დიახ, ამიერიდან სწორედ მოგება და სამეურნეო-ანგარიშებრივი შემოსავალი გახდება როგორც თვით მოცემული შრომითი კოლექტივის საწარმოო და სოციალური განვითარების, აგრეთვე შრომის ანაზღაურების საფუძველი, ისე სახელმწიფო ბიუჯეტთან და ზემდგომ ორგანოსთან ანგარიშსწორების ძირითადი საფუძველი. ამასთან, როგორც ცნობილია, საწარმო თავისი პროდუქციის რეალიზაციას ახდენს ცენტრალიზებულად დაწესებული ფასებითა და მომხმარებელთან მორიგებით ან დამოუკიდებლად. მეტიც, ახლებურად მომუშავე საწარმო პასუხს აგებს ფასების დისციპლინის მკაცრი დაცვისათვის. სხვანაირად რომ ვთქვათ, საწარმო, რომელიც ფასებს მოუმატებს და დაუსაბუთებელ მოგებას მიიღებს, ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით გადაიხდის ჯარიმას უკანონოდ მიღებული მოგების ოდენობით. სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების განვითარების კვალობაზე კიდევ უფრო გაფართოვდება სახელშეკრულებო და დამოუკიდებლად დამტკიცებული ფასების გამოყენება.

ამასთან გასათვალისწინებელია, რომ საცალო ფასების სტაბილურ დონეზე მეტად უარყოფითად მოქმედებს ისეთი პრაქტიკა, როცა საწარმონი. რომლებიც სამეურნეოანგარიშებრივი უფლებებით სარგებლობენ, ცდილობენ, ფინანსური მდგომარეობა გაიუმჯობესონ მხოლოდ იაფფასიანი საქონლის შემცირებისა და ძვირადღირებული ნაწარმის გამოშვების ზრდით. მ. ს. გორბაჩოვმა კრასნოიარსკის მხარის მშრომელებთან შეხვედრებისას ასეთ არასასურველ მოვლენებს ანტისაზოგადოებრივი და ჯგუფური ეგოიზმი უწოდა.

და ერთიც, ქვეყნის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებს უფლება მიენიჭათ, მომხმარებლებთან შეთანხმებით დააწესონ გადიდებული სახელშეკრულებო საცალო ფასები საქონლის პირველ საცდელ პარტიებსა და განსაკუთრებით მოდურ ნაწარმზე. სამწუხაროდ, ზოგან ამ უფლებას მომხმარებელთა საწინააღმდეგოდ იყენებენ. არცთუ მართლა მოდურ საქონელს ასეთ იარლიყს ადებენ და ამრიგად ხელოვნურად ზრდიან ფასებს.

დასასრულ, ორიოდე სიტყვა შესყიდვისა და დამზადების ფასების შესახებ. პირველს კოლმეურნეობები იყენებენ, მეორეს — საბჭოთა მეურნეობები. მათ სტრუქტურაში, მრეწველობის საბითუმო ფასებთან შედარებით, მაღალი ხვედრითი წილი უკავია შრომის, საკვების, თესლეულისა და მექანიზაციის ხარჯებს. ამის გამო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი ძვირი ჯდება, მათი საცალო ფასები კი დაბალია. ამიტომ სახელმწიფო მათ 1,5—2-ჯერ მეტს უხდის, ვიდრე იგი მოსახლეობას მიეყიდება. 1986 წელს მარტო ხორცისა და რძის გაყიდვის დოტაციამ 57 მილიარდ მანეთს მიაღწია.

ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებრივი კვლავწარმოების ამ სფეროშიც ირღვევა ღირებულების კანონი.

ამიტომ, ფასწარმოქმნის მოწესრიგებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი უნდა გადაწყდეს სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესებისა და ღირებულების კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ცხოვრების დონის დაუქვეითებლად.

ახლა, როგორც ამის შესახებ XIX საკავშირო პარტიულ კონფერენციაზე ითქვა, სერიოზულად, ყოველმხრივ მუშავდება საცალო ფასების რეფორმის პროექტი, რომელიც საყოველთაო სახალხო განხილვის საგანი გახდება.

კლიმენტ ელიზბარაშვილი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკური ეკონომიკის კათედრის დოცენტი.

ტყის სკულპტურა

არნოლდ გეგეჭკორი

ცენარეთა საფარი — ტყე ბუნების მწვანე საგანძურია. ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად, იგი სრულყოფილ ესთეტიკურ ზეგავლენას ახდენს ადამიანზე. ზოგჯერ ფრიად დასამახსოვრებელია თვით გამხმარი ხე, ანდა მისი რომელიმე ნაწილი — ფესვი, ზრო, ტოტი. ბუნება დაუღალავად ქმნის ფორმათა ამოუწურავ მრავალფეროვნებას. აქ ფაქტობრივად გამორიცხულია განმეორება, შაბლონი. ბუნების მსგავსი იშვიათობები დიდ გასაქანს უქმნის ადამიანის ფანტაზიას. მათი ძებნა და მოპოვება ყოველდღიური ცხოვრების რიტმისაგან განმუხტვის უებარი საშუალებაა.

ტყის უცნაურობებზე ნადირობამ დიდი გატაცება იცის. თოფიანი მონადირე ნადირ-ფრინველს ეძებს. მას თავისი, ხშირად მზაკვრული ინტერესები ამოძრავებს. ჩვენ კი ტყისა ან მთის ბილიკებს მხოლოდ ერთი მიზნით მივყვებით: იქნებ სადმე ბუნების მიერ გამოქანდაკებულ სასწაულს გადავეყაროთ!

ზოგიერთს შეიძლება დონკიხოტობად მოეჩვენოს დაინტერესებული კაცის მსგავსი ინტერესი — რას წარმოადგენს გამხმარი ხე, მით უმეტეს მისი ფესვები, ანდა კუნძი? მაგრამ გამოვნებიანი კაცის ხელში თვით კუნძიც კი შეიძლება ტყის სკულპტურად იქცეს, ფოტოობიექტივმა კი მას ახალი სიცოცხლე შესძინოს.

ბევრი ჩვენგანი პატივს მიაგებს ბუნებრივს, ყოველგვარი ხელოვნური ჩარევის გარეშე მოძიებულ ტყის ნობათს. ასეთი ალქაჯები, კუდიანები, ჩიპოლინოები ამშვენებენ ჩვენს სამუშაო ოთახს. სხვები, გაცილებით დიდი ზომისანი, ფოტოობიექტივის ნადავლი ხდებიან.

აპარატით მოინადირებ თუ ხელით, ტყის უსულო პერსონაჟები კვლავაც განაგრძობენ თავიანთ ზემოქმედებას — აღგვიძრავენ ბუნებასთან ურთიერთობის იშვიათ ასოციაციებს.

მაინც რომელია ტყის ამ სკულპტურებს შორის ყველაზე დიდებული ნანადირევი? აი, ის, რომელიც პირველი შეხვედრისთანავე ჰიპნოზის, მოუგერიებელი ხიბლის ტყვეობაში გაქცევს. ერთ-ერთ ასეთ იშვიათობას ზემო აჭარაში, უჩამბის ხეობის სუბალპურ წიფლნარში წავაწყდი. იმ ზაფხულს ჩვენს ექსპედიციას ბარში დროებით ჩასული მწყემსი დაემგზავრა. ნაკაშიძედ გაგვაცნო თავი. ხუთი თითივით იცოდა იქაურობა.

კარვები მის საზაფხულო ბინის მახლობლად დავდგით. წინა დღით ივლისის ფიცხი, მზიანი დღე იდგა, მეორე დღეს კი დილადანვე ძალუმად დანისლა. მთაში და ისიც კარავში ავდარი დიდი ვერაფერი შვილია. სამაგიეროდ, ნისლში გახვეული მაღალმთის მეჩხერი, პარკის ტიპის ტყე ზღარულ სანახაობას დაემსგავსა, მოვისხი ლაბადა, ყოველ შემოხვევისათვის ფოტოაპარატების ჩანთაც გამოვიტანეთ. შიძეს მივაკითხე და სურვილი გავანდე. სიამოვნებით დამემგზავრა.

შევუყევით აღმართს. ტყე კიდევ უფრო შეთხელდა. დაკნინებული, დაბრეცილი ხეები ნისლში ორ-სამ მეტრ მანძილზედაც სილუეტებივით დგანან. შუადღისას ნაბადივით სქელ ნისლს თქორიც დაემატა. წვიმის ეს წვრილი წვეთები ფაქტიურად იგივე ნისლია. ნისლის სქელი ფენა ხომ ღრუბელივით მოძრაობს, როცა ზემოთ მიიწევს. იქ მაღალმთის ჰაერის ცივ ნაკადს ხვდება, კონდენსირდება და წყლად — თქორად იქცევა, წვეთების ნაწილი ფოთლებზე იყრიან თავს, ერთდებიან, მძიმდებიან და ტაპატაპით მიწაზე ცვივიან. ჩვენც, შეძლებისდაგვარად, მხარს ვუქცევთ გალუმპულ ხეებს. განსაკუთრებით აპარატებიან ჩანთას ვუფრთხილდები.

მოულოდნელად, ზედ ცხვირწინ, ნაჯახით გვარიანად ნაფეთ ბუჩქებს შორის ხე-საოცრება წამოიმართა. უამინდობისაგან ამ ნახევრად წაშლილ ლანდშაფტში წინარეისტორიული „ცხოველი მოაბოტებდა“.

— ასეთი რამ მეც იშვიათად მინახავსო, — მონუსხულივით მიაჩერდა, „მონსტრს“ აჭარელი.

— ღმერთო, სად არის ზღვარი ფანტასტიკასა და რეალობას შორის, — ჩემი მხრივ ესღა მოვახერხე პასუხად...

ის პირველი შთაბეჭდილება დღემდე ურყევი აღმოჩნდა. წარმოვიდგინე, რომ რაღაც ფანტასტიკური ძალის წყალობით მეზოზოურ ერაში გადავსახლდი. ჩემ წინ გადაიშალა დაახლოებით 150 მილიონი წლის წინანდელი ლანდშაფტი. იმ დროს დედამიწა უკვე აღარ იყო გახვეული ქვანახშირის პერიოდის ოხშივარში, როცა მთელ პლანეტაზე ერთი კლიმატური სარტყელი ბატონობდა, პოლუსიდან პოლუსამდე ერთნაირად ცხელოდა და გადაუღებლად წვიმდა. მიუხედავად ამისა, დედამიწის დიდ ნაწილზე მაინც სუფევდა სუბტროპიკის ტიპის კლიმატი. და აი, გეოლოგიური წარსულის ამ ნახევრად გამჭირვალე ატმოსფეროში წამომართული ეს „არსება“ უყოყმანოდ იწვევს ჩემში იურული პერიოდის ორფეხა დინოზავრის ასოციაციას. იმ შორეულ წარსულში მსგავსი ქვეწარმავლები მთელი დედამიწის ბატონ-პატრონები იყვნენ — დარბოდნენ ან დადიოდნენ ნახევრად გამართულები. სხეულის ბალანსირებას ახდენდნენ გრძელი და ძლიერი კუდით. ტანის მთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დატვირთვა უკანა ფეხებზე მოდიოდა. სხეულის სიმძიმისათვის რომ გაეძლოთ, უკანა ფეხები წინებზე გაცილებით ძლიერი ჰქონდათ. დაკარგეს რა საყრდენი ორგანოს ფუნქციები, დინოზავრთა წინა ფეხები ერთობ დამოკლდნენ და დასუსტდნენ, თუმცა გარკვეულ როლს მაინც ასრულებდნენ — საკვებს პირის ღრუსკენ იმარჯვებდნენ.

პირველი დინოზავრები სწორედ ორ ფეხზე მდგომები იყვნენ, ოთხფეხა ფორმები მოგვიანებით წარმოიშვნენ. ეს უკანასკნელები იმდენად კოლოსალურები იყვნენ, რომ ორი ფეხი ვეღარ უძლებდა ტანის მთელ სიმძიმეს და ამიტომ დაოთხდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ ოთხფეხა „დინოზავრიც“ ვაება ჩემი ფოტოობიექტივის „მახეში“. ეს უკვე გუდამაყარში სოფელ ბაკურხევის მისადგომებთან მოხდა. როგორც ჩანს, ვეებერთელა წიფელი ზვავს ძირფესვიანად მოეთხარა, ქერქისაგან ერთნაირად გაეყვლიფა, ფესვები და „ზედმეტი“ ტოტები გაესხიპა, მდინარის ჭალაში ჩამოეკაკებინა და კისერმოღერებული ოთხ „ფეხზე“ დაეყენებინა.

...ეუყურებ უჩამბის ხეობის ამ თავისებურ ფენომენს და გონების თვალით კვლავ ვაგრძელებ იმ გარდასულ ეპოქათა სურათის აღდგენას. არასტუმართმოყვარე და საშინელი მოეჩვენებოდა კაცს იურული პერიოდის ტყეები. იმ დროს ჯერ კიდევ არ ყვაოდნენ ყვავილები, საერთოდ არ არსებობდნენ ყვავილოვნები ანუ ფარულთესლოვანი მცენარეები, არ დაფარფატებდნენ მათზე პეპლები (მწერთა ზოგიერთი ჯგუფი — ტარაკანები, ჭიანჭველები და სხვები მანამდეც არსებობდნენ, მაგრამ ქერცლფრთიანების ანუ პეპლების ევოლუცია მოგვიანებით დაიწყო). უცნაური, კბილებიანი, ნახევრად ფრინველები კი არ გალობდნენ, არამედ სისინებდნენ და ყიყინებდნენ. ძლივს ატანდნენ მზის სხივები ხემაგვარი გვიმრების ვეებერთელა ფოთლებში, გაუვალ კედლებად აღმართულიყვნენ საგოვანები — ერთდროულად გვიმრებისა და პალმის მსგავსი მცენარეები, მარაოსებრად გადაშლილიყო გინკგოსნაირთა ფოთლები. ყველაფერს — ხმელეთს, ჰაერს, წყალს დინოზავრები დაჰპატრონებოდნენ: მობაჯბაჯენი და სწრაფად მსრბოლები, ტყავით დაფარულები და ბეწვიანები, თბილსისხლიანები და ცივსისხლიანები, ორფეხზე მდგომნი და ოთხფეხზე მოსიარულენი...

ივლისის იმ ბურუსიან დღეს რამდენიმე სხვა „მსხვერპლიც“ მოვინადირეთ, მაგრამ „დინოზავრივით“ მომნუსხველი არც ერთი არ იყო.

⊙ ტყე დედაა უანგბადისა, მამა ჩრდილისა და სიგრილისა, ხოლო შვილი — მთელი ბუნებისა.

⊙ ტყემ დაიჩივლა: — ვინ მჩეხავს და, ჩემივე ხელიო.

⊙ ტყე, ის ყველაზე დიდი სახლია, სადაც ნადირ-ცხოველნი თუ ფრინველები, მიუხედავად ერთმანეთის მტრობა-შუღლისა, მაინც უშრად ცხოვრობენ.

⊙ ტყის სიმდიდრესა და სიკეთეს დროის მეტი ვერაფერი აფასებს.

⊙ ტყეს უფრო მეტად სჭირდება გაფრთხილება, ვიდრე საკუთარ სიცოცხლეს.

⊙ ახლანდელ ტყეში, გარედან შესული უფრო მეტი ტყიური და ველური დადის, ვიდრე თვით ტყეში ბინადრობენ.

⊙ ტყის ყველაზე მშვენიერი და ღვთიური არსება ეს — ყვავილია.

ნაზი ჭედია.

საინტერესო გამოცემები

დასასრულს უახლოვდება ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გამოცემა. უკანასკნელი, მეთოთხმეტე ტომი — სახელობით საძიებელი, მომავალ წელს გამოვა.

მკითხველს უთუოდ აინტერესებს, რაზე მუშაობს ამჟამად ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია. რა გამოცემებია უახლოეს ხანებში მოსალოდნელი.

ყოველივე ამის თაობაზე აი, რა უამბო ჩვენს კორესპონდენტს იამზე ბასილიას მთავარი სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარემ ავთანდილ საყვარელიძემ.

ამჟამად ვმუშაობთ ენციკლოპედიაზე „საქართველო“. იგი ოთხ ტომად გამოვა. ამ გამოცემას საფუძვლად ქართული საბჭოთა ენციკლოპედია დაედო, მაგრამ ის მასალები, რომლებიც შეეხება საქართველოს და ქართველობას, მნიშვნელოვნად გაფართოებულია. მიგვაჩნია, რომ ჩვენი ქვეყნისა და ერის შესახებ ბევრი რამ ახალი ითქმება. უხვად იქნება მასში მოცემული ნარკვევები გამოჩენილ ადამიანებზე—ქართველებზე და მათზე, ვინც საქართველოსთან არის დაკავშირებული, ქართველების სულიერ სამყაროსთან.

ჩვენი აზრით, ენციკლოპედია „საქართველო“ იქნება ჩვენი ერისა და ქვეყნის პირველი სრულყოფილი სადარბაზო ბარათი.

ხელმოწერა ჩატარდება ოქტომბერ-ნოემბერში, — ტირაჟი 150 ათასი ეგზემპლარი.

ვფიქრობთ, საჭირო საქმეს ვაკეთებთ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის თორმეტტომეულის გამოცემით. მისი დასრულება გადაწყვეტილი გვაქვს 2000 წლისათვის. ორი ტომი უკვე ჩაშვებულია წარმოებაში.

წელს დამთავრდება აგრეთვე ორთოგრაფიული ლექსიკონების ციკლის გამოცემა. უკვე გვაქვს საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების, საბჭოთა კავშირის გეოგრაფიული სახელების და ბერძნული და რომაული საკუთარი სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონები. ამ ციკლს დაასრულებს საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიული სახელებისა და უცხოურ პირთა სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონები.

წელსვე გავიმეორებთ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ერთტომეულის გამოცემას. იგი ორ ნაწილად გამოვა.

ორთოგრაფიული და განმარტებითი ლექსიკონები გაკეთდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტთან ერთად.

2000 წლამდე დაგეგმილი გვაქვს მრავალი ენციკლოპედიისა და ენციკლოპედიური ლექსიკონის გამოცემა. ესენია: სასოფლო-სამეურნეო, პედაგოგიური, ხელოვნების, მსოფლიოს გამოჩენილ ადამიანთა ლექსიკონი. თითოეული მათგანი შედგება რამდენიმე ტომისაგან. გარდა ამისა, დაისტამბება ენციკლოპედიები „ქართული ენა“, საოჯახო, პოპულარული სამედიცინო და პოლიტექნიკური, ფიზიკის, მათემატიკის, ქიმიის, თეატრალური, გეოგრაფიული ენციკლოპედიური ლექსიკონები. სპეციალური გამოცემები მიეძღვნება ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და რეგიონებს, მათ შორის პირველი ენციკლოპედია „თბილისი“ იქნება.

ვაპირებთ აგრეთვე პერსონალური ენციკლოპედიების გამოცემას: შოთა რუსთაველი, ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, (ამჟამად ამ ენციკლოპედიებზე ვმუშაობთ). სულხან-საბა ორბელიანი, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონ ტაბიძე. ერთი ტომი კი მიეძღვნება გამოჩენილ მეცნიერებს, ცნობილ მათემატიკოსებს.

ახლახან გამოვეცით ალბომი— „მწიგნობრობაი ქართული“, რომელშიც მოცემულია ქართული ანბანის სამივე სახეობის — ასომთავრულის, ნუსხურის, მხედრულის გრაფიკული თავისებურებანი. ასეთივე ალბომის გამოცემას ვაპირებთ ჰატარა ფორმატისას — მოსწავლეთათვის.

ჩვენ წინ დაძაბული პროგრამაა, დიდი მუშაობა გვმართებს. ბევრ სიძნელეებს ვაწყდებით პოლიგრაფიაში, ძალიან გართულდა ქაღალდის საკითხი.

ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ საათანადო ენციკლოპედიური ლიტერატურის უქონლობის პირობებში ძალზე ძნელია რეალობად ვაქციოთ ქართული ენისა თუ საქართველოს ისტორიის, ასევე სხვა ეროვნული პროგრამა. საენციკლოპედიო საქმე — საერთო საქმეა. მასზე ყველას გვმართებს მზრუნველობა.

...ეროვნული ბიბლიოთეკა

...ეროვნული ხასიათი

თვალს ხვდება ფერადი ილუსტრაცია. გარინდების ხანი მიგრძელდება. უჩვეულოდ დამუხტული კომპოზიცია გულისყურს ისრუტავს და მხატვრის ფიქრთა სამყაროში შეღწეული ცნობისმოყვარეობა ცხადისა და თვალნათლივის მიღმა მამოგზაურებს.

ისევ და ისევ ვრწმუნდები, თუ რაოდენ იხვეწება და იზრდება ფუნჯის ძალა, როცა იგი საკუთარი, საწყისისეული ბუნებისადმი ერთგულების ამგვარ მაგალითს გვისახავს.

როცა სურათის ისტორიას ვეცნობოდი, ჩანაფიქრის ჩასახვიდან განხორციელებამდე, კიდევ ერთხელ წარმომიდგა გაკვეთილი იმისა, რომ ღირსეული ქმნილება მხოლოდ რიგ გარემოებათა შედეგად თუ იბადება.

ეამსა სიჭაბუკისას, მშობლიურ კუთხეში შენიშნული ცოცხალი კადრი. ალბომის ფურცელზე გადმოუღია სამხატვრო აკადემიის პრაქტიკანტს. ჩანახატის თარიღი ერთგვარად ემთხვევა გულისსწორთა დაწინდვის ვარდისფერ დღეებს. ემთხვევა და სულაც არ უკავშირდება. მხატვრის თვალით გაზიარებული ნაღვლიანი სიუჟეტი და პირადი ბედნიერების უზომო განცდა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობენ. შემდგომ კი უკვე დაოჯახებულ მხატვარს ცხოვრების თანამგზავრის აღბეჭდვის გადაუდებელი წადილი შეიპყრობს.

ჩინებული ადამიანისა და სამაგალითო მეუღლის პოვნით, იშვიათი, შეხმატკბილებული ცოლქმრობით დავიწყებას მიეცა ის წაქცეული უღელიც და ადრინდელი ჩანახატიც. მაგრამ წარსულ შთაბეჭდილებას უკვალოდ არ ჩაუვლია.

რამდენ ხაზსა და ფერს უნდა ეძებნა და ეპოვა თავისი ხასიათი და ადგილი სურათილოზე, რომ ქართული ფერწერის ისტორიას შეეძინა: „სოფელი გლოლა“, „გამოშვებული კამეჩები“, „საჩხერელი გლეხი“, „ღარველი ქალი“.

„ხედავთ უჩა ჯაფარიძის სურათებს და ერთხელ კიდევ რწმუნდებით, თუ რა შთამბეჭდავი ძალა ჰქონია შემოქმედისათვის ბავშვობასა და ჭაბუკობაში ნახულ-გაგონილს. უჩა ჯაფარიძე ზემო რაჭის სოფელ ღარში დაიბადა 1905 წელს. ხალხში აღიზარდა და ამიტომაც ფარაჯიანი გლეხი, გამრჯე და უტეხი სოფელი დედაკაცი, ძწყემსი და მექოთნე, მთიბავი და მესტვირე, ხარებშებმული ურემი, ფუჩეჩდაცობილი დოქი ,,ხატვრის საყვარელ თემად იქცა“, — სრულად დაეჯერება მხატვრის უახლოეს მეგობარს, ხელოვნებისა და მეცნიერების ღამსახურებულ მოღვაწეს დიმიტრი ჯანელიძეს.

გაელვებული ეჭვი, ფიქრადმოსული ვარაუდი მიმუხტავს ყურადღებას. მხატვრის პირადი არქივიდან ჩემი თხოვნით მოძიებულ ჩანახატს ვაკვირდები. აი, ამ ფანქრის პირველი გავლებიდან დაწყებული ის, რაც, ჩემი აზრით, აუცილებლად უნდა გახმიანდეს. დროისაგან გაყვითლებულ სიფრიფანა ფურცელს ისე ვეზიარები როგორც კვალზე გამყვან სინათლის წყაროს, ვიახლოებ, ვუკირკიტებ, თვალებით შეჭმას ვუპირებ და ალბათ ამიტომ უსათვალოდაც ვკითხულობ ბედად ნაპოვნ ჩანახატზე, მჭრქალად შერჩენილ „1931“-ს...

კომპოზიცია თითქმის არ შეცვლილა. იგივე კონფიგურაცია, განლაგება, მოძრაობის იგივე მიმართულება. ახალგაზრდა უჩა ჯაფარიძის ამ ნახელავს მისი პედაგოგის ლადო გუდიაშვილის ხაზის გამოსარჩევი პეწი დაჰკრავს, მაგრამ არც ამ აშკარა გავლენის დადასტურებით, არც გამოყენებულ მასალათა სხვადასხვაობით და, ბოლოს, არც უმთავრესი გარემოებით, შეგირდისაგან ოსტატის გამორჩევით დგინდება ის, რაც ხუთი ათეული წლის შემდეგ ტილოზე გადატანილი, მნახველს შეაყოვნებს, მიიზიდავს და უსაშველოდ ღრმა ფიქრებში ჩაძირავს.

რაღაც წინაგრძნობის თუ მიგნების მაცნე თრთოლა მიელის შორიდან და შიგ საგულეში მიიპარება. თვალს ვავლებ მხატვრის სახელოსნოს, კედლიდან ამაყად იმზირება ჰოლანდიელი ქალბატონი სასკია, თავისი უკვდავმყოფელი მეუღლის მუხლებზე რომ წამოსკუპებულა, და მე, აწ უკვე უფროსი თაობის ქართველ კაცს, ყოველგვარი რიდის გარეშე გადმომყურებს.

მის გვერდით თავად პატივცემული მასპინძლის ხელით შესრულებული მინიატიურული პორტრეტია. ბატონ უჩას ფანქარს ძვირფასი არსების უბიწოების იერი შემოუნახავს. უნებურად მესახება მხატვრის ის შორეული სეანსი, რომელმაც სათავე დაუდო ორი ადამიანის ურთიერთობის, ურთიერთშეწევნის, ურთიერთგაფრთხილების, ურთიერთგაგების ორმოცწლოვან გზას. ძიება სურათის დაბადების ისტორიას მიმხელს... ბედშავი დღით და ძაძით შეფერილს.

ძვირფასი არსების დაკარგვამ, სასოწარკვეთით აშლილი ფიქრების ქაოსმა ამოატივტივა დავიწყებული შთაბეჭდილება.

კვლავ ვუკვირდები ამ უღელჩამოშლილ მარტოობას, სულის სიღრმემდე ჩამესმის მთიდან ყვირილი ხარისა და ასე მეჩვენება, მხატვრის ფუნჯი ხედვის უჩვეულო სიფართოვეს მანიჭებს. ოდითგანვე ცნობილი — ქართველი მეურნის გამწევი ძალა დედულმამულეთიდან აყრილ თაობას კი არ უხმობს მხოლოდ. დაქსაქსული, ფუძეს მოწყვეტილი შთამომავლობის კონსოლიდაციის დაუოკებელ წყურვილსაც გვიმხელს, გვაფიქრებს, როგორც ჩანს, ერთადერთ ხსნაზე: დაე ადამიანს საკუთარი ადგილისა თუ ღვიძლი საქმისაკენ მიმავალ გზას მიწის ყივილი უკაფავდეს! საგანგაშოა, — გვეუბნება მხატვარი, — ამ ბუნებრივი წადილის მოშლა.

ფიქრს წარსულში გადავყავარ... წარმომიდგება თანაკლასელი ოთარ ჯაფარიძე, ძე გრიგოლისა. უფროსი ძმის მუხლებზე ჯდომის გემო ბატონმა უჩამ ძმისწულზე ადრე შეიგრძნო და თავის აღმზრდელად თვლიდა ოჯახის თვალს, გრიგოლს. ალბათ ამიტომაც უჩასა და ოთარის ურთიერთობაში იკითხებოდა არა იმდენად ძმისწულობა, რამდენადაც ძმობა გამოსჭვიოდა.

ამჟამად სამხატვრო აკადემიის პროფესორი ოთარ ჯაფარიძე მახსენდება ნახევარი საუკუნის წინ პირველ საცდელ საჩვენებელ სკოლაში დაფასთან მდგარი. იგი განტოლებას იყვანდა — უცარცოდ! რამდენჯერ დავფიქრებულვარ, თუ რამ შეაგულიანა ფენომენალური მათემატიკოსი, დასდგომოდა მხატვარ-პედაგოგის გზას?

იმან ხომ არა, რამაც რაჭაში პირველი ველოსიპედის კონსტრუქტორი და მით მოგზაური ყმაწვილი უჩა ჯაფარიძე აიძულა, რათა უარი ეთქვა ტექნიკის სფეროზე, რომლის მიმართ ბავშვობიდანვე აშკარა მიდრეკილებით გამოირჩეოდა.

იმან ხომ არა, რაც პატიოსან ღარელებს დროულად ენიშნათ და რაც სხვებისათვის მოგვიანებით გაცხადდა. ბარაკონმა, შაორმა თუ ნიკორწმინდამ ხომ არ გაუღვივათ მათ ინტუიტიური წვდომა იმისა, რომ ტექნოკრატებისა და ჰუმანიტარების მოსალოდნელი დისპროპორცია, ჰუმანიტარების შევიწროებით და შემცირებით გამოწვეული, ჰუმანიზმის დეფიციტამდე მიგვიყვანდა.

როგორც ჩანს, არსებულა ქვეცნობიერი შიში იმისა, რომ ტექნიკური პროგრესით ცალმხრივ გატაცებას დედამიწის რომელიღაც წერტილზე, მოჰყვებოდა რომელიმე კომპიუტერიანი ნერონის აღზევება.

ჩვენდა საბედნიეროდ, ბუნება საკვირველ წინდახედულობას ავლენს ჯანსაღი საზოგადოებისათვის აუცილებელი ჰარმონიის უზრუნველსაყოფად.

დღეს ნამდვილად გაგვიჭირდებოდა სხვა ტილოს პოვნა, საიდანაც ასე ცხადად მოგვწვდებოდა წინაპართა სიმწრით აღმოხდომილი ხმა ვედრებისა და ასევე აშკარად ვიგრძნობდით თანამედროვეობის კატეგორიული მოთხოვნილების შეუთავსებლობის საშიშროებას. მერამდენედ დასტურდება, რომ თემის თავისთავადი მნიშვნელობა არ იძლევა შთამბეჭდაობის გარანტიას, თუკი ერის საერთო საზრუნავში ავტორის პირადმა ტკივილმა თუ სიხარულმა არ გაიარა და შემოქმედის წყალობით საზოგადოებრივი მნიშვნელობა არ შეიძინა.

სწორედ ამ ორი პირობის სამაგალითო ნაყოფად წარმოგვიდგება უჩა ჯაფარიძის „მარტოობა“.

დასასრულ, ერთ ფრიად საგულისხმო გარემოებას უნდა გაესვას ხაზი. მხატვრის ტილოზე მიწერილი სახელწოდება თითქოს ემოციურ შეფერილობას იცვლის. თანამედროვე ვითარების ფონზე იგი იკითხება როგორც მკაფიოდ გამოსახული სიგნალი. მას განსაკუთრებულ ქმედითობას ანიჭებს წინაპართა ნასახლარებზე გაჩაღებული სადღეისო მოძრაობა, კერაგანახლებული სოფლების ამაღლების სამამულიშვილო საქმე.

მიხეილ გიჟიმურელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნინო ჯაფარიძე

არლეკინი.

ჯიუტი პორტრეტი.

საღამოს ნატურმორტი.

პორტრეტი.

ნატურმორტი

თევზებით.

ნინო ჯაფარიძე, გარკვეული თვალსაზრისით, დამწყებ მხატვრად ვერ ჩაითვლება. ვინც ეტ-ნაკლება უარადგენით ადევნებს თვალს ჩვენი რესპუბლიკის მხატვრულ ცხოვრებას, მას უნდ. ახსოვდეს თხუთმეტი წლის წინ აშკარა ნიჭით გამორჩეული მხატვარი ვოკონას გამოჩენა. მისი ნაწარჩოებები ყურადღებას იქცევდნენ ჭკვიანად გამოსახული ინდივიდუალური ხედვით, საკუთარი სამყაროს ნიშნებით, დინჯადაა, მოზარდისათვის უჩვეული ენერგიითა და, მე ვფიქრობ, ხედვის მაზანტურობით. მაშინ ოვი ორმოცდა-ექვსტი წლისა იქნებოდა, არავითარი სპეციალური მოწმობება მას არ გააჩნია და მისი შემოქმედებაც მოლიანად ინტუიციიდან, შინაგანი მოთხოვნილებიდან მომდინარეობდა.

სამხატვრო აკადემიაში 1960 წელს შევიდა. თავისი სწავლების პერიოდში განსაკუთრებული პატივისცემით იხსენებს გურამ ქუთათელაძეს. ტიკოთა ტაქტი, ზომისა და ჰარმონიის უტყუარი შეგრძნება, რომელიც ჩვენს ამ ერთ-ერთ საუკეთესო ფერწერის ახასიათებს, მის პედაგოგიურ მოღვაწეობაშიც ალინდებოდა. ნინოს საკმაოდ სწრაფად და უზარკვნელად გაიარა სწავლების პირველი ეტაპი და უალრესად მოკლე დროში გამოავლინა, შეიძლება პირდაპირ თქვას, არაჩვეულებრივ მტკიცე გრძნობა სიფერათი სტრუქტურისა. თუ მას ადრე ერთიანი სიმეორე ჩანდა და ძიების, ეძებნის რეალურად არ სიპირუნდა, ახლა პირველი რიგში თვალში საცემია ის სოციალი მრავალფეროვნება, რომელშიც ახალგაზრდა მხატვარი ისე გაეფიდულად ცდის თავს. ასრულებს ნატურმორტების, პეიზაჟების, ტიპების, პორტრეტების მთელ სერიებს, სხვადასხვა დეკორატიულად თუ სტილური ვალდებულებებიდან თითქმის აკადემიურ დასრულებულობამდე.

ეოველივე ამის დანახვა მიი რამდენიმე სურათის მაგალითზეც შეიძლება: აი, თუნდაც მშვენიერი სურათი „ოჯახი“. აქ მრავალფეროვანი ფერადოვნებაა, მკაფიო სიმეორეთრით, ზომითა და ტაქტითაა წარმოდგენილი. ფორმათა მსუბუქი ეკლიტეტიზაციით, ფერთა მსუბუქი, თითქმის პასტელური შეხებებით გამოირჩევა „ნიკეა“ — პირნათელი მხატვრული სახე, რომელიც სულ სხვა ხასიათში ინტერესორი, ექსპრესიული ფერადოვნებით მძაფრი ფერადოვანი თუ ფორმისმიერი კონტრასტებითაა დანახული.

„ეგვიპტის პორტრეტი“ კიდევ სხვაგვარ მიდგომას ვხედავთ: დაჭერილული ხელი, ისტატურად ავებული ახალგაზრდა ქალის სახე, ფუნჯებად დაჭერილი ხასიათით ნიშნები და ამასთან თავისუფალი, არტისტული შესრულება ბაზში და ფერში, დეკორატიული, მასასიათელი ფერადოვანი აქცენტების ორგანული ჩართვა სახეთა ფორმაში. იქვე „დის პორტრეტი“ — მშვენიერად დაჭერილი პოეტური ეაწყობით, შესრულების გალეკი, თითქმის მშრალი მანერით, მოოკრომული გამით.

აქვეა აღმოსავლური მოტივიც — მშვენიერად ნაგრძნობი „მატისისული სპეკარი“ — აღმოსავლური დეკორატიულობა და ფერწერული თავისუფლების, თამაშის სინთეზი. აგერ უკვე სულ სხვა მოტივი „ქალი ბალში, ძალლთან“... პოეტური ხელოვნება შეიძლება ბანალურ სატკაში გადასულიყო, რომ არა ფერთა, განზოგადებული ფორმები, „მსუნეკეკეი“ ფერწერული ზედაპირები, ერთი სიტყვით, ფორმისა და ფერის კეთილშობილური განცდა.

მიდგომის ამგვარ სხვაობაში სიფერტერსი ძიებებიც შეიძლება დავინახოთ და გარკვეული · სიფრთხეც. მხატვარი მარდადაც სოციალი სიმსუბუქით ვადადის ერთი მიდგომიდან მეორეზე, ძალზე ადვილად ეუფლება სავსებით განსხვავებულ ხერხებს. ცხადია, ჩენლება ამის შიშიც, რომ არ დაკარგოს თავი, საკუთარი ხელეკი, დამოკიდებულება. მაგრამ რამდენიმე მომენტი მაძლევს ამის საფუძველს, რომ ვთქვა, უველაფერი ნორმალურად, კანონზომიერად მიმდინარეობს. ჯერ ერთი, ნინო რეალურად ახლა დგამს ფეხს დიდ მხატვრულობაში და მისი მისწრაფება თავიანი ორიენტალის გამდიდრებისაკენ. მზიდოდ მიხასლმენელია. მიუხედავად ამისა, რომ ყველაფერი ერთნაირად წარმატებული, ღრმა და ორიგინალური ვერ იქნება.

პირადად მე ასე ადრე გამოყოფილი ამ ამბავი დაჯერებულობა არც მიხანია. სხვა საქმეა, რამდენად დაკმაყოფილდება ნინო მიღწეულით, რამდენად წავა წინ. მაგრამ ის, რაც მან გააკეთა, თამამად შეიძლება გავიგებინოთ ფართო საზოგადოებრივობის წინაშე.

თავისი სიტყვა მან უკვე თქვა და ეს მისთვის მზოლოდ ტაპი იქნება შემდგომი საფეხურებისათვის.

გიორგი ბოფტარია.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტყის სკულპტურა

ფოტო არნოლდ გეგეჭკორიისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰუჯაბი უჯარმის კვლავ უთავოდ კვლავ

დაუჯაბელი მოდგმის ყივილი,
სულისა ჩვენის ძველი ტკივილი

ჰუჯაბის სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს მდინარე ფოლადაურის ხეობაში, მთა ღელვარის ძირას, ამჟამად ახ-ქერფის სახელით ცნობილი უძველესი ქართული სოფლის მახლობლად, რომელიც ადმინისტრაციულად მარნეულის რაიონში შედის. მის ტერიტორიაზე მდგარ მთავარ, ცენტრალურ-გუმბათოვან ტაძარს ქართული ხელოვნების ისტორიის მკვლევარნი (გ. ჩუბინაშვილი, ვ. ბერიძე, პ. ზაქარაია, რ. მეფისაშვილი და სხვ.) ერთხმად მიაკუთვნებენ შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის ისტორიაში ცხოველხატული სტილის მეორე ეტაპის — XII-XIII საუკუნეებში შექმნილ და საერთო სტილისტური კონცეფციით გაერთიანებულ ძეგლთა იმ ჯგუფს, რომელსაც შეადგენს ქართლის ტერიტორიაზე ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ დაყოლებით განლაგებული იკორთა, ქვათახევი, ბეთანია, კოჯრის კაბენი, ფიტარეთი, წუღრუღაშენი, ახტალა. ამავე ჯგუფში შედის აგურით ნაშენი და ქვით მოუპირკეთებელი და, მაშასადამე, ქვაში ნაკვეთ მორთულობას მოკლებული ტიმოთესუბანი და ყინწვისი.

ჰუჯაბის შესახებ წარსულიდან მწირი ცნობებია მოღწეული.

ვახტანგ მეექვსის ბრძანებით 1721 წელს შედგენილ სტატისტიკურ აღწერილობაში როგორც სამეფო (სადედოფლო) საკუთრება მოხსენიებულია ორი სოფელი: „ხუჯაბი“ და „ზემო ხუჯაბი“.

ვახუშტი ბატონიშვილის თანახმად, რომელმაც 1742 წელს დაიწყო და 1745 წელს დასრულა თავისი ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, ფოლადაურის ხეობაში „...არს მონასტერი ჰუჯაბისა გუმბათიანი, კეთილს ადგილსა, და აწ ცალიერ არს“. სოფლების ვახუშტისეულ სიაში კი გვხვდება სოფელი სახელით — „უჯაბი“.

ვახტანგ მეექვსის დასტურლამალში (განწესებათა წიგნში) ქვემო ქართლის სხვა პუნქტებს შორის დასახელებულია „ხუჯაბის ქორის ბუდე“, რომელიც დაბეგრილი იყო საქორე გადასახადით.

იოანე ბატონიშვილის მიერ 1794-99 წლებში შედგენილ „ქართლ-კახეთის აღწერა“-ში ნათქვამია: „ბოლნისის ხეობას რაც სამეფო სათავადო, საეზნაურო და საეკლესიო სოფლები მიეწერებიან, არიან ესენი: წუღრუღაშენი (2), ბოლნისელები (3), დარბაზი, სახუნდარი (2), ..., სამწვერისი, ბერდიკი, ლურჯი ვანქი, ..., უჯაბი, ...“.

დ. ბაქრაძეს 1875 წელს გამოცემულ წიგნში რუსულ ენაზე შეტანილი აქვს ეს ძეგლი და წყაროდ ვახუშტის გეოგრაფიას ასახელებს.

ექვ. თაყაიშვილს 1894 წლის ზაფხულში უნახავს ჰუჯაბი და აღუწერია. მის არქივში ინახება უბის წიგნაკი, რომლის პირველ ფურცელს თაყაიშვილის ხელით აწერია: „გუჯაბი, წერაქვი, ლორე“. ამ წიგნაკის ფურცლებზე ნომრით 33-37 მოცემულია ჰუჯაბის მთავარი ტაძრის საველე აღწერილობა (რუსულ ენაზე).

თაყაიშვილის უბის წიგნაკში შეტანილია კიდევ ცნობა მთავარი ტაძრის ჩრდილოეთით მდგარი ორი მცირე, ადრინდელი ეკლესიის შესახებ. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც შუაში მდებარეობს, ამ საუკუნის დასაწყისში ჰუჯაბის მონასტერში თავშეფარებულ რუს მონოზნებს დედა ინოკენტიას წინამძღვრობით რამდენადმე კეთილმოუწყვიათ ღვთისმსახურების ჩასატარებლად. 1910 წელს შემდგარა ამ საყდრის კურთხევა წმ. ნინოს სახელზე. ამასთან დაკავშირებით 1913 წელს გამოქვეყნდა ვ. პიგარიოვის ინფორმაცია ჰუჯაბის მონასტრისა და მასში მოქმედი რუს მონოზონთა „ივერთა უდაბნოს“ შესახებ.

1936 წლის ზაფხულში ბოლნისის ექსპედიციიდან ჰუჯაბის მონასტერს ეწვივნენ გ. ჩუბინაშვილი, ირ. სონღულაშვილი, ლ. მუსხელიშვილი ც. გაბაშვილი, ი. გილგენდორფი და სხვ. ამას მოჰყვა ჰუჯაბის შესახებ ცნობები მუსხელიშვილისა და გაბაშვილის შრომებში. ლ. მუსხელიშვილი აღნიშნავს „ტაძარი ხუჯაბისა, მშვენიერი ჩუქურთმებით შემკული მრავალ ანალოგიას გვიჩვენებს წუღრუღაშენთან“... შემდეგ იგი მიუთითებს, რომ არაბულიდან „ხუჯაბი“... ქართულად შეიძლება ვთარგმნოთ როგორც „ეჯიბნი“... არის ქართული გვარიც — ხუჯაბიძენი“, თან დასძენს, რომ „ხუჯაბის“ არაბული ეტიმოლოგიისათვის განმარტება,...; ხუჯაბიძეთა გვარის არსებობაც“ მისთვის უცნობებია ივ. ჯავახიშვილს. თავის მხრივ, მუსხელიშვილს აგონდება ფიტარეთის საამშენებლო წარწერაში მოხსენიებული „ამირეჯიბი ქავთარ ქუჯაფაძსძე („ქჯფაძსძე“) და შემდგომ ძველი ქართული სახელი „ქუჯი“. ც. გაბაშვილი აღწერს ჰუჯაბის მთავარი ტაძრის სამხრეთ შესასვლელს ფოტოსურათისა და სქემის თანდართვით (პორტალის ფოტო შებრუნებით არის დაბეჭდილი).

1959 წელს გამოიცა თ. ბარნაველის მიერ შედგენილი ცნობარი „საქ. სსრ კულტურის ძეგლები“ გ. ჩუბინაშვილის წინასიტყვაობითა და ვ. ცინცაძის რედაქციით. მასში მითითებულია: „მარნეულის რაიონი. ...ახ-ქერფი, მიდამოები:

ხუჯაბი, სამონასტრო კომპლექსი —
1. ეკლესია გუმბათიანი, XIII საუკ.;
2. ეკლესია, ადრ. შუა საუკ.;
3. სატრაპეზო, განვითარ. შუა საუკ.;
4. გალავანი, „ „ „ „ „ ;
5. სხვა ნაგებობანი „ „ „ „ .

შემდგომ პერიოდში დღემდე ჰუჯაბი რამდენიმე მკვლევარმა მოინახულა. მათ შორის აღსანიშნავია ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციები 1956-58 წლებში, რომელთა შედეგები 1960-64 წწ. გამოქვეყნდა.

უმნიშვნელოვანესი სამუშაო ჩაატარა არქიტექტორმა აკ. შავერდაშვილმა, რომელმაც 1978-79 წლებში რამდენიმე თვე დაჰყო ჰუჯაბში: შეისწავლა, აღწერა და აზომა იგი. მის მიერ მოპოვებული მასალა განსაკუთრებით ფასეულია, რადგან ამჟამად ძეგლზე მუშაობა გაძნელებულია. შავერდაშვილმა თავისი კვლევის შედეგების საფუძველზე ლ. ხიმშიაშვილის ხელმძღვანელობით შესრულებული სადიპლომო ნაშრომის სახით შეადგინა ჰუჯაბის მთავარი ტაძრის აღდგენა-გამაგრების პროექტი, რომელმაც სპეციალისტების მაღალი შეფასება დაიმსახურა. 1979 წლის ზაფხულში შავერდაშვილმა სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა ჯგუფი ჩაიყვანა ჰუჯაბის მონასტერში რესტავრაციისათვის ძეგლის მოსამზადებლად. სტუდენტებმა გულდასმით გაწმინდეს მონასტრის მაღალი და ხშირი ბალახით გადაბურული ეზო, ტაძრის პერანგისა და მოროთულობის ჩამოცვენილი ქვები შეაგროვეს... .მათ მიერ ჩატარებულმა სამუშაომ გააადვილა ძეგლის შემდგომი შესწავლა. ქვედა ნაწილი ფასადებისა გამოჩნდა და ადრე შეუმჩნეველი ზოგიერთი ხუროთმოძღვრული დეტალი გამომზეურდა.

ჰუჯაბის მონასტერში პირველად 1978 წელს გახლდით. იმ დროიდან მოყოლებული მის შესახებ ჩემთვის ცნობილი ინფორმაციის შევსებას ვახდენდი კოლეგებთან ერთად 1978-83 წლებში ძეგლის ადგილზე შესწავლით, ჩვენს მიერვე გადაღებული დიდძალი ფოტომასალის ანალიზით, არქივებში მუშაობით. და, როგორც მოსალოდნელი იყო, ექვ. თაყაიშვილის არქივში დაცულ ერთ-ერთ უბის წიგნაკში კიდეც მიკვლეულ იქნა ჰუჯაბის მონასტრის მოკლე აღწერა.

ამ აღწერაში გამოყენებულია სახელდება „გუჯაბი“ და შეიძლება გვეფიქრა, რომ „ჰუჯაბი“ თაყაიშვილმა რუსულად ‘ჩაწერა „გუჯაბ“-ის ფორმით, მაგრამ უბის წიგნაკის პირველ ფურცელზე მისივე ხელით არის ქართულად დაწერილი „გუჯაბი“ (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად „გუჯაბის“ ერთი მნიშვნელობა არის ჯილაგი, ჯიში, მოდგმა).

გელათის 1259-93 წლების სიგელში ნათქვამია: „.....მამული ჩემი მკუიდრი პატრონთაგან ბოძებული... ხახულისა ღვთისმშობლისათუის შემეწირა და აწცა, ვითა

მომიხსენებია, განაღამც ჰაგრევე მას ჰმსახურებდეს :..., სამნი პარტახტნი, რომელთაგან გამოსავალნია: გუჯაბაური, დერუცული, ქორაული, ჯისლაური,...“.

„გუჯაბაური“ მოხსენიებულია მე-18 საუკუნის საბუთშიც, რომელიც კოდის პურის ნუსხას წარმოადგენს.

1915 წლის სტატისტიკური აღწერილობით 217 ქართველი მოსახლე იყო სოფელ გუჯაბაურში.

ჰუჯაბში პირველი ჩასვლისთანავე შევნიშნეთ, რომ მთავარი ტაძრის სამხრეთი შესასვლელის თავზე, მოჩარჩოების თაღის ქვეშ, ქვის ზედაპირი გულმოდგინედ არის ამოტეხილი. ეს იმას მოწმობს, რომ სამხრეთი პორტალის ტიმპანზე საამშენებლო წარწერა ქართულად იქნებოდა ამოკვეთილი. აქ წარწერა 1894 წელს უკვე არ დახვედრია ექვ. თაყაიშვილს. მაშასადამე, ქართული კვალის წაშლის ქმედება „არ ახალია, ძველია“ და ჩადენილია ამ ტერიტორიაზე მოთარეშე თუ ჩამოსახლებულ უცხოთა მიერ...

სხვადასხვა ჯურის მომხდურთა მიერ მრავალჯერ დარბეული და დაცარიელებული ეს უძველესი ქართული სოფელი ახლიდან იქნა დასახლებული სხვა ადგილებიდან გადმოსული სომხებით, რომელთა ბოლო ნაკადი მოვიდა შნოღიდან (ყარაბაღი).

ამჟამად ქართველთა ნასახლარი, გადმოსახლებული სომხებით გამოცოცხლებული, მაგრამ უკვე არაქართული, თურქული „ახქერფის“ სახელწოდებით, ტერიტორიულად მარნეულის რაიონს ეკუთვნის. მარნეულიდან ახქერფში მანქანით შეიძლება ჩასვლა შულავერის ან სადახლოს გავლით. ორივე ეს გზა ერთმანეთს უერთდება მდ. შულავერის-წყალთან, ხოჟორნის საბჭოთა მეურნეობის ახლოს. აქედან საკმაოდ გრძელი და ცუდი გზით, რომელიც სოფელთან მკვეთრად დაბლდება, მანქანა როსტომ მეფის დროინდელი ერთმალიანი თეთრი ხიდით (თურქულად: ახქერფი) სოფლის ცენტრში შედის, გადაჭრის მას სამხრეთ დასავლეთი მიმართულებით და მდინარეში გატოპვის შემდეგ იწყებს ასვლას ბუჩქნარიან აღმართზე. აქედან უკვე საკმაოდ შეღმართებული გზა შედის ხშირ ტყეში, სადაც იგი ნელ-ნელა ისევ დაბლდება. მალე, ტყიდან დასავლეთით განპირებისას, გზის დონეზე, არცთუ ისე შორს, ერთბაშად გამოჩნდება ჯერ სახურავგადაცლილი და მცენარეულით დაფარული გუმბათი, შემდეგ თვით ტაძარი. იგი თანდათან მაღლდება თვალწინ იმის გამო, რომ მასთან აღმოსავლეთიდან მიახლოებული და მკვეთრად თავქვედაშვებული გზა დასავლეთით, ღრმა ხევისკენ, დაფერდებულ ეზოს გარს შემოუვლის სამხრეთიდან.

სწორედ ამ მხრიდან არის შესასვლელი ჰუჯაბის მონასტრის ტერიტორიაზე. აქედან მთელი სიმაღლით მოჩანს ხეობის ტყიანი ფერდობების მყუდრო გარემოცვაში გარინდებული კოხტა ტაძარი. მას მუქი იისფერი ქვის პერანგი (აქა-იქ გაბნეული ჩალისფერი ლაქებით) განდეგილობის იდუმალებით მოსავს.

ტაძრის კედლები შიგნიდან შელესილია; ამჟამად ქვედა ნაწილებში ბათქაში ჩამოცვენილია და აგურის წყობა მოჩანს. ამ საუკუნის დასაწყისში, უფრო ადრეც თუ არა, უპატრონო, კარებგაღიავებულ ტაძარში, პიგარიოვის თქმით, უამინდობის დროს თავს აფარებდნენ არაქრისტიანი მწყემსები თავიანთი ფარით და რა დღეც დაადგებოდა ტაძრის კედლების ქვედა ნაწილებს, ადვილი წარმოსადგენია... მოხატულობის არა თუ ნაშთი არ ჩანს, მისი ფერადოვანი კვალიც ჩამორეცხილია. კედლის მხატვრობა გაფერმკრთალებული ფრაგმენტების სახით შემორჩენილია ჩრდილოეთ კედელზე, კამარის კალთაზე, აღმოსავლეთი სარკმელის ჭრილში, ისიც იმის წყალობით, რომ ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხე ორსართულიანია და ძირითად ლორფინგადაცლილ სახურავში ჩაჟონილი წვიმა, ან გამდნარი თოვლი, რამდენადმე ფერხდება სადიაკვნესა და მის ზემოთ, მეორე სართულის, სათავსს შორის არსებული კამარული გადახურვის სისქეში.

1983 წლის ივნისში მოვახერხეთ მოხატულობის ნაშთთა ფოტოფიქსაცია და კედლის მხატვრობის სქემის ნაწილობრივი აღდგენა. სადიაკვნის კამარის ჩრდილო კალთასა და ჩრდილო კედლის ზედა ნაწილზე განთავსებულ რეგისტრში ფრაგმენტულად შემორჩენილია „ნათლისღება“.

სადიაკვნის ჩრდილო კედლის ქვედა ნაწილები დაფარულია უამრავი ნახშირით შესრულებული თანამედროვე წარწერით...

სადიაკვნედან დარბაზში გასასვლელთან, ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, ჩრდილოეთ კედლიდან ერთი საფეხურით წინ გამოწეულ, დაახლოებით ერთი მეტრის სიგანის სიბრტყეზე შემორჩენილია საერო პირის გამოსახულება იატაკიდან, ასე ორი მეტრის სიმაღლეზე. ჩამორეცხილ მოხატულობაზე, როგორც ნისლში, მოჩანს მავედრებელი მამაკაცი. ყველაზე უკეთ განირჩევა აღმოსავლეთისაკენ სამი მეოთხედით მიბრუნებული სახე, რომელიც განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს რაღაც შინაგანს მიყურადებული მზერით და სინანულისმაგვარი გამომეტყველებით. აქვს ოდნავ მორკალული, ფაქიზი მოხატულობის თხელი წარბები, ნუშის მოყვანილობის თვალები ქუთუთოების მკაფიო ხაზით, თხელი, სწორი ცხვირი რბილად დაბოლოებული, თითქოსდა, მთრთოლვარე ნესტოებით, ზომიერი სისქის ტუჩები კუთხეებში სევდანარევი ღიმილის ჩქამით, მუქი ფერის მომრგვალებული წვერი საკინძემდე, წვერსშეერთებული არც თუ სქელი ულვაშები, ყურის ძირთან შეკვეცილი მუქი თმა.

მისი საზეიმო სამოსელის თეთრ ფონზე მუქი მოჩითვის ძლივშესამჩნევი კონტურული კვალია. ცალი მხრიდან მკერდზე ირიბად გადმოშვებული აქვს განიერი ლენტი (ლორანი?), რომლის ღია ფონზე მუქი, არათანაბარი ზომის ლაქების თაკისუფალი განლაგებაა (იქნებ, მსხვილი ძვირფასი ქვების შესაძლო მორთულობისა), კიდეებზე კი ჩასდევს არშია ორ ხაზს შორის მოქცეული მუქი ზოლის სახით. განიერი, ნაპირებზე თეთრზოლიანი, მუქი ფერის სამკლავური წაბილწულია ნახშირით შეიარაღებული თანამედროვე „ბარბაროსის“ მიერ. მკრთალი ფერის თავსაბურავს ზემოთ აქვს შროშანისებური კუწუბოები, რომელთა უკან მოჩანს მრგვალი თაღი ღილისმაგვარი წვერით და, თითქოს, განზე ცერად გაშვერილი წვეტები (ამ უკანასკნელთა შესახებ დაბეჯითებით თქმა ძნელია). აქვე, მამაკაცის გამოსახუ-

(დასასრული 28-ე გვ-ზე).

ბაბუა წერილში მწუხარებით მაუწყებდა:: „აღარა გვყავს მარსი. ამ ორი დღის წინ დავასაფლავეთ. საცოდავი. რას იზამ, ბოლოს ალბათ, თავისი ჯერი წუთისოფელი. ლეკვი მინდა, მაგრამ სადაა...“

ბაბუაჩემი ლეკვს საგანგებოდ არჩევდა. წრთვნიდა და რომელიმე ციური მნათობის სახელს არქმევდა. კარგი და ერთგული ძაღლი კაცს სულს უნათებსო, არაერთხელ უთქვამს.

როგორმე უნდა გამექარვებინა მონადირისთვის დარდი, მაგრამ რამდენიმე უიღბლო ცდის შემდეგ, ხელი ჩავიქნიე ისეთი ლეკვის შოვნაზე, რომელიც მარსის შეცვლას შესძლებდა. ყოველდღიურმა დიდმა და პატარა საზრუნავმა ისევ ჩამითრია თავის მორევში და ბაბუას საზრუნავიც გადამავიწყა.

წერილზე პასუხიც არ მქონდა გაცემული, რომ ტელეგრამა მივიღე, სასწრაფოდ ჩამოდიო. ბებიაჩემი ტყუილუბრალოდ არ შემაწუხებდა. დარდისგან გახდა, ალბათ, ბერიკაცი ავად.

ულეკვოდ სოფელში არ ჩამესვლებოდა. ავაწრიალე თანამშრომლები, მეზობლები, ნაცნობ-მეგობრები. ვალიც დავიდე და მიზანს მივაღწიე. სასწრაფოდ მივატოვე ქალაქი და სოფლისკენ გავეშურე.

ჩია, დალეული ჰოხუცი საწოლზე იწვა და განძრევის თავიც აღარ ჰქონდა.

— რა მოგვიდა, ბაბუა?

ბერიკაცმა აკანკალებული, ძვალზე ტყავგადაკრული მარჯვენა გამომიწოდა ეტყობოდა ლაპარაკი უჭირდა. ჩემი შეკითხვა ვერ გაიგონა და ხმის აწევა მომიხდა.

— თავს როგორ გრძნობ?

ისე შეატრიალა გაძვალტყავებული ხელი ჰაერში, თითქოს უნდოდა ეთქვა, მე რაღა საკითხავი ვარო.

— შენ როგორ ხარ? — გაჭირვებით ამოღერღა.

— მაგრად! — მოჩვენებითი სიმხნევით ვიყვირე მე.

გაეღიმა.

— ხო, მართლა, შენი სურვილი შევასრულე!

მეორე ოთახში გავედი, ლეკვი შემოვიყვანე და საბანზე დავუსვი:

— ხომ კარგი ლეკვია? მარსის ჯიშისაა...

ალერსიანად გადაუსვა თავზე ხელი ლეკვს და გულზე მიიკრა. თავს მიქნევდა, რითაც შეფასებასაც გამოხატავდა და მადლობასაც.

— აწი რა უჭირს! — დაასკვნა ოთახში შემოსულმა ბებიაჩემმა.

ბაბუამ ისე აიქნია ხელი, თითქოს მანიშნა, ქალებს რა ჭკუა მოეთხოვებათო.

— მაგი უნდა მაგას? წამალი ჩამოგეტანა ქემაინც.

— ჩვენ ვიცით, მონადირის წამალი რაცაა, — თვალი ჩავუკარი ბაბუას.

ღიმილით დამიქნია თავი. ბებიას ლეკვის წაყვანა არ დაანება და ასე ჩაეძინა. მგზავრობით დაღლილმა ლეკვმაც მილულა თვალი მის გვერდით.

სიგარეტის მოსაწევად აივანზე გამოვედი. ბებიაც გამომყვა.

— რა დაემართა?

— ხომ იცი, მაგის მოუსვენრობის ამბავი. სულ მთლად გალუმპული და გრძნობადაკარგული ამოიყვანეს მეზობლებმა ღელედან, — რაღაცას მიმალავდა ბებია. თვალს მარიდებდა და ჩუმად ოხრავდა.

ორიოდე საათის შემდეგ რაიონული ცენტრიდან საგანგებოდ ჩამოვიყვანე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოცაღიჩის სიკვდილი

პოთხრობა

ადგილობრივი მთავარი ექიმი და ბაბუას დავაყენე თავზე. რაიონის მთავარმა ექიმმა აუღელვებლად გასინჯა. კარადაზე დაწყობილ წამლებს დახედა. სწორი მკურნალობა დაუნიშნავს სოფლის ექიმსო, თქვა.

ხელები დაიბანა. ღიპზე ღილი შეიხსნა. მადიანად ივახშმა. ჯიბეში ჩაცურებული ოცდახუთმანეთიანისთვის არც დაუხედია, მაგრამ უტყუარი გუმანით განსაზღვრა გასამრჯელოს რაოდენობა, ეტყობა ეცოტავა და ჩქარი ნაბიჯით მიაშურა ეზოში გაჩერებულ მანქანას.

— რას გვირჩევთ, ბატონო? — დავეწიე მიმავალს.

— რა უნდა გირჩიო? სხვა დროს ტყუილად ნუ მომაცდენ!

— რა ბრძანეთ? — ავენთე.

— რამდენი წლისაა ბაბუაშენი? — მოლბა ექიმი.

— ოთხმოცდაცამეტისა.

— უკვდავი არავინაა ამქვეყნად. სუფთა ჰაერმა, არხეინმა ცხოვრებამ გააძლებინა ამდენ ხანს, თორემ სული როგორ უდგას, საოცარია.

არც დამმშვიდობებია, ისე მიიჯახუნა მანქანის კარი. ბოლმა მომაწვა ყელში, მაგრამ თავი შევიკავე. ოდას მივაშურე. ბაბუამ საწყლად გამიღიმა.

— სუფთა ჰაერმა, ნადირობამ, არხეინმა ცხოვრებამ ას წელზე მეტი უნდა გააძლებინოსო!

— არხეინმა ცხოვრებამო? რა ესმ... მაგას! მთელი ჩემი სიცოცხლე გადასახლებაში გავატარე, — გაბრაზებამ მთელი ფრაზა გამართულად წარმოათქმევინა ბაბუას.

ძლივს !დავამშვიდე. დიალოგს თავი ავარიდე, რადგან არ მინდოდა გადამეღალა. ისევ აივანზე გამოვედი სიგარეტის მოსაწევად და შვებით ამოვისუნთქე. ბოლო ფრაზამ ბაბუას გამოჯანმრთელების იმედი დამიბრუნა .

ოთახში დავბრუნდი და მხოლოდ ახლა შევათვალიერე იქაურობა. თვალში პირველად კედელზე ირმის ქორბუდა რქები მეცა. ახლა შევამჩნიე, რომ სწორედ ამ რქებზე ჩამომეკიდა პალტო. თუმცა ბებიას თავშალი, გვერდით, ქალაქში შეძენილ ტანსაცმლის სტანდარტულ ჩამოსაკიდზე ეკიდა.

ირმის, ისევე როგორ მეზობელ ოთახში ჯიხვის რქებს, გარეული ტახის ეშვებს, ბაბუა ტანსაცმლის ჩამოსაკიდად ხმაროდა. მე ადრეც ყოველთვის ბაბუას ნანადირევზე ვკიდებდი ტანსაცმელს, რითაც ბებიის ფარულ ღიმილს და ბაბუას მრავალმნიშვნელოვან თვალის ჩაკვრას ვიმსახურებდი.

სტუმრების მისაღებ ოთახს, „ზალას“ რომ ვეძახით, ისევ ამშვენებდა ორი დათვის ტყავი, რომლებსაც თითქმის აღარ შერჩენოდა ბეწვი და გახეხეშებული კანიც აქა-იქ დასკდომოდა.

ჩვეულებრივ იატაკზე დაგებული ტყავები ამჯერად ტახტზე დამხვდა სათუთად დაფენილი.

ვეფხვის ტყავი კი კედელზე გაეკრათ გულმოდგინეთ. საგრძნობლად შელახული გახლდათ, მაგრამ უსურიის ტაიგაში ნადირობის ამბავს იმდენად შთამბეჭდავად ჰყვებოდა მონადირე, რომ თანამეცხედრეს აზრადაც არ მოსვლია, როდესმე ესთეტიკური, ან თუნდაც ჰიგიენური მოსაზრებით გაებედა მისი ხელყოფა.

გაზაფხული იყო, მაგრამ ღამით ოდის ცარიელ, თითქოს დაობლებულ ოთახებში ციოდა. შეშა შემოვიტანე და ბუხარს შევუკეთე.

ბებია სასთუმალთან იჯდა და ისეთი სევდა დაგუბებოდა თვალებში, რომ უცებ ჩემთვის ნათელი გახდა იმ ორი ადამიანის დიდი სიყვარულისა და სინაზის, ურთიერთგაგებისა და გატანის შეუცნობლად დარჩენილი ისტორია, რომლებსაც ბებიას და ბაბუას ვეძახდი.

ბებიასა და ბაბუას ტანსაცმლის ჩამოსაკიდი! აქამდე მეგონა, რომ ამ ერთი შეხედვით უმნიშვნელო საგნით, ორი ერთმანეთს შებერებული ადამიანის ცხოვრებისეული პოზიცია მჟღავნდებოდა და ამიტომაც ხაზგასმით წარმოვაჩენდი საკუთარ დამოკიდებულებას. მხოლოდ ახლა-ღა მივხვდი, რომ ბებია კი არ უპირისპირდებოდა დაბერებული მონადირის ახირებას, არამედ უფრთხილდებოდა ნანადირევს, რომლისთვისაც დროს თავისი დაღი დაესვა.

პალტო ბებიას ჩამოსაკიდზე გადმოვკიდე. უსიტყვოდ მიმიხვდა ბებია ყველაფერს და ცრელმომდგარი თვალებით მითხრა მადლობა. მხრებზე მოვხვიე ხელი და ბუხრის წინ დავსვი. მონადირეს ეძინა.

ბაბუას უყვარდა ბუხართან ჯდომა და სანადირო თავგადასავლების მოყოლა. მზად ვიყავი დაუსრულებლად მესმინა ეს ამბები, რომლებიც ყოველთვის ახალ-ახალი ვერსიებით მდიდრდებოდა. ბავშვობაში თვითონ ამბავი მიტაცებდა, შემდეგ კი მისი ვარიაციებიცა და ბაბუაჩემის, როგორც მთხრობელის ამოუწურავი შესაძლებლობანი.

სოფელში ისინი ლეგენდებად ვრცელდებოდა. მხოლოდ ბერიკაცებს, ვინც ახალგაზრდობაში იცნობდა ბაბუას, და ბავშვებს სჯეროდათ მონაყოლისა. გაზვიადების ელემენტი მათში უთუოდ იყო და სწორედ ეს იწვევდა მსმენელთა ირონიულ დამოკიდებულებას.

მოხუცი მონადირე გრძნობდა ამ ირონიას და მსმენელთა რაოდენობის შემცირებასაც მწვავედ განიცდიდა. მისთვის სულ უფრო ძნელი ხდებოდა დუმილი და თხრობის დროს დამაჯერებელი პროპორციების დაცვაზე ზრუნვა.

იქნებ ნანადირევს იგი არგუმენტის მნიშვნელობას ანიჭებდა? ნივთიერი მტკიცების მოშველიების საჭიროებასაც ვერ შერიგებოდა და უფრო საკუთარი თავის, ვიდრე სხვების დასაჯერებლად ცდილობდა, ნანადირევისთვის ყოფითი დანიშნულება მიეცა.

ულმობელი დრო კი თავისას აკეთებდა. მონადირის ნადავლს უკვე კარგა ხანია და-

ეკარგა არამარტო ყოფითი, არამედ ყოველგვარი ფუნქცია. ძველი მონადირისთვის კი წარმოუდგენელი იყო ნადავლთან ისევე, როგორც წარსულთან, წუთისოფელთან, სამარადისო განშორება.

— დაწექი, ბიჭო, დაისვენე, დაიღლებოდი მგზავრობის მერე, — ჩურჩულით თქვა ბებიამ. ეტყობა პირველად არ ათენებდა ღამეს ავადმყოფის სასთუმალთან.

დიდხანს ვერ დავიძინე. ვვარაუდობდი. რა უნდა მომხდარიყო ისეთი, რომ ჯერ კიდევ ჯანმაგარი ბერიკაცი, ღელედან მეზობლების ამოსატანი გამხდარიყო. ვერაფერი მოვისაზრე. მეხსიერებაში ამოტივტივებული თევზაობის ეპიზოდებიც თანდათან გაქრა და ჩამეძინა.

რატომღაც იმ ღამეს ყველაზე უსიამოვნო მოგონება გამიცოცხლდა სიზმარში. თითქოს ერთხელ კიდევ ამოვიყვანე უხსენებელი ბადით...

აფართხალებული თევზების სიმძიმით გახარებულს ლამის იყო ყიჟინა ამეტეხა, მაგრამ ბადიდან თავგამოყოფილი ქვეწარმავლის დანახვამ და მკლავებზე ცივი, დაკლაკნილი სხეულის შეხებამ, ენა წამართვა. ცივმა ოფლმა დამასხა. ბადე მოვისროლე და თავქუდმოგლეჯილი გავიქეცი...

ოფლში გაწურულს გამეღვიძა. სასწრაფოდ გავვარდი მეორე ოთახში. ბაბუა უკეთესად გამოიყურებოდა.

— რა ლეკვია, ბიჭო! — შემეხმიანა ჯერ კიდევ სუსტი, მაგრამ გახარებული ხმით.

— ვისაუზმოთ, მგელივით მშია, — ვთქვი დამშვიდებულმა და მართლაც ვიგრძენი შიმშილი.

თავი დამიქნია.

ბებია დაფაცურდა, სასწრაფოდ შემოიტანა საჭმელი. ბაბუა უმადოდ ილუკმებოდა. მერე ლეკვს მიაწოდა ხორცის ნაჭერი და მის მსუნაგობაზე გაეღიმა.

— მაგის გასაძღომად ვიკლავდი თავს? — აწუწუნდა ბებიაჩემი.

თეფშები რომ გაქონდა დიასახლისს ოთახიდან, საიდუმლოდ მიხმო ბაბუამ სასთუმალთან.

— ჩვენი თავმჯდომარის მძღოლი მოინახულე, შემატყობინე როგორაა. ნურაფერს დამიმალავ თუ კაცი ხარ.

— სად ცხოვრობს?

— ასმათთან არის ჩასიძებული... ვინც კაცად ვარგოდა, ყველა ქალაქში გაგვექცა. დარჩა მაგას ბურთი და მოედანი.

ჩავიცვი და წასასვლელად გავემზადე.

— არ უთხრა, რომ მე გამოგაგზავნე, — კარებთან დამეწია მისუსტებული ხმა. — თუმცა ასმათი მაინც გიცნობს.

მინდოდა მეკითხა ასმათი ვინღაა-მეთქი, მაგრამ თავი შევიკავე.

კითხვა-კითხვით მივაგენი თავმჯდომარის მძღოლის ორსართულიან სახლს. ცუდ დროს მომივიდა მისვლა. ოჯახის წევრები საუზმობდნენ. პირველი სართულის ერთ-ერთ ღია კარში ჩანდა მაგიდასთან თავდახრილი ორი ბიჭი, ქალი და კაცი. კაცი ზურგით იჯდა ჩემკენ და თუმცა ძარღვენა მხარი შეხვეული ჰქონდა, ორივე ხელს სწრაფად ამოძრავებდა.

— მასპინძელო! — დავიძახე მე.

კარი მიიხურა. მცირე ხნის შემდეგ ქალი გამოვიდა გარეთ და საგულდაგულოდ ამათვალიერ-ჩამათვალიერა.

— რა გნებავთ?

— თავმჯდომარის მძღოლის ნახვა მინდოდა.

ქალი შეკრთა, თვალს არ მაცილებდა, თითქოს მიცნო. მეც გავიფიქრე, რომ ეს ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ თავაღებული შრომისგან უდროოდ დაბერებული სოფლელი ქალი სადღაც მენახა.

— ცუდადაა, ბატონო, ვნახავ თუ არ ძინავს...

კარი ისევ საგულდაგულოდ მოხურა. საკმაო ხანს ვყურყუტებდი გაურკვეველ მდგომარეობაში. უკან გაბრუნებაც კი დავაპირე, მაგრამ ბაბუას მოლოდინით სავსე თვალები გამახსენდა და დავრჩი.

— მობრძანდით! — დამიძახა ქალმა მეორე სართულიდან.

ზევით ავედი. მასპინძელი მდიდრული ავეჯით მოწყობილ ოთახში შემიძღვა. საწოლზე უხეშნაკვთებიანი სახის კაცი გაჭიმულიყო და დაძაბულად მომჩერებოდა. არ მომეწონა ამ კაცის დაჟინებული და გაბოროტებული მზერა, მაგრამ არაფერი შევიმჩნიე.

— გამარჯობათ, როგორ ბრძანდებით! — უხერხულად ავიტუზე საწოლთან, რადგან დაჯდომა არავის შემოუთავაზებია.

— ინვალიდადაც რომ დავრჩე, ჩემ ძტერს მაინც არ გავახარებ! — რატომღაც დაუფარავი მუქარით მიპასუხა მწოლიარემ.

დავიბენი, აღარ ვიცოდი, რა მეთქვა.

— თუ კაცი ვარ, მაგ ტყუილების გუდის ოხტში ამოვალ — სიბრაზისაგან დორბლმორეულმა საბანი გადაიხადა და მძლავრი აღანაგობა გამოამზეურა.

ვიცანი. ის კაცი იყო, ამ მცირე ხნის წინ მაგიდასთან რომ იჯდა და საჭმელს ორი ხელით იტენიდა პირში. ცივ მზერას არ მაცილებდა.

გაოგნებული ვიდექი. თავი სიზმარში მეგონა. ისევ დამეუფლა ის გრძნობა, ღამით რომ განვიცადე. თითქოს ისევ ამოვიყვანე ქვეწარმავალი ბადით.

— ამიხსენით, რაშია საქმე? — რაც შეიძლება მშვიდად ვიკითხე.

— ვითომ არ იცი, იმან არ გამოგაგზავნა?!

მძღოლმა დაბნეულობა შემატყო.

— გადი, ქალო, გარეთ, ჩვენ მამაკაცური ლაპარაკი გვექნება! — ახლა ცოლს უყვირა.

ქალი უსიტყვოდ გაიძურწა ოთახიდან.

— დაგიმალა არა? მოგიყვებოდა, როგორ გაწყვიტა ტაიგაში დათვები და ვეფხვები, მაგრამ ამ სიბერეში ადამიანჯ ნადირობა რომ დაიწყო, იმას გაგიმხელდა?

თავჩაქინდრული ვიჯექი და ვუსმენდი. არ შემეძლო ამ კაცის უტიფარი სახისთვის მეცქირა.

— თავმჯდომარეს სტუმრები ჰყავდა რაიკომიდან. ისიც იყო, — რატომღაც ხმას დაუწია მძღოლმა და თითი ჭერისკენ აიშვირა. — ჰოდა, რომ დალიეს, ცოცხალი მოუნდათ.

მაგან მარამდე სოფელში ჭორი გაავრცელა, ღელეში თევზი მომრავლდაო და დავუჯერე მეც. ორი თავი ლორჯოს მეტი ვერაფერი ვიშოვე.

მოვარდა ცოფიანივით, მოყვა გინებას და გაგდება მომინდომა. ცარიელი ხელით ვერ მივალ, სტუმრები გვყავს-მეთქი, ავუხსენი. მამაზეციერი რომ გყავდეს სტუმრად, მაინც არ მოგცემ ნებასო. — გამეჭიმა. წადი ბიძია სახლში-მეთქი. ვკარი ხელი.

გავარდა სახლში, მოიტანა თოფი და დამიმიზნა. რომ ვერ შემაშინა, მესროლა, — ბოღმიანად, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ყვებოდა მძღოლი.

ვხვდებოდი, არ იყო ბოლომდე გულახდილი.

— ახლაც გაუგებარია რამე?! — ეკითხა.

— დიახ, რის ნებას და რატომ არ გაძლევდათ?

— მაგას თავისი გონია ღელე, სოფელი.

— დინამიტს ისროდი? — ჯიქურ დავუსვი კითხვა.

დაეჭვებით შემათვალიერა.

— შენ იმის შვილიშვილი ხარ, თუ გამომძიებელი?

— გამომძიებელი ნამდვილად არა ვარ.

— იმ თავქარიანის შვილიშვილი ხომ ხარ?

— ვის გულისხმობთ? — ჯერ კიდევ ვცდილობდი, შემენარჩუნებინა ზრდილობიანი ტონი.

— ვითომ არ იცი, ვისი? — აგდებულად მიპასუხა. — აქ მოსვლა თუ გაბედე, ნუ გეშინია, სტუმარი ხარ, ვინც არ უნდა იყო.

— მერე, ვინ გითხრა, რომ მეშინია? — გავუსწორე თვალი.

— შენ ცალი ხელით გიჩვენებ სეირს! — ისევ აყვირდა და საბანი გადაიხადა.

— ნუ შეწუხდები, იწექი, — საწოლთან დავიხარე, ხელი დავუჭირე და საბანი გადავაფარე.

აფართხალდა, ხელის განთავისუფლებას ეცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და ნირი წაუხდა.

— ყველაფერი თქვი უკვე?

— დანარჩენს სასამართლოზე ვიტყვი, — ჩაიბურდღუნა ჩემს გასაგონად.

— ჯერ ერთი, დინამიტისათვის დასასჯელი თვითონა ხარ. ამიტომ არ იჩივლებ. მეორეც, თუ გავიგე, რომ ბაბუას მისამართით წამოგცდა კიდევ რაიმე უხიაგი სიტყვა, მაშინ იცოდე, მე არ აგაცდენ, — დაგროვილ ბოღმას ვერ მოვერიე და მუშტი სახესთან მივუტანე.

ამ არგუმენტმა სწრაფი ზემოქმედება მოახდინა.

მე რომ რაიმე მომსვლოდა, ჩემ ბიჭებს ის მოუვლიდა, თუ შენ? — მოისაწყლა თავი მძღოლმა.

— უშენოდ შეიძლება ადამიანებად დაზრდილიყვნენ, შენს ხელში კი ძალიან საეჭვოა.

— ზარალსაც არ ამინაზღაურებთ? — ახლა ვაჭრობის ხასიათზე დადგა იმედგადაწურული.

— ეგ კიდევ გასარკვევია, ვინ უფრო დაზარალდა. იცოდე, ავადაა ბაბუა და რამე რომ მოუვიდეს...

— ქალო! — აღრიალდა უცებ მძღოლი, ოთახში ქალი შემოიძურწა. სახე გაწითლებოდა და თვალს მარიდებდა. ახლაღა მენიშნა ბაბუას სიტყვები, ასმათი გიცნობსო. გამახსენდა, ბავშვურ თამაშობათა მონაწილე სოფლელი ცქრიალა გოგონა. როცა წამოიზარდა, ჩემს დანახვაზე რატომღაც წითლდებოდა და მემალებოდა. ბებიაჩემი ისე მიქებდა ასმათს, რომ ვატყობდი, საიათკენაც უმიზნებდა...

— გააცილე სტუმარი! — უბრძანა ქმარმა ცოლს და თვალები დაუბრიალა.

— კარგად ბრძანდებოდეთ! — აღარც მე დავარღვიე ეტიკეტი.

— წამოვდგები და მოგივლით ორივეს ერთად, — კარის ზღურბლთან დამადევნა გათამამებულმა.

აღარ შემოვბრუნდი. ასმათი და კართან ატუზული ბიჭები დავინახე.

ბაბუაჩემი მოუთმენლად მელოდა.

— როგორაა? — მკითხა ოთახში შესვლისთანავე.

— ჭრილობა უმნიშვნელოა და მალე შეუხორცდება.

— კარგი ერთი!..

— გეუბნები, დათვივითაა-მეთქი და დამიჯერე.

თუმცა უკვე ვიცოდი, რაც მოხდა, მაგრამ მაინც ვთხოვე ბაბუას, მოეთხრო ყოველივე. მინდოდა, დარდი გაეზიარებინა ჩემთვის და ამით შემსუბუქებოდა მძიმე ტვირთი.

მიყვებოდა ბერიკაკი. ყოველთვის მაოცებდა მისი თხრობის უნარი, თითქოს ხატავდა, ისე ხატოვნად აცოცხლებდა ამბავს.

მიყვებოდა ბაბუა და თვალწინ მედგა აფეთქების ხმაზე ღელესაკენ გაქცეული მოხუცი. ამღვრეულ წყალში გულალმა ამოტივტივებული ლიფსიტები. აღელვებული ბერიკაკი, რომელიც ჯერ დარწმუნებას ცდილობდა, მერე ევედრებოდა. ბოლოს იმედგადაწურული ეჯაჯგურებოდა თავმჯდომარისა და მისი სტუმრების იმედით საკუთარ სიძლიერეში დარწმუნებულ ავკაცს.

დადუმდა თხრობით დასუსტებული. ვგრძნობდი, დუმილი უნდა დამერღვია, მეთქვა რაღაც, მენუგეშებინა.

— შარშან კარგი მიმინო გყავდა ბაბუა?

გაოცებულმა შემხედა და თავი დამიქნია.

— ასე იცის მიმინოთი ნადირობამ.

ვერ მიმიხვდა მონადირე. ალბათ ეგონა, რომ მინდოდა უსიამო თემიდან გადამეხვია და მხარი ამიბა.

— კარგი თოფი ახლა ყველას აქვს. იშოვება მაღაზიაში და ყიდულობენ... ორიოდე მწყერიღა-ღა თუ დაფრინავს ჩვენს ყანებში და ათი მონადირე დასდევს თოფით...

— სროლა ხომ არ დაგავიწყდა?

ახლა კი მიმიხვდა, საითკენ ვუმიზნებდი და თავი **იმართლა:**

— შევაშინებ-მეთქი, მაგრამ ხელი ამიკანკალდა და...

— მსუბუქად დაჭერი, თუმცა აჯობებდა უფრო ზუსტად მოგეხვედრებინა.

— რას ამბობ, ბიჭო, ის ვერ მომინელებია, კაცს როგორ ვესროლე-მეთქი.

— ორი მსოფლიო ომის მონაწილე მეუბნები მაგას?

— იქ მტერს ვესროდი.

— მტერს... ეგ შენ ვინ გგონია? მაგისთანები მარტო ბუნებისა კი არა, ყველა ჩვენგანის მტრები არიან.

ბერიკაცმა თითქოს შვება იგრძნო.

— მაინც დასაფასებელი კაცია...

— რა თქვი? — გაოცებული ჩავეკითხე.

— მტერი დაუძახე შენ. ეგ არსად არ გარბის. არც აპირებს.

მივხვდი, რისი თქმაც უნდოდა ბერიკაცს და სიტყვა ყელში გამეჩხირა.

— მითუმეტეს, ჭკუის სწავლება არ აწყენს.

— ვიცოდი, გამიგებდი. სასამართლოსი არ მეშინია. პასუხსაც ვაგებ. მაგრამ, — ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა, ეტყობოდა ძალზე გადაიღალა.

— დაისვენე ახლა ბაბუა, დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ.

იმ ღამეს აღარ დავანებე ღამის თევა ბებიას. ვიჯექი ავადმყოფის სასთუმალთან და ჩემი ბავშვობის საუკეთესო ეპიზოდები მახსენდებოდა.

ბაბუას წყალობით საზაფხულო არდადეგების სოფელში გატარება ყოველთვის დღესასწაული იყო ჩემთვის. ახლაც წარმომიდგა თვალწინ გათლილ ჯოხზე, რომელსაც შუაში კალიების ან სველი ჯადის გუნდა ეკრა, გრძელი კანაფით მიბმული მოფარფატე ღაჟო, რომელიც თანდათან სწავლობდა მონაცვლე ორიენტირის მიმართულებით ფრენას.

დაუფარავი აღტაცებით ვაკვირდებოდი ყოველ მოქნევას. ღაჟო სულ უფრო იშვიათად ეკიდებოდა თავუკუღმა. ბოლოს მშვენიერი სანახავი იყო ბაბუას დაკოჟრილ ხელში საოცარი რიტმით ათამაშებულ ჯოხზე აქეთ-იქეთ მფრინავი ჩიტი.

ბექობზე წნელის ქოხში გატარებულ საათებს რა დამავიწყებდა! ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ბაბუა მიმინოს მოსატყუებლად ჯოხს მანდობდა. ერთხელ ტყვიასავით წამოსულ მიმინოს ვერ ავაცილე ჩიტი და ბადე ორივეს ერთად გადავაფარე.

თუმცა ხელოვნება სწორედ იმაში გამოიხატებოდა, რომ მსხვერპლი მოხერხებულად ამეცდინა კლანჭებისაგან და ბადე დროულად დამეფარებინა მხოლოდ მტაცებლისათვის. გამოცდილ მონადირეს არაფერი უთქვამს.

იმ მიმინოს ჩასისხლიანებული თვალები ჩემში კარგა ხანს იწვევდა შიშნარევ ძრწოლასა და ბრაზს. მხოლოდ მაშინ, როცა ისწავლა მონადირის სურვილის უყოყმანოდ შესრულება, შევამჩნიე, როგორ დაწმენდოდა თვალები მტაცებელს.

მიმინოთი ნადირობა მართლაც დიდებული სანახაობა იყო. ბაბუას ხელიდან აფრენილი მტაცებელი, მსხვერპლს რომ დააცხრებოდა, საკუთარ ნადავლს დაუფიქრებლად მიუტანდა მონადირეს.

ჩამძინებოდა სასთუმალთან. ფეხაკრეფით დადიოდა ოთახში ბებია. ლეკვს ეფერებოდა ბაბუა. საათისკენ გავაპარე თვალი. დილის ათი საათი იყო.

— წელს არ აპირებ მიმინოს გაწვრთნას? — უფრო უხერხულობის დასაფარავად ვკითხე.

— მინდა.

— ღირს კი შრომად და წვალებად?

— ღირს, — გადაწყვეტით მითხრა. — არ არსებობს მტაცებელი, რომლის მორჯულება არ შეიძლებოდეს.

— მტაცებელ კაცს ვერ მოარჯულებ, თორემ, — დაუმატა ბებიამ და საუზმის მოსატანად გავიდა.

ჩაფიქრდა ბაბუა:

— თუ სოფელი სოფელს არ ემსგავსება და კაცი კაცს, რაღა იქნება მაშინ ჩვენი ცხოვრება...

— გულს ნუ გაიტეხ, არც ეგრეა საქმე, თავი დამიკრა მონადირემ.

— ის მითხარი, როდის ვინადირებთ ერთად?

ამ სიტყვებზე ბაბუა წამოდგა, წელგამართულმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. სიარული უჭირდა და ხელი შევაშველე. დასუსტებულმა ისევ საწოლს მიაშურა.

ვისაუზმეთ. საგანგებო თათბირის შემდეგ გადავწყვიტეთ, როგორც კი ფეხზე წამოდგებოდა, ღელეზე წავსულიყავით. საუზმის შემდეგ ჩაეძინა მოქანცულ ბერიკაცს;

აივანზე გამოვედი. ეზოში გვრიტი დავინახე. გამაღიზიანებლად დახტოდა ჩვენი ოდის წინ.

ბაბუას თოფი გამოვიტანე და ვესროლე. გვრიტი შეფრთხიალდა, გაფრენა სცადა, მაგრამ უსულოდ დაეცა მიწაზე.

თავქუდმოგლეჯილი გავვარდი ეზოში. ხელში ავიყვანე უსულო ფრინველი და მონადირისეული სიამაყე ვიგრძენი. მივაბიჯებდი ოდისკენ და თან ვფიქრობდი ბაბუას გავახარებ-მეთქი:

თოფის გავარდნის ხმაზე გაღვიძებოდა.

— რა ამბავია? — მომესმა მისი ხმა.

გაბრწყინებული, ნანადირევით ხელაღმართული შევედი ოთახში. სახე შეეცვალა მოხუც მონადირეს.

— რა მოხდა?!

— ამდენი არ იცი ამხელა კაცმა, ამ დროს ბარტყები რომ ყავთ ჩიტებს? — ბაბუას მაგივრად მიპასუხა გულდაწყვეტილმა ბებიაჩემმა.

გავშრი. ხმა ვერ ამოვიღე. თავჩაღუნული ვიდექი ერთხანს. ეტყობა შეეცოდე და ისევ ბაბუამ დაარღვია დაძაბული სიჩუმე:

— მონადირეებს ბუნების პატივისცემა გვმართებს და მტაცებელი ცხოველების განუკითხავი ხოცვა-ჟლეტაც კი არ გვეპატიება. მაგრამ ამას ვინ ჩივის. როცა უფრო დიდი ცოდვისგან ვერ დაგვიღწევია თავი.

— რა ცოდვაა ასეთი?

— ადამიანების ადამიანებზე ნადირობა. ომის დროს კიდევ შეიძლება შეეგუო ამას, მაგრამ მშვიდობიანობისას, თანამემამულისა და თანაძმობის გამეტებას, გამართლება არ მოეძებნება.

— სიბერეშიც არ იშლი შენსას? ახალგაზრდობა ხომ გაიმწარე და თუ გადარჩი, მხოლოდ იმიტომ, რომ ერთ-ერთი პირველთაგანი გადაგასახლეს, — აბუზღუნდა ბებია.

— მოაზროვნე ხალხს რომ გაუსწორდნენ, მერე ისე გაუჯდათ ძვალ-რბილში სისხლის წყურვილი, ერთიმეორეს დაერივნენ. ასეც იყო მოსალოდნელი, რადგან შეუზღუდავი ძალაუფლება იმათ იგდეს ხელთ, ვისაც სამშობლოს ცნებაც კი დაკარგული ჰქონდათ.

— „დიდ ქართველს“ გულისხმობ?

— მარტო რას გახდებოდა. ახლა ყველა უბედურებას მაგას აბრალებენ, ავიწყდებათ, რომ კლასობრივმა დაუნდობლობამ, წითელმა ტერორმა და დიქტატურამ დაბადა დიქტატორი, ჩააყენა იგი იმ ხელისუფლების სათავეში, რომელსაც განუკითხავი რეპრესიები, ადამიანებზე ნადირობა ედო საფუძვლად.

მივჩერებოდი ჩემს სისხლხორცეულ წინაპარს. მეგონა ყველაფერი ვიცოდი მის შესახებ, თურმე არც მცნობია. ვერაფრით წარმოვიდგენდი, ასეთ ტკივილს თუ ატარებდა მთელი ცხოვრება.

— გიკვირს? მამაშენისთვის არ გამიმხელია, მაგრამ შენ ვერ დაგიმალე. არ მინდა, ნაოცნებარი თან ჩავიტანო, შენ მაინც უნდა მოესწრო სანატრელ დღეს. მე ჩემი ჯერი წუთისოფელი მოვინადირე უკვე...

— რას ამბობ!

— ახალს არაფერს. ისიც კი, ვისაც აქ მარადიული მასპინძელი ჰგონია თავი და სხვებს ისტუმრებს იმქვეყნად, წუთისოფლის სტუმარია. სწორედ ამიტომ, არავისა აქვს სიცოცხლის ხელყოფის უფლება. ღმერთმა ქნას, შენ მაინც იცხოვრო ადამიანურად.

დაუსუსტდა ხმა მოხუცს. თვალები მიელულა. ბებიამ მანიშნა და ფეხაკრეფით გამოვედი ოთახიდან.

მცირე ხნის შემდეგ წკმუტუნი შემომესმა. საწყლად, გულისწამღებად წკმუტუნებდა ლეკვი. საწოლთან მივიჭერი. გაქვავებულივით იდგა სასთუმალთან ბებია.

ბაბუა აწი ვეღარასოდეს ინადირებდა.

19037
საქ. სსრ კ. მარქსის

სპეციალური N 40586

ეკა

ჟურნალ „დროშის“ 1986 წლის ივნისის ნომერში გამოქვეყნდა თეატრმცოდნე ეკა ძიგუს „ერთი გამოშვების ბედი“, რომელიც თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის პირველი გამოშვების (1940 წ.) კურსდამთავრებულებს ეხება. ნარკვევი მთავრდება ასეთი სიტყვებით: „ერთი გამოშვების სტუდიათა მრავალი ადამიანის ბედზე დაგვფიქრა. ბევრი რამ კვლავ ამოუხსნელი დარჩა. ვიმედოვნებთ, ამ წერილს უეჭველად გამოეხმაურება მკითხველი, რაც საშუალებას მოგვცემს, მომავალში უფრო სრულად წარმოვადგინოთ ჩვენი თაობებისთვის ესოდენ სამაგალითო ადამიანების ცხოვრების ყურადსაღები ეპიზოდები“. ეფიქრობთ, რომ ბევრი ტორიშვილის ამ დაგვიანებულ გამოხმაურებას დღესაც გულისხმიერად შეხვდება ჩვენი მკითხველი.

●

1944 წლის გაზაფხული იდგა. დერეფთან გარეკილნი ცალ-ნელ-ნელა ფერმკთალდებოდა. ყუმბარებით გადათხრილი მიწიანის შიშით იჭყიტებოდნენ პირველი ყვავილები. ცივი ქარი ბეგრისა და ნაგავს მიხეტავდა ეზოებში, შეშზარავად დასისინებდა უმინო, ფარფლალა ოთახებში და საბრალოდ აჭრიალებდა სანახევროდ ჩამოგდებულ კარებსა და დარაბებს. იმ დღეს, მიუხედავად უამინდობისა, გამოეცოცხლება იყო სტანიცა კრიმსკაია-ში. საკუთარ კერებს მიბრუნებული ლტოლოველები ეზოებსა და სახლ-კარს ნანგრევებისაგან წმენდდნენ, თვალცრემლიანნი მისჩერებოდნენ ახეხილ ნარგავებსა და დანახშირებულ კარმიდამოს. ყოველი გავერანებული ნივთის აღმოჩენისას თავშოლის წვერით იწმენდნენ უპეებს და ყურეთ-კოლეტით იხსენიებდნენ ამწოლა-კეტლებს.

ერთ-ერთ უბანში ჩოჩქოლი ატყდა. ახალი ელდით შეშინებული ხალხის ნაკადი სწრაფად განერიდა ნაცრისფერ სახლს — სარდაფში მტრის მიერ საიმედოდ შენახული ავიაბომბები აღმოჩნდა.

სწრაფად მოკმედებდნენ გამოცდილი ბანაღმოსავები. სათუთად აკლიდნენ მიწას ყანგმოკიდებულ, მომავალდნენებულ ფოლადს. ფრთხილად აწყობდნენ მანქანების ქვიშამოყრილ ძარებზე. ჯარის კაცების სახეებზე შიში აღბეჭდილიყო. ოფლი მეკ ლაქებად ანჩდა გამიხუნებულ ხალათებს.

შუბინდებისას უკანასკნელი მანქანა გავიდა სტანიკიდან და ფრთხილად აიღო გეზი მინდვრებისაკენ. გავიდა და უკან აღარ დაბრუნებულა. დიდხანს უცდიდნენ შინაგრძნობ თანამებრძოლებს. დიდხანს უცდიდნენ ოჯახებში ომში წარგზავნილნი.

●

ოდიოგანვე წესად ჰქონდათ მარტყოფელებს — მომქანაცავი დღის ბოლოს ძველ ეკლესიასთან ბერძენის ჩრდილქვეშ ჩახარათ მუხლი. აკანესდებოდა ზარნა, აბუბუნდნენ დოლი და სიამით ათრთოლებდა მთელი დღის ჯაფით მოლილი სხეულები. გაჩაღდებოდა სიმღერა-გაშაირება, ჭიდაობაში ძალას გამოცდიდნენ კუნთმაგარი ვეფაკაცები, ტაშთა და შეძახილებით აღაგზნებდნენ მოცეკვავე ქალ-ვაჟს და სიცილ-ეისესთან ნაფლეთებად გლეჯდნენ ირგვლივ გამეფებულ დღემარებას.

გადიოდა ხანი. ახალგაზრდებს მარტო ცეკვა-თამაში აღარ აკმაყოფილებდათ. სათუთად აკლიდნენ მიწას ყანგმოკიდებულ, მომავალდნენებულ ფოლადს. ფრთხილად აწყობდნენ მანქანების ქვიშამოყრილ ძარებზე. ჯარის კაცების სახეებზე შიში აღბეჭდილიყო. ოფლი მეკ ლაქებად ანჩდა გამიხუნებულ ხალათებს.

შუბინდებისას უკანასკნელი მანქანა გავიდა სტანიკიდან და ფრთხილად აიღო გეზი მინდვრებისაკენ. გავიდა და უკან აღარ დაბრუნებულა. დიდხანს უცდიდნენ შინაგრძნობ თანამებრძოლებს. დიდხანს უცდიდნენ ოჯახებში ომში წარგზავნილნი.

●

ოდიოგანვე წესად ჰქონდათ მარტყოფელებს — მომქანაცავი დღის ბოლოს ძველ ეკლესიასთან ბერძენის ჩრდილქვეშ ჩახარათ მუხლი. აკანესდებოდა ზარნა, აბუბუნდნენ დოლი და სიამით ათრთოლებდა მთელი დღის ჯაფით მოლილი სხეულები. გაჩაღდებოდა სიმღერა-გაშაირება, ჭიდაობაში ძალას გამოცდიდნენ კუნთმაგარი ვეფაკაცები, ტაშთა და შეძახილებით აღაგზნებდნენ მოცეკვავე ქალ-ვაჟს და სიცილ-ეისესთან ნაფლეთებად გლეჯდნენ ირგვლივ გამეფებულ უზრაგადა თანამოფლეგულს.

პატარა ფაშა, როგორც სიყვარულით ეძახდნენ ქრისტეფორე კუპრაძეს, დადგმეფის მეფდნეი მოხაწილე იყო. ცხონებამოყვარე, ფაროდან გახელილი თვალებით აკვირდებოდა იგი ყველაფერს, დაფზარებულად ამრეულებდა ულიანურებზე, „არტისტთა“ დაკალებებს და თავის ხალას ნიკსა და თანდაყოლილ ბუნებრივ მადლს სიამოვნებით უზიარებდა მარტყოფელს მაყურებლებს. თეატრისადმი ბავშვური დაკავება დიდ სიყვარულში გადაზარდა. 1935-39 წლებში რკინიგზის სადგურის მუშათა კლუბში გაიარა „სტაჟირება“, ხოლო 1939 წელს კუპრაძე თეატრალური სტუდიის (რომელიც შემდეგ თეატრალურ ინსტიტუტად გადაკეთდა) წევრი გახდა. იყო თეატრალური ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი. აქვე ინსტიტუტში გაიცნო და შეიყვარა თავისი გულის ტოლი ნ. ქიტაიშვილი. ახალგაზრდებმა ახალი ოჯახის შექმნა შეძლეს ლიერ მარტყოფში ოზიბის. წლის თავზე გოგოსა შეეძინათ. წინ იყო სიყვარულის, სიხარულისა და ბედნიერი მომავლის წლები... მაგრამ, 1941 წლის 12 ივნისს იგი ორთვიან სამხედრო შეკრებაზე გაიწვიეს და...

●

ბედის დაცინვა იყო ალბათ შუბის საკანგები დავალებათა ეკრიტიკ. ქრისტეფორე კუპრაძის შემთხვევითი სიკვდილი. კაცმა ოთხი წელი ისე გადატარა ტყეის წვიმაში, სიცივესთან შეთანხმებით მანანას თავიდანვე მასთან მიეჩინეს ბანა. ეს მოხდა კონსპირაციის მიზნით. მ. მეგელიშვილს დაევალა მხეოვანი და ფეზიკურად ჯანგატეხილი მეცნიერის პირადი მდივნობა და მოვლა-პატრონობა, რომ მისი საქმიანობა შეუმჩნეველი ყოფილიყო მოწინააღმდეგისათვის.

ბ-ნ ექვთიმეს წერა ადარ შეეძლო. იგი უკერახებედა, მანანა კი წერდა. ამ თვალსაზრისითაც დასაფასებელია მ. მეგელიშვილის ამაგი. მან დიდი სამსახური გაუწია ქართველ მეცნიერს. ასე გაატარა სოფელ ლენილში წელიწადნახევარზე მეტი ხანი ექვთიმე თაყაიშვილს ბეგერდით.

თავის მხრივ ბ-ნი ექვთიმე დიდად ქმაყოფილი იყო ქართველი ქალის ეკთილშობილებითა და მისი გმირული და პატრიოტული შემართებით.

პატარაზანი ქალი გერმანიაზე გამარჯვების დიდ სიხარულს პარიზში შეხვდა. ე. თაყაიშვილთან ერთად მან ბაზნიარა აგრეთვე ის დიდი სიხარულიც, რომელიც საქართველოს განძეულობათა საშობლოში დაბრუნებას უკავშირდება.

1945 წლის ივნისში მანანამ შინ მომავალ დიდ მეცნიერსა და სასიკეთლოო მაეულიშვილს ე. თაყაიშვილს წერილი გადმოატანა თბილისში მცნოგრეს ქეთო მიდასთან.

სამშობლოს ხილვით გახარებული ე. თაყაიშვილი პირადად ეახლა მანანას მამიდას და ძმისშვილის წერილი გადასცა, თან უთხრა, ეოცსალია, პარიზშია და მალე ჩამოვალ.

ოჯახის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ეკთილმა ალცმა, ეკთილი სიტყვით გაახარა „ფატეული“ მეგობროლის ნათესავები.

1945 წლის სექტემბერში ვერსალიდან მატარებლით გამოვიდნენ მანანა მეგელიშვილი და ალექსანდრე მორჩილაძე. საშობლოსა და ხალხის წინაშე ვალშობილი მამაცი მებრძოლები მალე თბილისში ჩამოვიდნენ და შვიდიწლიანი შრომის ფერხულში ჩაებნენ.

მანანა შშობლიერ საგარეჯოში დაბრუნდა და სოფელ გორანაში ექთნად დაწყო მუშაობა. ე. თაყაიშვილთან კავშირი არ გაუწყვეტია. თბილისში მოინახულებდა ხოლმე მას, ტკბილად საუბრობენენ, იგონებდნენ სოფელ ლენილში გატარებულ დღეებს. ექვთიმე რომ გარდაიცვალა, ერთ-ერთი მისი დიდი ჭირის-უფალი მანანა გახლდათ. შემდეგ ის თის საფლავს ხშირად აკავიკლიდა ამკობდა.

1948 წლის აგვისტოში მანანასაც გაუხსენა ჭირალმამ, მარცხნა ფეხის პარმაყში ნალის ნამსხვრევი აწუხებდა. მისი ამქვეყნიდან ადროოდ წასვლა მაინც ომის მიზეზით მოხდა.

ასპარეკა რეხვიაშვილი

ქართველი პარტიზანი ქალი პარიზში

ალექსანდრეულ მამაც შვილთა შორის, ფრანგი პატრიოტებისა და წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილე ასპეთთა მეოძრეობა მხარდამხარ რომ იბრძოდნენ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ, პირველი ქართველი პარტიზანი ქალი მანანა ჭქველიშვილიც გახლდათ, რომელმაც ნიფათით აღსავსე სახელოვანი საბრძოლო გზა გაიარა.

ეს იყო კრასნოდარის მხარის ნეზეტკაევსკის მთაზე. იმ დროს, როდესაც მანანა ძმიმე დაჭრილი მებრძოლებს თავს დასტრიალებდა და ჭრილობებს უხვევდა, თვითონაც მარცხენა ფეხში დაიჭრა. ჭრილობა ძმიმე არ იყო, თვითონვე მოუარა თავის თავს და განაგრძო საქმე, მაგრამ ფაშისტებმა მთაზე გამაგრებული საბუთა მეომრების ადგილსამყოფელი დაბომბეს და შეტევაც გაძლიერეს. მამაცმა ექთანმა იგრძნო თოანლოვენი საფრთხე და საადრესო მასრა გადაადგო, ხოლო პარტიის წევრობის საკანდიდატო ბილეთი და საქედაცენო სამსახურის ცნობა ცლაქმასის ბუდეში შეახვია და იქვე ორმოში ჩაფლო. სწორედ ამ დროს თავზე ზეამოდგა სამი შეიარაღებული ფაშისტი. ჯალათებმა იგი გესტაპოში წაიყვანეს.

მანანამ გაიზარა ნოვოროსიისკის, თემრიუკის, ქერჩის, მელიტოპოლის, ბერლინის ტყეეთა ბანაკებში გამოშეყვეულთა და სასიკვდილოდ განწირულთა შუბრეფრი. ბოლოს კი ბედმა პარიზში მოახვედრა, სადაც მოახერხა საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის შტაბთან დაკავშირება.

საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის აკტიური წევრი გახდა. ქუთაისელ ალექსანდრე (სამა) მორჩილაძესთან ერთად სიცოცხლის დიდი რისკითა და გამბედაობით მნიშვნელოვან საბრძოლო და სადაზვერვო დავალებებს ასრულებდა.

— ერთ დღეს, — იგონებს თვითონ მანანა, — შევეხმიე რომ ვიღაც მთვალთვალებდა, ამედევნა კიდეც. დიდმნიშვნელოვანი დავალების შესასრულებლად მივიჩქარდი, დაყოვნება არ შეიძლებოდა, რაღაც უნდა მეღონა, რათა მისთვის გზა ავალი ამებნია. ასეც მოვიქეცი. მოხერხებულ ადგილზე დრო ვიხელთე, გესტაპოელს გვერდი ავუქციე და ხელიდან დაეუსხლტი. პარტიზანებს ეუფიროს მთავარ სატრანსპორტო გზაზე, რკინიგზის სადგურთან, ხიდი უნდა აეფეთქებინათ და ფეთქებადი მასალები მომქონდა. ეს დავალებაც წარმატებით შევასრულე.

ამ ოპერაციაში მასთან ერთად მონაწილეობენენ ქართველი პარტიზანები ა. მრეხულაკვა, ა. მორჩილაძე, ს. ჯიქია, ა. გუჯაბიძე.

პარიზში გერმანელ ოფიცერთა შტაბებია იყო. მის რკინის ჯიშკარში შეიარაღებული გუშაგი იდგა, პირველი ოთახში კი ტელეფონისტი ქალი იჯდა.

პარტიზანებს ხელში უნდა ჩაეგდოთ შტაბ-ბინისა და იარაღების საწყობი და ოქროდ იარაღი გაეტანათ. ამ რიგები და სარისკო ოპერაციის ჩატარება დაევალათ მ. მეგელიშვილს, ა. გუჯაბიძეს, ა. ცხოსარიას, გ. გოგიბეჯოშვილს, ს. ჯიქიას.

შტაბ-ბინაში შეღწევა და გუშაგის გაიარაღება მანანას უნდა მოეხერხებინა. წინასწარ შემოშავდა გეგმა. ფაშისტი გუშაგის გასაბარყვებლად გერმანულ ენაზე დაწერეს წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო: ქმარი ფრონტზე დაეფლა, ბავშვები მაყას მშიერი, ოქროს სათი მაქვს და იფიდან მოგეცემთ. იყიდეთ, რომ მე ეროის ფული ვიშოვო და ბავშვები შიმშილით დაღუპვისაგან ვიხსნათ.

წერილი მანანას გადასცეს. იგი ფრთხილად მიუახლოვდა გერმანელთა შტაბ-ბინის საგუშაოს და სარკმელზე დაკაკუნა. ვამოხედა გუშაგმა, მანანამ წერილი უმოდ შიჩაჩა ხელში და დაელოდა პასუხს.

ფაშისტმა წერილი წაიკითხა, სახეზე კმაყოფილების ღიმილმა გადაუარა, ჩანდა ოქროს სათის გამოტყუება ეწადა. სადუმაოს კარი გამოალო და ქალი შიგ შეიხმო. მანანამ შესცილისთანავე ჯიბეში ხელი ჩაიყო, თითქოსდა ოქროს სათის ამოსაღებად, ბისტოლეტი დაიძონო და ფაშისტს ხელების მაღლა აწევა ებრძანა. ახლა კი მიხვდა გაბრიყვებული გუშაგი, თუ ვისთან ჰქონდა საქმე. მაგრამ უკვე გვიანია იყო...

პარტიზანებიც გამოჩნდნენ. ისინი შტაბ-ბინის მეორე სართულზე ავიდნენ. იქ ლეონინ გალეშილ ფაშისტს ოფიცერს ეძინათ, სწროაედ განაიარაღეს ისინი, დაატყვევეს და წინააღმდეგობის მოძრაობის შტაბს ჩაბარეს. საწყობიდან დიდძალი იარაღისა და სხვადასხვა სამხარი მასალის გატანაც მოახერხეს და პარტიზანული რაზმები იმითი შეიარაღეს.

მისი საბრძოლო ბიოგრაფია იმითაც არის საყურადღებო, რომ დიდი ქართველი მამეულშვილისა და მეცნიერის ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებას უკავშირდება. საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის ხელმძღვანელებმა, რომელთა შორის ქართველებიც იყვნენ, ბ-ნ ექვთიმესთან ერთად ბ-ნ ეკატერინა ბერეზოვსკაიასა, ალეგიანეს დეკორაციებს და თანამოფლეგულს იმ დროის პოპულარული დრამატურგის სუზანა ერთაწმინდელის პიესებს უჭვენებდნენ. ასე ნელ-ნელა ჩაეყარა საფუძველი მარტყოფის დრამატულ წრეს, რომელმაც სოფლის აუდიტორიას თანადრეული პიესები — „დაჭრილი ორბი“, „ლურჯი ხალათი“, „გამცემი“, „ცეკვა ბებუთით“ და სხვები უჭვენა. დრამწრის აქტიას მარტყოფელი „არტისტები“ ალეკსი, ანდრო, ქრისტეფორე კუპრაძეები, ნინო ბილანიშვილი, ვ. და ე. ეპიტაშვილები შეადგენდნენ, რომელთაც აქტიურად ეხმარებოდა რეეკომის თავმჯდომარე ნიკოლოზ სიდამონიძე. ის არც სპექტაკლებში მონაწილობაზე აბობოდა უარს და სცენიდან ახალგაზრდა სახელშეფოს ერთგულებას უნერგავდა თანამოფლეგულს.

პატარა ფაშა, როგორც სიყვარულით ეძახდნენ ქრისტეფორე კუპრაძეს, დადგმეფის მეფდნეი მოხაწილე იყო. ცხონებამოყვარე, ფაროდან გახელილი თვალებით აკვირდებოდა იგი ყველაფერს, დაფზარებულად ამრეულებდა ულიანურებზე, „არტისტთა“ დაკალებებს და თავის ხალას ნიკსა და თანდაყოლილ ბუნებრივ მადლს სიამოვნებით უზიარებდა მარტყოფელს მაყურებლებს. თეატრისადმი ბავშვური დაკავება დიდ სიყვარულში გადაზარდა. 1935-39 წლებში რკინიგზის სადგურის მუშათა კლუბში გაიარა „სტაჟირება“, ხოლო 1939 წელს კუპრაძე თეატრალური სტუდიის (რომელიც შემდეგ თეატრალურ ინსტიტუტად გადაკეთდა) წევრი გახდა. იყო თეატრალური ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი. აქვე ინსტიტუტში გაიცნო და შეიყვარა თავისი გულის ტოლი ნ. ქიტაიშვილი. ახალგაზრდებმა ახალი ოჯახის შექმნა შეძლეს ლიერ მარტყოფში ოზიბის. წლის თავზე გოგოსა შეეძინათ. წინ იყო სიყვარულის, სიხარულისა და ბედნიერი მომავლის წლები... მაგრამ, 1941 წლის 12 ივნისს იგი ორთვიან სამხედრო შეკრებაზე გაიწვიეს და...

●

ბედის დაცინვა იყო ალბათ შუბის საკანგები დავალებათა ეკრიტიკ. ქრისტეფორე კუპრაძის შემთხვევითი სიკვდილი. კაცმა ოთხი წელი ისე გადატარა ტყეის წვიმაში, სიცივესთან შეთანხმებით მანანას თავიდანვე მასთან მიეჩინეს ბანა. ეს მოხდა კონსპირაციის მიზნით. მ. მეგელიშვილს დაევალა მხეოვანი და ფიზიკურად ჯანგატეხილი მეცნიერის პირადი მდივნობა და მოვლა-პატრონობა, რომ მისი საქმიანობა შეუმჩნეველი ყოფილიყო მოწინააღმდეგისათვის.

ბ-ნ ექვთიმეს წერა ადარ შეეძლო. იგი უკერახებედა, მანანა კი წერდა. ამ თვალსაზრისითაც დასაფასებელია მ. მეგელიშვილის ამაგი. მან დიდი სამსახური გაუწია ქართველ მეცნიერს. ასე გაატარა სოფელ ლენილში წელიწადნახევარზე მეტი ხანი ექვთიმე თაყაიშვილს ბეგერდით.

თავის მხრივ ბ-ნი ექვთიმე დიდად ქმაყოფილი იყო ქართველი ქალის ეკთილშობილებითა და მისი გმირული და პატრიოტული შემართებით.

პატარაზანი ქალი გერმანიაზე გამარჯვების დიდ სიხარულს პარიზში შეხვდა. ე. თაყაიშვილთან ერთად მან გაიზარა აგრეთვე ის დიდი სიხარულიც, რომელიც საქართველოს განძეულობათა საშობლოში დაბრუნებას უკავშირდება.

1945 წლის ივნისში მანანამ შინ მომავალ დიდ მეცნიერსა და სასიკეთლოო მაეულიშვილს ე. თაყაიშვილს წერილი გადმოატანა თბილისში მცნოგრეს ქეთო მიდასთან.

სამშობლოს ხილვით გახარებული ე. თაყაიშვილი პირადად ეახლა მანანას მამიდას და ძმისშვილის წერილი გადასცა, თან უთხრა, ეოცსალია, პარიზშია და მალე ჩამოვალ.

ოჯახის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ეკთილმა ალცმა, ეკთილი სიტყვით გაახარა „ფატეული“ მეგობროლის ნათესავები.

1945 წლის სექტემბერში ვერსალიდან მატარებლით გამოვიდნენ მანანა მეგელიშვილი და ალექსანდრე მორჩილაძე. საშობლოსა და ხალხის წინაშე ვალშობილი მამაცი მებრძოლები მალე თბილისში ჩამოვიდნენ და შვიდიწლიანი შრომის ფერხულში ჩაებნენ.

მანანა შშობლიერ საგარეჯოში დაბრუნდა და სოფელ გორანაში ექთნად დაწყო მუშობა. ე. თაყაიშვილთან კავშირი არ გაუწყვეტია. თბილისში მოინახულებდა ხოლმე მას, ტკბილად საუბრობენენ, იგონებდნენ სოფელ ლენილში გატარებულ დღეებს. ექვთიმე რომ გარდაიცვალა, ერთ-ერთი მისი დიდი ჭირის-უფალი მანანა გახლდათ. შემდეგ ის თის საფლავს ხშირად აკავიკლიდა ამკობდა.

1948 წლის აგვისტოში მანანასაც გაუხსენა ჭირალმამ, მარცხნა ფეხის პარმაყში ნალის ნამსხვრევი აწუხებდა. მისი ამქვეყნიდან ადროოდ წასვლა მაინც ომის მიზეზით მოხდა.

ასპარეკა რეხვიაშვილი

ქერათმიანი, უძირო თვალები, ხშირი წარბები, პატარა, აპრეხილი ცხვირი, ფუნთუშა ტუჩები, მკვრივი მკერდი და წვრილი წელი, გრძელი, ზომიერად დაკუნთული ფეხები — აი, ასეთია ანა, ჩემი განყოფილების მედდა. ყველზე საჭდე უკონწიალებს ზედ მკვეთრად ამოტკიფრული ციფრებით. უფროსი მედდა უკვე ასაკოვანია. ისიც ქერაა და მასაც უძირო თვალები, ხშირი წარბები, პატარა აპრეხილი ცხვირი, ფუნთუშა ტუჩები, მკვრივი მკერდი და წვრილი წელი აქვს. ფეხებიც გრძელი და ზომიერად დაკუნთული. ლუჩიას ეძახიან. მაგრამ მათი ერთმანეთში არევა შეუძლებელია: მათ ხომ კისერზე საჭდეები ჰკიდიათ მახათობელი ციფრებით, რომელიც სიბნელეშიც ჩანს.

საბედნიეროდ, ორთავე მედდა ძალიან თავაზიანი და თბილი ადამიანებია. ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ციხის სამედიცინო ნაწილში არსებობენ ასეთი მგრძნობიარე ქალები. შეიძლება უბრძანეს, მხოლოდ მე მომქცეოდნენ ასე, რადგანაც უბრალო პატიმარი კი არა ვარ, „მნიშვნელოვანი“ პიროვნება გახლავართ, წარსულში დიდად დაფასებული. რა თქმა უნდა, ეს ილუზიაა, მაგრამ მე მაინც ვებღაუჭები მას. ვცდილობ, ვიპოკო რაღაც დამამშვიდებელი, ჩემს ახლანდელ მდგომარეობაში. ძალიან სუსტი იმედი კია, მაგრამ რას იზამ, კაცი იმედით ცოცხლობს.

— როგორა ხართ, პროფესორო?

ლუჩია დაიხარა ჩემკენ და ბალიში გამისწორა.

— ძალიან ცოტა ხანს მეძინა, — ვუპასუხე.

მე კი უკვე დიდი ხანია ცუდად მძინავს, ნახევრად ბურანში. როდის გამოვიძინე გემრიელად უკანასკნელად? ათი წლის წინ, როცა კეთილად დაგვირგვინდა ჩემი აღმოჩენა და სახელი და დიდება მომიტანა. მაშინ ჯერ კიდევ არ მქონდა მოწამლული სიცოცხლე.

— ფინჯან რძიან ყავას ხომ არ მიირთმევდით? — შემომთავაზა ლუჩიამ.

ყავა არ მინდოდა, მაგრამ თავი დავუქნიე. რაღაცნაირად ხომ უნდა მომეშორებინა თავიდან. ხანგრძლივი ვიზიტი მელოდებოდა დეიდა კლელიასთან. მას შემდეგ, რაც ჩემი ქორწინება ასე სამწუხაროდ დამთავრდა, დეიდა კლელია ერთადერთი ახლობელი ადამიანი დამრჩა. დეიდა თავს ვალდებულად თვლის, მინახულოს ყოველ სამშაბათსა და პარასკევს. რაღაცნაირი სითბოც გააჩნია ჩემს მიმართ. მეკი, სიმართლე გითხრათ, მისდამი არა ვარ სასიკეთოდ განწყობილი. მაგრამ ის ბაბუა არტიერის დაა. ბაბუა არტიერმა ხომ ძალიან შემიწყო ხელი ახალგაზრდობაში. დამიტოვა ფული. ამ ფულის წყალობით უნივერსიტეტი დავამთავრე და ელექტრონული ფიზიკის ინსტიტუტის დოცენტიც გავხდი.

შედეგი, სამწუხაროდ, ყველაზე სავალალო იყო, მაგრამ ბაბუა არტიერს არ შეეძლო ამის განჭვრეტა, და თანაც, ის დიდი ხანია გარდაიცვალა.

ნაღვლიანი ფიქრებიდან ანას მხიარულმა ხმამ გამომიყვანა:

— ჩვენ სტუმარი გვყავს, პროფესორო!

ეს ისაა, დეიდა კლელია. არასოდეს არ აგვიანებს. დეიდა კლელიას ქერა თმები, უძირო თვალები, ხშირი წარბები, პატარა, აპრეხილი ცხვირი, ფუნთუშა ტუჩები, მკვრივი მკერდი, წვრილი წელი და გრძელი, ზომიერად დაკუნთული ფეხები აქვს. ყელზე საჭედი ჩამოუკონწიალებია.

დეიდა კლელია საწოლზე ჩამოჯდა და ელეგანტურად გადაიდო ფეხი ფეხზე. დღეს ჩვეულებრივზე მხიარულია. ესაუბრა ჩემს ვექილს და მან ძალიან დააიმედა.

— შენ რომ მხოლოდ ჯოვანას ღალატი დაგემტკიცებინა!..

— შენ ხომ მშვენივრად იცი, დეიდა, ჯოვანა არ მღალატობდა.

— მაშინ, ვთქვათ, ერთი-ორჯერ კეკლუცად გაუღიმა სხვა მამაკაცს, ანდა უბრალოდ, თუნდაც მასთან ისაუბრა. სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს...

განაწყენებულმა ჩავიფრუტუნე. ჩემი კეთილი დეიდა ამას არც შეუცბუნებია:

— ვექილი ამბობს, რომ ღირსების მოტივით...

— დეიდა კლელია...

— ვიცი, კოდექსის ამ მუხლს დღესა თუ არა ხვალ, შეცვლიან. ჯერჯერობით არ შეუცვლიათ, და თუ ვექილი ამტკიცებს, რომ...

კვლავ არ დავამთავრებინე სიტყვა:

— უმჯობესია ეს მითხრა, ჯოვანა გამოჯანმრთელდა?

— რა თქმა უნდა. ლოყაზე ჭრილობაც შეუხორცდა.

ჯოვანას ბედი უკვე აღარ მაინტერესებდა. იმ შემთხვევამდეც კარგა ხნით ადრე დავრწმუნდი, ნამდვილი სიყვარული ჩვენს შორის არ ყოფილა. ჯოვანა მეტად ქარაფშუტა იყო. ის თუ ჩემში ამბიციებს აღვივებდა და იმედიც ჰქონდა წარმატებისა, არა იმიტომ, რომ ჩემს პატივისცემას იზიარებდა მეცნიერებისადმი. მას სულაც არ აინტერესებდა ეს—თუმცა გულუბრყვილო, მაგრამ გულწრფელი მისწრაფება, გამეუმჯობესებია ადამიანთა ცხოვრება. მას მხოლოდ პატივმოყვარეობა ასულდგმულებდა. ასე რომ, ეშმაკსაც წაუღია ჯოვანას თავი და მისი პრეტენზიებიც! როცა მეხსიერებაში ჯოვანას სახე და ფიგურა ამოტივტივდება, ყოველთვის ვიხსენებ ჩვენი ცოლ-ქმრული ცხოვრების პირველ წლებს. თავი ისევ უნივერსიტეტის დოცენტი მგონია. მიცოცხლდება წლები, ძველი იდიალები, უძილო ღამეები ლაბორატორიაში, როცა ელექტრობიოლოგიის საიდუმლოებათა ამოცნობას ვცდილობდი.

კათედრის ხელმძღვანელი მიხვდა, რომ ამაოდ არ ვკარგავდი დროს. სრული თავისუფლება მომცა. მინდოდა ელექტრული ზემოქმედების გზით შემეცვალა ორგანული უჯრედის შემადგენლობა. ლაპარაკი იყო არა უბრალო ხელოვნურ რეგენერაციაზე, არამედ მოლეკულის სრულ ცვლილებაზე. ამ აღმოჩენას, თუ სუფთა თეორიიდან რეალობად იქცეოდა, შეეძლო უდიდესი ეფექტი ეთქვა მთელი რიგი დაავადებების მკურნალობისას.

პირველი სერიოზული შეცდომა **ის იყო,** ამის შესახებ ბერნარდოს რომ ვუამბე. ყოველივე ეს მისთვის რომ არ ჩამეყაჭა, ახლა პატივცემული მეცნიერი ვიქნებოდი. შეიძლება ძალიან მდიდარი არა, მაგრამ მიახლოებით ამისი მსგავსი მაინც. რაც მთავარია, არ დაიბადებოდა უმწარესი რწმენა მეცნიერებასა და მთელი ჩემი ცხოვრების ოცნებათა ღალატზე.

ბერნარდო კუალო იყო ჩემი ბავშვობის მეგობარი. ერთ სკოლაში ვსწავლობდით და უნივერსიტეტშიც ერთად მოვეწყვეთ. მან შემდეგ ზურგი შეაქცია მეცნიერებას და ჟურნალისტი გახდა. მაშინ, ამ ათიოდე წლის წინ, ის საღამოს გაზეთის რეპორტიორი იყო. მე კი ნამდვილ[illegible] ხლდით. გამოკვლევებმა ისე [illegible] ჩემი არსება, მეცნიერ[illegible] სხვა აღარაფერზე ვფიქრობდი. ქუჩაში მივდიოდი, ვჭამდი თუ წვერს ვიპარსავდი, სულ ამაზე ვფიქრობდი. მინდოდა ჩემი განწყობილება სხვისთვისაც გადამედო.

ჯოვანასთან ლაპარაკი არ გამომდიოდა. ელექტროობის ანბანშიც კი ვერ ერკვეოდა. ბერნარდომ კი, რაც არ უნდა იყოს, პირველ კურსზე გამოცდები ჩაბარა. ერთხელაც დილით, ქალაქის ცენტრში შევხვდი. ორთავემ გავიხარეთ ამ შეხვედრით. ბერნარდო აპერატივით გამიმასპინძლდა და მომიყვა თავის ამბავს. რაღაც-რაღაცეები მიკიბ-მოკიბა ჟურნალისტური საქმიანობის შესახებ.

— აბა, შენ რაღას აკეთებ? — მკითხა.

— ვატარებ ყოველგვარ ცდებს, — ვუპასუხე. — თუ გინდა, უახლოეს დღეებში შემოიარე ჩემთან, ლაბორატორიაში.

და აი, ბერნარდომ შემოიარა ლაბორატორიაში. და მე მოვიქეცი ისე, როგორც დახვეწილი იდიოტი. ვაჩვენე ბიოლოგიური ციკლოტრონის ექსპერიმენტული მოდელი და თუნუქის ნიღაბი.

— ამ ორი ხელსაწყოს საშუალებით მე შემიძლია შევცვალო ადამიანის სხეულის მოლეკულური კავშირები, — აშკარა სიამაყით ვუთხარი მე.

— ესე იგი შენ შეგიძლია ადამიანის სახის ნაკვთების შეცვლა? — ანგარიშმიუცემლად წამოიყვირა მან, განწყობილება, როგორც ჟურნალისტთა უმეტესობას სჩვევია, ყველაფერის გამარტივებისაკენ.

მთელი ორი საათის განმავლობაში ვუხსნიდი, რომ საქმის ვითარება სულაც არ არის ასე. რომ შეიცვალოს თუნდაც ერთი ადამიანის სახის ნაკვთები, ამისათვის საჭირო იქნება ძალისმიერი, ესე იგი, სახეფათო თერაპია. ჩავახედე ჩემს ჩანაწერებში, რომ დამეინტერესებინა პრობლემის სუფთა მეცნიერული მხარით. სულ ამაო შრომა გამომივიდა.

ორი დღის შემდეგ გაზეთში გაჩნდა ვრცელი სტატია ჩემი ბიოლოგიური ციკლოტრონის შესახებ. დაიბეჭდა ჩემი სტერეოფოტოც (ბერნარდოს ჩემგან ბალულად ბეჭდის კინოკამერით გადაეღო). უზარმაზარი ასოებით აწყობილი სათაური იუწყებოდა: „ულამაზო ქალები აღარ იქნებიან!“ შემდეგ მოდიოდა ტექსტი:

— ჩვენი ქალაქის მკვიდრმა, ახალგაზრდა მეცნიერმა ფაბიო მანტინიმ, შექმნა ელექტრული ხელსაწყო, რომლის მეშვეობითაც შეიძლება ადამიანის სახის ნაკვთების გალამაზება და ყველაზე მახინჯის თვალისმომჭრელ მზეთუნახავად გადაქცევა...

მთელი სტატია ასეთი სენსაციური ტონით იყო დაწერილი. მე თავი მოვიავადმყოფე და რამდენიმე დღე უნივერსიტეტში არ მივსულვარ. სახლში ვუბრძანე, არ ეპასუხათ ზარზე. აქ კი მიღალატა ჯოვანამ. ბერნარდოს სტატიამ აამოძრავა მექანიზმი, რომელსაც შეეძლო ჩემი გასრესა. მაგრამ ჩემი ცოლი რომ არა, ალბათ, შევიძლებდი გამოვმძვრალიყავი ამ ისტორიიდან.

ამასობაში ფრანგულ-ამერიკულმა კოსმეტიკურმა ფირმებმა ნადირობა მოაწყვეს ჩემზე. მათ არ ეზოგებოდათ ჯოვანისათვის სუნამოები, პომადები, პუდრი, ოღონდაც კი მათი მოკავშირე გამხდარიყო. ჩიკაგოში არსებული ფრანკო-ამერიკული ფირმის „მორ ამურ კომპანის“ მრჩეველი

სერჯო ტურინე
(იტალია)

მოდის ცოცხები

პეტრიტაბა

ჩემთან შესახვედრად მილანში ჩამოფრინდა. მის მაგალითს მიბაძა ფილადელფიაში დაფუძნებულმა ცნობილმა ფრანგმა მკერავმა. იტალიელ მრეწველებზე ლაპარაკიც ზედმეტია — მათ მთლიანად ალაყაში მომაქციეს. და აი,ერთხელ გაბმულად დარეკა ზარმა. ჯოვანა წარმოუდგენელი სისწრაფით წამოხტა დივანიდან.

— ეს დედაა, დედა! ისე ნერვიულობს ჩვენს გამო! — წამოიყვირა.

— წავალ, გავაღებ.

ერთი-ორი წუთის შემდეგ ზღურბლზე გამოჩნდა „მონ ამურ კომპანის“ წარმომადგენელი. ხელსაყრელი წინადადება მომცა. თითქოს ასეთ რამეს კიდეც ველოდი, მაგრამ თანხამ გამაოცა — ჩემს ხელფასს ორმოცდაათჯერ მაინც ამეტებდა. ოღონდ მე უნდა დამეხვეწა ციკლოტრონი, რათა ის გამოსადეგი ყოფილიყო კოსმეტიკური მიზნით. და კიდევ: კომერციული გამოყენების ყველა უფლება „მონ ამურ კომპანის“ ხელში გადადიოდა. ძალღონე მოვიკრიბე, აღვიჭურვე მთელი ჩემი გამბედაობით, მორალური მრწამსითა და, ყინულივით ცივი ხმით მივახალე:

— გაეთრიეთ აქედან!

მან ჩაიღიმა, თავაზიანად დამიკრა თავი და სანამ წავიდოდა, შემოსასვლელში, კარადაზე დატოვა თავისი სავიზიტო ბარათი. თანაც ჩაილაპარაკა:

— როგორი ლამაზი კარადაა. თუ არ ვცდები, „დე გოლის“ სტილისაა!

რა თქმა უნდა, დამცინა. განა მე მაშინ შემეძლო ანტიკური ავეჯის შეძენა?

საერთოდ, იმ წლებში ძალიან ცოტა რამით ვკმაყოფილდებოდი. ჯოვანა კი მუდამ მაზოლზე მაჭერდა ფეხს. თანაც გულს მიწვრილებდა დაცინვით:

— ჯიუტობს ახალგაზრდა! მისი მეცნიერება წმინდა საქმეა, პირდაპირ იშვიათობა. მე კი ჯერ ჩვენი ძველი ავეჯის გამოცვლაც არ შემიძლია. როცა ვინმე შემოდის, დამიჯერე, სირცხვილით ვიწვი...

და ასე დაუსრულებლად.

გამოჩნდნენ სხვა ფირმის წარმომადგენლებიც. ერთიმეორეზე მომხიბლავი წინადადებები შემომთავაზეს. ყველაფერ ამას იმიტომ კი არ ვყვები, საკუთრივ პიტულაცია გავამართლო. ფულ-ლაპარაკი, რამდენ ხანს და რა მედგრად ვეწინააღმდეგებოდი მე მათ. მერე თანდათან „მოვრჯულდი“. ჩემი წინააღმდეგობაც უფრო და უფრო სუსტი გახდა. გაიმარჯვა ფირმა „მონ პლეზირ კომპანის“ აგენტმა ლოს-ანჟელოსიდან, და გაიმარჯვა არა თავისი განსაკუთრებული მჭერმეტყველებით, არამედ იმიტომ, რომ იმ დროისათვის უკვე ისეთ მდგომარეობაში ვიყავი, აღარ შემეძლო უარი მეთქვა.

დაიწყო ახალი ცხოვრება. გაჩნდა ვილა ქალაქის ყოფილ ბაღში. „მონ პლეზირ კომპანისთან“ კონტრაქტზე ხელის მოწერისას შევეცადე, დამეთანხმებინა ფირმა ყველა სამეცნიერო გარანტიაზე, შემენარჩუნებინა რაღაც სერიოზული მიზანი შემდგომ ჟუშაობაში. ფირმა სიამოვნებით დამეთანხმა და მომცა მთელი რიგი გარანტიები. მაგრამ ძალიან მალე ჩვენი კონტრაქტის ყველა ეს პუნქტი წყალს გაატანეს. როცა ციკლიტორონი დავხვეწე, წარმოუდგენელი სარეკლამო აურზაურის შემდეგ, ფირმამ ჩემი ხელსაწყო „მომხიბლავ ღამესთან“ ერთად (არის ასეთი სუნამო) გაუშვა გაყიდვაში და მას პინუპტრონი უწოდა — „მხოლოდ პინუპტრონი აქცევს სიყვარულს საოცარ სიზმრად“. წარმოიდგინეთ, როგორი სარეკლამო აფიშა ხვდებოდა გამვლელს ყოველ ფეხის ნაბიჯზე მსოფლიოს თითქმის ყველა ქალაქში?

გაკაპროტესტო, უკან წავიღო ჩემი თანხმობა? ასეთი მსხვილი თანხის მიმღები, უპირველეს ყოვლისა, ცუღლუტ, არაპატიოსან პიროვნებად გამოვჩნდებოდი.

პინუპტრონის კომერციული „გაშვებისათვის“ მიმიწვიეს ამერიკაში, ლოს-ანჟელოსში, სადაც საზეიმო ცერემონიაში სიტყვით იტალიის ელჩიც გამოვიდა. ორკესტრმა შეასრულა იტალიისა და ამერიკის ნაციონალური ჰიმნები. მინისტრის თანამემწემ თავის სიტყვაში ხოტბა შეასხა მეგობრობას იტალიასა და ამერიკას შორის და მე მიწოდა „ლათინური გენიალობის ნაყოფი“.

საღამოთი, კალიფორნიის რადიოს მიერ მოწყობილი სტეროვიდეოპროგრამაში მიმიწვიეს მონაწილეობის მისაღებად. ერთ-ერთი ქალთაგანი, ულამაზოთა შორის ულამაზო (თუ ამერიკელი ქალი ულამაზოა, ის თითქმის მახინჯია), ამოიყვანეს სცენაზე და მე მრავალ ტელეკამერათა წინაშე, ჩამოვაცვი მას პინუპტრონის ნიღაბი. ავირჩიე მოდელი 4-ფ, ნორდიული ტიპის ნატიფი სილამაზე. 45 წამის შემდეგ, მაყურებელი, წინასწარვე შეშზადებული, რომ იხილავდა ძლიერ შეცვლილ სახეს, გაოცებისაგან გაშეშდა. გაისმა მქუხარე ტაში, ისტერიული კივილი „ბრავო“! საშინლად ულამაზო დიასახლისი გადაიქცა ეშხითა და სილამაზით სავსე ანგელოზ ქალად.

გასაგებია, პირველ თვეებში პინუპტრონი ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ ერთეულებისათვის. ძალიან ძვირი ღირდა და პირველ სტადიაში უმაღლესი საზოგადოების პრივილეგიად რჩებოდა. „მონ პლეზირის“ სარეკლამო განყოფილების მეთაურმა მისტერ კოლაგენმა ჩემს ცოლს აჩუქა პინუპტრონუქსი, მთელი ასი მოდელით.

— თქვენთვის ყველაზე უსარგებლო საჩუქარი, რაც კი ამ ქვეყანაზე არსებ-

ობს, — ელეგანტურად განაცხადა მან და ჯოვანას გაუწოდა ფაქიზად შეფუთული პინუპტრონი.

უსარგებლოო? ჯოვანა ჭეშმარიტად გრაციოზული ქალი იყო, მაგრამ ყოველგვარი სიახლისაკენ ლტოლვა მისი სისუსტე გახლდათ. ჯოვანამ იმავე საღამოს, ლოს-ანჟელოსის სასტუმროში გასინჯა ერთ-ერთი მოდელთაგანი... და მაშინვე გახდა ოდნავ მაღალი, ცოტა უფრო თეთრი და სრული, შეეცვალა ცხვრის ფორმაცა და თვალების ფერიც.

საერთო ჯამში ის უფრო ლამაზი ჩანდა, მაგრამ მე არ ვიზიარებდი მის აღტაცებას და მხოლოდ თავაზიანობის გამო ვუთხარი, რომ დიახ, ასე უკეთესია-მეთქი. სინამდვილეში კი იმ საღამოს, ლოგინში მწოლიარეს მეჩვენებოდა, რომ მე ჯოვანას ვღალატობდი.

იტალიაში დავბრუნდით. სამუშაო მინიმუმამდე შემცირდა. დღეში ერთი-ორი საათი მხოლოდ პინუპტონის დახვეწაზე უნდა მეფიქრა, რომ ის ფირმას ნაკლები დაჯდომოდა და ამით გასაყიდი ფასიც შემცირებულიყო.

როცა ზარ-ზეიმების ბურუსი გაიფანტა, განსაკუთრებული სიმწვავით ვიგრძენი, რომ ვუღალატე მეცნიერებას. ჯოვანას ახირებებიც მიფუჭებდა ხასიათს: ის თითქმის ყოველდღე იცვლიდა მოდელს. ერთხელ დილით, სამსახურიდან მობრუნებულმა კიბესთან ვიღაც უცხო, ქერათმიან ქალს ვუთხარი „გამარჯობა, ლამაზო“. ჩემი ცოლი მეგონა 6-5-ის მოდელით.

ჯოვანას ვეხვეწებოდი, ერთ კვირაში მაინც არ შეეცვალა მოდელი — მისი წამდაუწუმ სხვადასხვაობა ნერვებს მიშლიდა. დამპირდა, მაგრამ რაღაც ზერელედ, აგდებულად. ამ დროს, ახალი სარეკლამო ხმაურის შემდეგ, „მონ პლეირმა“ გაუშვა გაყიდვაში პინუპტრონის ეკონომიკური ვარიანტი, სულ ორი მოდელით, განკუთვნილი ყველაზე ღარიბი ქალებისათვის.

ჯოვანამ იმწამსვე განაცხადა, ჭეშმარიტი სინიორა მილიონობით მომხმარებლისაგან შეიძლება გამოირჩეს მხოლოდ და მხოლოდ მოდელთა მთელი კომპლექსის დემონსტრირებითო. თვითონ ხომ მთელი ასი ცალი ჰქონდა და რომელიც უნდოდა, იმას ამოირჩევდა.

ხმა აღარ ამომიღია. იმ დღეებში ძალიან ბევრი სამუშაო მქონდა — ეკონომიკური პინუპტრონის წარმატებამ, ძალიან ბევრი პრობლემა შექმნა. მოდელი სულ ორი იყო ა-1 და ა-2. პირველ ვარიანტში, ეს იყო მუქი ფერის ქალი, მეორეში — ქერა. სხვა დანარჩენი სილამაზის მიხედვით ერთი და იგივე კანონებს ექვემდებარებოდა — უძირო თვალები, ხშირი წარბები, პატარა, აპრეხილი ცხვირი, ფუნთუშა ტუჩები, მკვრივი მკერდი, წვრილი წელი და გრძელი, ზომიერად დაკუნთული ფეხები. ასეთი მოდელი იმდენად იაფია, რომ ის შეუძლია იყიდოს უღარიბესმა გლეხის ქალმა. ეს ორი — ა-1 და ა-2 შეიძინა ქალთა უდიდესმა უმრავლესობამ. და ამან სერიოზული სიძნელეები შეუქმნა დაბადების, ქორწინებისა და სიკვდილის სარეგისტრაციო ბიუროებსა და მუნიციპალიტეტებს. საზოგადოებაში, სადაც ქალთა უმრავლესობას ერთნაირი სახე და სხეული აქვს, დოკუმენტები კარგავენ ყოველგვარ მნიშვნელობას. ამან კი შეიძლება გამოიწვიოს ნამდვილი ქაოსი.

პარლამენტის ერთ-ერთმა დეპუტატმა წინადადებაც კი შეიტანა, რომ აკრძალულიყო პინეპტრონი. მაგრამ მისმა წარმოებამ ნამდვილად გიგანტურ მასშტაბებს მიაღწია. ასე რომ, მისი აკრძალვა გამოიწვევდა ეკონომიკურ კრიზისს.

ჩვენს ლაბორატორიებში მუშავდებოდა „სამეტრონი“, პინუპტრონის მამაკაცის ვარიანტი. „მონ პლეზირ კომპანი“ იძულებული იყო, დასთანხმებოდა ამ ხელსაწყოს უკიდურესად შეზღუდულად გავრცელებაზე. სამაგიეროდ მთავრობამ პინუპტრონის განუსაზღვრელი რაოდენობით გაყიდვის ნება მისცა. მართალია, ყველა ქალი ვალდებული იყო ნომრიანი საჭდე ეტარებინა. ამით საშუალებას იძლეოდნენ, თავიდან აეცილებინათ არევ-დარევა და ყოველგვარი ბოროტგანზრახულობა.

საჭდეების შემოღებით პინუპტრონის პოპულარობა სულაც არ დაზარალებულა. ქალაქებსა და სოფლებში დღითიდღე იზრდებოდა ძალიან ლამაზი ქერა და წაბლისფერთმიანი ქალების რიცხვი-ა მოდელის მიხედვით. შეუხედავები საერთოდ გაქრნენ, მოხუცები ისე გაახალგაზრდავდნენ, ვეღარც კი ცნობდნენ. ცენტრალურსა თუ განაპირა ქუჩებში, სოფლის გზებსა თუ ალპურ ბილიკებზე, მსუბუქად და ძალდაუტანებლად მიაბიჯებდნენ მომხიბლავი ლამაზმანები, რომლებიც ერთმანეთისაგან განირჩეოდნენ მხოლოდ საჭდის ნომრით. ჩემს ცოლს ამ ქალი-ვამპების მოზღვავება სულაც არ სიამოვნებდა და ჯიბრზე ყოველ დღე იცვლიდა მოდელს. რა თქმა უნდა, ცვლილებები გარკვეულ დრომდე სასიამოვნოცაა, მაგრამ მე ბუნებით ტრადიციის დამცველი ვარ და ჯოვანას გაუთავებელი სახეცვლა მაგიჟებდა. საღამოს, სახლში მობრუნებული, ჩემ წინ დაგოგმანებდა სამხრეთ-ამერიკული ტიპის ფუნთუშა ბრიუნეტი, მეორე დღეს, საღამოთი მაღალი, თეთრი სკანდინავიელი. მესამე დღეს წაბლისფერი სლავური ტიპი მიღებდა კარებს.

ბოლოს, როცა ის მომხიბლავ ეთიოპელად იქცა მოლურჯო-შავი გრუზა თმით, ვეღარ შევიკავე თავი. მაგიდაზე დანა იდო, უნებლიეთ ხელი დავავლე და ჯოვანას ლოყა გადავუსერე.

შემდეგ სახლიდან გავიქეცი. ამ ფაქტმა სასამართლო პროცესამდე მიმიყვანა — პროკურორი ამტკიცებდა, რომ მე ცოლის მოკვლას ვაპირებდი. სინამდვილეში კი მინდოდა მხოლოდ და მხოლოდ ლოყა გადამეკაწრა ოდნავ, რომ რაღაცით მაინც დამერღვია ამ სრულყოფილი, დამაბრმავებელი სილამაზის სიმეტრია. სახლიდან გაქცეული, დიდხანს და უმიზნოდ დავეხეტებოდი ლამაზებით სავსე ქალაქში. ვუყურებდი მათ ყოველგვარი ინტერესის გარეშე. ისე კი მაშინვე ვცნობდი — ეს მოდელი ბ-4-ია, ეს ც-7 (საკმაოდ იშვიათი). აი, ეს, ღმერთო ჩემო, მოდელი ა-1 და ა-2 და მთელი ეს სილამაზის ბაკხანალია — ჩემი ცდების შედეგი გახლდათ.

როცა დამპატიმრეს, გამიხარდა კიდევაც. ციხიდან თითქმის მაშინვე საავადმყოფოში გადამიყვანეს სერიოზული ნევროზის გამო. იქ ჩემი მოვლა მიანდვეს ორ შესანიშნავ მედდას, ანასა და ლუჩიას. მე მათდამი გულწრფელი სიმპატიით განვეწყვე... მაგრამ ეს მოდელი ა-?!

სასამართლოზე ორთავენი ჩემი გულშემატკივრები იყვნენ. როცა გაზეთებში დაიბეჭდა ცნობა, რომ ცოლი გამეყარა, ანამ და ლუჩიამ მაშინვე შემატყობინეს ეს ამბავი. იცოდნენ, რომ მე ძალიან ბედნიერი ვიქნებოდი: თავისუფალი, ბოლოს და ბოლოს თავისუფალი. მშვიდობით ჯოვანა, სამუდამოდ მშვიდობით!

განაჩენი რბილი იყო. ჩემმა [illegible] იმის საწინააღმდეგოდ, [illegible] ამჯობინა მკვლელობის მცდელობის ოფიციალური ვერსიისათვის დაეჭირა მხარი. ამიხსნა, რომ შეძლებს, ადვილად იპოვოს დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოებანი (მოქმედებდა შელახული ღირსების მოტივით). მან ყველაფერი ზუსტად გაიანგარიშა. თავის სიტყვაში მჭერმეტყველურად განაცხადა, რომ ჯოვანას მუდმივი ცვლა პინუპტრონის მოდელისა, ღალატის ტოლფასოვანია.

— ჯოვანებს შორის რომელი იყო ნამდვილი?! — პათოსით წამოიძახა მან. — დღევანდელი თუ გუშინდელი? თუ გუშინდელი, მაშინ ახლა სადღაა ის? შეიძლება საყვარლის მკლავებში? აი, რატომ აღეძვრებოდა ბრალდებულს მუდმივად საშინელი ეჭვები, ბატონო მოსამართლევ და ბატონო ნაფიცნო მსაჯულნო! და მაშინ ფარულმა შინაგანმა ძალამ, ჩვენი კეთილშობილი, უძველესი ტრადიციებით შობილმა, და მამაკაცური ღირსების გრძნობამ, უბიძგეს მას ამ განუსჯელი საქციელისაკენ. უხილავი ხმა ჩასჩურჩულებდა: დაიცავი შენი შელახული ღირსება, შური იძიე ამ მოღალატეზე!

ვექილის უკანასკნელი სიტყვები ჩაინთქა ტაშის ქუხილში და მე მომისაჯეს მხოლოდ ექვსი თვე პატიმრობა.

ვადის დამთავრებამდე სულ ორი კვირა დარჩა. და რა თქმა უნდა, მთელი ეს დრო საავადმყოფოში დავრჩები. ბოლოს და ბოლოს სიმშვიდე დამიბრუნდა. გაქრა ღამის კოშმარი. ერთი კვირის წინ პალატაში შემოვიდა სანიტარი იატაკის გასარეცხად. შევხედე და ელვისებურმა ნაზმა ტალღამ სუნთქვა შემიკრა. წელში გაიმართა, და მე შევძელი უფრო კარგად დამეთვალიერებინა საოცარი სანახაობა — ელამი, გრძელი ცხვირით, მიმოღრეცილი ღაწვებით, თმიანი ლოყებით, იშვიათი, გაურკვეველი ფერის თმით, ჩამოშვებული მკერდითა და მსხვილი, მოფამფალებული ფეხებით.

ფრანჩესკა ერქვა. მაშინვე ცოლობა შევთავაზე. საავადმყოფოს უფროსისაგან ნებართვა ავიღე, რომ ყოველ დილით სწორედ ფრანჩესკას გაეღო ჩემი პალატის ფანჯრები.

დილის 7 საათია. გავიღვიძე. მას შემდეგ, რაც ფრანჩესკას სიყვარულმა აზრი მისცა მთელ ჩემს ცხოვრებას, უძილობისაც აღარ მეშინია. ვიცი და ვაყურადებ მის ფეხის ხმას. სულ მასზე ვფიქრობ. თვალწინ მისი შესანიშნავი სახე მიდგას. რა ძვირფასი ხარ ჩემთვის, ჩემო ფრანჩესკა!

აი, ისიც. შემოდის ბნელ პალატაში:

— გამარჯობა, ძვირფასო, მე შენ სიურპრიზი მოგიმზადე. ცოტა რაღაც დანაზოგი მქონდა.

ფართოდ გამოაღო ფანჯარა და ღიმილით შემობრუნდა ჩემკენ: ქერა, უძირო თვალები, ხშირი წარბები, პატარა, აპრეხილი ცხვირი, ფუნთუშა ტუჩები...

არა, არ მინდა, არა, არა!

თარგმნა ქეთევან ჩხაიძემ.

ჰუჯაბი უხმობს კვლავ შთამომავალს

(დასაწყისი მე-13 გვერდზე)

ლების მარჯვნივ. მისი მხარის გასწვრივ და ხელის მტევანს ზემოთ თითქოს შეიმჩნევა რაღაც შენობა (ტაძრის მოდელი?) მუქი შეფერილობის საფეხუროვანი გადახურვით.

მავედრებელი მამაკაცის სახის აღმოსავლეთისაკენ სამი მეოთხედით მიბრუნება და თვით მისი ტიპაჟი (სახის მშვიდი, გარინდებული გამომეტყველება, დახვეწილი ნაკვთები, მოგრძო ოვალი, ნუშისებური ფორმის თვალები, თხელი, სწორი ცხვირი), ვინაიდან, მოხატულობის დამათარიღებელი სხვა ნიშნები არ არსებობს, გაუბედავად, მაგრამ მაინც, გვაფიქრებინებს, რომ პორტრეტი შესრულებულია არა უგვიანეს XIII საუკუნის დასასრულისა. ამის დასტური იქნებ ისიც იყოს, რომ საერო პირის პორტრეტული გამოსახულება მოთავსებულია არქიტექტურულად გამოყოფილ (ხუროთმოძღვრის მიერ მისთვის თავიდანვე გამიზნულ) ადგილზე — სადიაკვნის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, კედლის სწორკუთხა სვეტის წინა ზედაპირზე. XIII საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებული ტაძრის დარბაზისკენ თავდაპირველად გახსნილი სადიაკვნის ჩრდილო კედლის ეს ნაწილი კი დღის განმავლობაში ყველაზე დიდხანს იქნებოდა განთებული ჯერ სადიაკვნის აღმოსავლეთი და შემდეგ განივი მკლავის სამხრეთ ბოლოში გაჭრილი წყვილი, მაღალი სარკმლებიდან შემოსული სინათლით.

ქართველი მმართველი ფეოდალური (სამეფო?) წრის თუ რომელი პირია გამოსახული ამ პორტრეტზე, ან ვისი სახელობისაა და ვისი საფასით არის აგებული ჰუჯაბის მთავარი ტაძარი, საჭიროებს სპეციალურ კვლევას.

მანამდე კი ჰუჯაბის მონასტრის მოვლის საქმე უნდა მოგვარდეს, რაც ახქერფელებთან მოყვრული (შიდარესპუბლიკური) ურთიერთობის აღდგენას გულისხმობს. ამას თვით სოფლის მცხოვრებთა კეთილი ბუნებაც შეუწყობს ხელს.

ახქერფში პირველად ჩასულებს მეგობრულად შეგვხვდა იქაური მასწავლებელი მიხეილ ალკინიანი, რომელმაც ჩვენი თხოვნით ჯერ მიგვასწავლა გზა ჰუჯაბისკენ, შემდეგ კი თვითონვე შემოგვთავაზა მეგზურობა და, როცა ჩვენმა მანქანამ სოფლის ბოლოს აღმართი ნაწვიმარზე ვერ დასძლია, სხვა ახქერფელის „ვილისით“ აგვიყვანა მონასტერში. წარუშლელი შთაბეჭდილება დაგვრჩა, თუმცა იყო თქორი, ჩამოწოლილი ცა, ბინდმოცული ხეობა, ტაძრის ირგვლივ წელამდე ბალახი...

1978-83 წლებში ყოველი ჩასვლისას თან მიგვყვებოდა ხალისიანი მოხუცი — აკოფ ავაქიანი (მცველი, თუ მცველის მოვალეობის ფაქტიური შემსრულებელი) იგი ღიმილით იხსენებდა ხოლმე, რომ ჩვენი სტუდენტები მას „დარდიმანდიანცს“ ეძახდნენ.

ჰუჯაბში ჩასვლა უქმ დღეებში ან დღესასწაულების დროს გვიწევდა. როგორც წესი, ამ დროს ახქერფში ერევნიდან, ან მეზობელი სომხური რაიონული ცენტრიდან ავტობუსებით ამოსულები აქტიურად მონაწილეობდნენ ახქერფელთა დღესასწაულებსა თუ ხსოვნის დღეებში.

ახქერფი მარნეულის რაიონის უკიდურესი დასახლებული პუნქტია ჩვენი რესპუბლიკის სამხრეთ საზღვართან. ქართველი საზოგადოების უყურადღებობამ ამ სოფელთან განლაგებული ჰუჯაბის ქართული სამონასტრო კომპლექსის მიმართ დღევანდელ მდგომარეობამდე მიგვიყვანა: სომხეთის ძეგლთა დაცვის სამმართველო თავის უფლებებს სრულიად უსაფუძვლოდ ავრცელებს ჰუჯაბზე და მის ახქერფელ მცველს ხელფასსაც უხდის. ადრე საქართველოს ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობა არც უცხოობდა ამ ამბავს, შეიძლება იმიტომ, რომ ჰუჯაბის ტერიტორია სომხეთის ფარგლებში ეგულებოდა. როგორც სპეციალისტები თვლიან, ჰუჯაბის სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს. საქართველოს ტერიტორიაზე.

ცნობილი გახდა, რომ სომხეთის ძეგლთა დაცვის სამმართველო შეუდგა ჰუჯაბში სარესტავრაციო სამუშაოების თადარიგს. თუ ეს სამმართველო თავისი გეგმის განხორციელებას დაიწყებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ნიმუში — ჰუჯაბის მთავარი ტაძარი საგანგებო „პლასტიკური ოპერაციის“ შედეგად იერს შეიცვლის: დამახინჯდება, ან გაქრება საერთოდ ბევრი მოწმობა მისი ქართულობისა!

ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ საზოგადოებრივი აზრის შესაბამისად უკვე დასახა მეზობელი რესპუბლიკის მთავრობასთან შეთანხმების გზით დამაიმედებელი ღონისძიებანი ჰუჯაბის მონასტერში ქართველი სპეციალისტების მიერ რესტავრაციის ჩასატარებლად.

ამასთან, მინდა გამოვთქვა ჩემი რამდენიმე მოსაზრება:

ახქერფის საშუალო სკოლაში, ვფიქრობ, უნდა ისწავლებოდეს ქართული ენა და ლიტერატურა, საქართველოს ისტორია და საქართველოს გეოგრაფია და ამ საგანთა მასწავლებლობა მიენდოს ახალგაზრდა ქართველ პედაგოგებს.

ასევე ქართველი იყოს ამ სოფელში ექიმი, აგრონომი, ვეტერინარი, კლუბის ხელმგე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც მთავარია, ამოქმედდეს ჰუჯაბის მონასტერი ქართველი რესტავრატორების მიერ აღდგენა-გამაგრების შემდეგ. ამ მიზნით იქ მუდმივად იმყოფებოდეს რამდენიმე ქართველი სასულიერო პირი, რომ ჰუჯაბის მთავარ ტაძარში მღვდელმსახურება ტარდებოდეს მხოლოდ ქართულ ენაზე, „რამეთუ ქართლად ფრიად ქუეყანაჲ“ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვა“ ყოველი აღესრულების“.

თანამედროვე ქართული მონასტერი მეწარმომიდგენია საკლეკი (მაგ. ხელნაწერთა, ან ენათმეცნიერების) ინსტიტუტის მსგავს დაწესებულებად, რომელშიც შეისწავლება, ვთქვათ, ქართული სასულიერო მწერლობა.

ერთდროულად შეიძლება ჰუჯაბის მონასტერმა შეასრულოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არმენოლოგიის კათედრის სასწავლო ბაზის ფუნქცია სომხური მოსახლეობის სიახლოვის გამო.

ამას გარდა, შეიძლება ჰუჯაბში, როგორც ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვან ძეგლზე, საწარმოო ან სადიპლომო პრაქტიკა გაიაროს თბილისის უნივერსიტეტის, თბილისის სამხატვრო აკადემიისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის, ან არქიტექტურის ფაკულტეტების სტუდენტებმა.

ჰუჯაბის მონასტრის ჩრდილოეთით მიმდებარე ფერდობზე აშენდეს მონასტერში მოღვაწე პირებისა და სტუდენტებისათვის შესაფერისი შენობა ცხოვრებისა და მუშაობის თანამედროვე პირობებით.

განხორციელდეს სამონასტრო კომპლექსის სრულყოფილი და დაწვრილებითი ფოტოკინოფიქსაცია ფერად ფირზე. მის შესახებ შეიქმნას სასწავლო და სამეცნიერო ფილმები. გადაღებულ იქნას მხატვრულ-დოკუმენტური ტელეფილმი „ჰუჯაბის მოხსტერი“.

განხორციელდეს ამ რეგიონში საქართველოს ტელეგადაცემების მიღება.

ამ ღონისძიებათა გატარება, ვიმედოვნებ, ხელს შეუწყობს იმას, რომ ჰუჯაბის მონასტერი თავისი შემოვარენით დაუბრუნდეს (ახქერფელებთან ერთად) ქართულ სამყაროს.

გულიკო გუჯაბიძე,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი ფიზიკის კათედრის დოცენტი.

კანონრამა

ესპანეთის ქალაქ რიოხაში მცხოვრები 28 წლის სალვადორ რუისი არ გამოირჩევა ათლეტური აღნაგობით. მისი სიმაღლე 173 სანტიმეტრია, წონა — 67 კილოგრამი. მიუხედავად ამისა, მან რვა წამის განმავლობაში ხალხით დატვირთული მანქანის ზეწოლას გაუძლო.

სალვადორ რუისი სპორტის სამხედრო სახეობების ოსტატი და არაერთი ჩემპიონატისა თუ შეჯიბრების პრიზიორია. იგი თვლის, რომ ამ შედეგებს საკვების მიღების შემცირებით მიაღწია.

. . .

ფელიქს ლოიტინგერი საუკეთესო თუ არა, გამძლე მუსიკოსი მაინც არის: შვეიცარიის ერთ-ერთ რესტორანში იგი აკორდეონზე უკრავდა 103 საათის (ოთხი დღის) განმავლობაში.

. . .

რას სვამენ ამერიკელები? ბოლო დრომდე ამ კითხვაზე თავად ამერიკელები ერთსულოვნად უპასუხებდნენ — „ვისკის“. ამჟამად კი სტატისტიკა სხვა ტენდენციას ადასტურებს: 1961 წლიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გაორმაგდა მინერალური წყლების წარმოება და გამოყენება. საფრანგეთიდან ოკეანის გაღმა გატანილი სხვადასხვა სასმელის 75 პროცენტზე მეტი უალკოჰოლო პროდუქციას შეადგენს.

ამერიკელები ასევე სერიოზულად დაფიქრდნენ თამბაქოს მავნებლობაზე. მეოთხედი საუკუნის წინათ ამერიკის შეერთებულ შტატებში დაწყებული კამპანია მწეველთა წინააღმდეგ დღეს სასურველ შედეგებს აღწევს. ქვეყანაში მწეველთა რიცხვი 14 პროცენტით შემცირდა, რაც ამერიკელთა სამართლიან სიამაყეს იწვევს.

. . .

ესპანეთის ქალაქ სან-სებასტიანოს მკვიდრმა ინაკი პერურენამ გადააჭარბა მსოფლიოს მძიმე წონის ყველა მძლეოსანთა რეკორდს. მან ასწია 306,1 კილოგრამის წონის ბეტონის პრიზმა.

ᲙᲠᲘᲡᲢᲔᲚᲘ



თარაზულად: 2. მარადმწვანე მცენარე; 3. სახლის ტიპი, რომელიც გავრცელებულია მესხეთ-ჯავახეთში, თრიალეთსა და დასავლეთ საქართველოში; 6. მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ადამიანების წინაპრების ნამარხ ფორმებს; 12. დასარტყმელი ინსტრუმენტი; 13. ერთი და იმავე შინაარსის შემცველი ორენოვანი ტექსტი; 15. სახელმწიფო აღმოსავლეთ აფრიკაში; 17. ფარული დაცინვა; 19. ძველი ქალაქი მცირე აზიაში; 20. მაღლობი რუსეთის ვაკის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში; 22. ნახშირმჟავას მჟავური მარილები; 24. დამხმარე სიტყვა, რომელიც ახლავს არსებით სახელს (ინდოევროპულ ენებში); 25. ადამიანთა სოციალურ-ისტორიული ერთობის ფორმა; 27. ბამბის ქსოვილი; 29. შვეიცარიის დედაქალაქი; 30. მინერალი; 32. ტბა (რსფსრ) ნოვგოროდის ოლქში; 34. მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების ურთიერთკავშირსა და ურთიერთმოქმედებას; 38. გადაშენების პირას მისული ფრინველის სახეობა საქართველოში; 39. ასტრონომიული სხეული; 40. ქალაქი საქართველოში; 41. უქარობა.

შვეულად: 1. სანათი ხელსაწყო; 2. ხეხილოვანი მცენარე; 4. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეების გვარი შროშანისებრთა ოჯახისა; 5. თევზი კობრისებრთა ოჯახიდან; 7. გაზი; 8. უანგბადის ალოტროპიული სახეცვლილება; 9. გამჭვირვალე სხეული, შემოსაზღვრული სინათლის სხივების გარდამტები ორი ზედაპირით; 10. ქიმიური ელემენტი — მიეკუთვნება ჰალოგენებს; 11. ახალი ზელანდიის ფულის ერთეული; 14. ტბა შვეიცის სამხრეთ ნაწილში; 16. მდინარე საქართველოში; 18. ხელსაწყო წყლისა და ჰაერის გაუვნებლობისათვის; 21. გამოჩენილი რუსი ბუნებისმეტყველი, ნიადაგთმცოდნეობის ფუძემდებელი; 22. ბდაუჭა ნაყოფიან მცენარეთა კრებითი სახელი; 23. სანადირო და სარეწაო ცხოველი; 24. მარჯნის კუნძული; 25. სამონადირეო მეურნეობის მუშაკი; 26. მდინარე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში; 28. ელექტრული დენის წყაროს დადებითი ელექტროდი; 31. ობიექტური რეალობის საგანთა და მოვლენათა აზრობრივი წვდომის ფორმა; 33. სიგრძის ერთეული; 35. ლითონი; 36. მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ცოცხალ ორგანიზმებსა და გარემოს შორის სტრუქტურულ და ფუნქციურ დამოკიდებულებებს; 37. ესპანელი ფერმწერი, გრაფიკოსი.

შეადგინა ციური გაღაშვილმა

მე-9 ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. ხიო; 6. პერიოდი; 13. ახპირანტი; 16. იზოლატორი; 18. ჰანდიკაპი; 21. სტიპენდია; 28. ტალანტი; 31. ილი.

შვეულად: 1. ესპარცეტი; 2. კომპოზიტი; 9. კურსივი; 12. აზავერი; 14. სია; 17. როი; 20. იდეოლოგია; 21. სემინარია.

რკალურად: 1. ესტამპი; 2. კომედია; 4. ეტლი; 5. არზა; 7. იარა; 8. რაჯა; 10. იაგო; 11. ხაფანგი; 13. აგარაკი; 15. ნიკე; 18. ჰორაციო; 19. ალოე; 22. აული; 23. მორი; 24. შიქასტა; 25. ატლანტა; 26. დიორამა; 27. იენა; 29. ანძა; 30 რიგა.

ᲞᲐᲜᲝᲠᲐᲛᲐ

ᲐᲠᲥᲘᲕᲘ

თამბაქოს წევა რომ საზიანოა, ეს ყველასათვის ცნობილია. მაგრამ აღმოჩნდა, რომ უფრო მავნებელია მისი ღეჭვა. ამერიკული გაზეთის „დეილი უორდ-ის“ მონაცემებით ამერიკელ ბეისბოლისტთა ერთ ნაწილს, თამაშისას ღეჭავს ან ყნოსავს თამბაქოს, სერიოზულად დაუავადდათ ონკოლოგიური

. . .

„გინესის რეკორდების წიგნს“ კონკურენტი გამოუჩნდა. ესპანეთში გამოიცა უჩვეულო ამბებითა და საოცრებებით სავსე კრებული.

აი, ზოგიერთი მათგანი.

1988 წელს ბასკმა ანტკსონ ანდუაგამ კარნავალის დროს ხელი ჩამოართვა 16610 მოქალაქეს.

ესპანეთის პოლიცია არ თმობს პირველობას ნარკოტიკების კონტრაბანდის კონფისკაციის საქმეში.

ანდონი ბახტერეტკსეას შეუძლია წუთნახევარში 424 მოლუსკი გადასანსლოს.

მადრიდის მკვიდრი ვალენტინ მუნიესი ათი წუთის მანძილზე ოც კილოგრამ ქათმის ხორცს მიირთმევს.

ხოპეს კრუხეხმა მოამზადა ხუთკილომეტრიანი ხორცის ძეხვი (ბატონი), რომელიც ორმოცი ათასი კაცისათვისაა გაანგარიშებული.

41 წლის უცოლო ფელიქს პადილია 28 დღეღამისა და 31 წუთის განმავლობაში ცეკვავდა დისკოკლუბში საათნახევრიანი შესვენებებით. ამ ხნის მანძილზე იგი იკვებებოდა მხოლოდ მაწვნით, წვენებით, ბუტერბროდებითა და მწვანილით. ფელიქსი არ ეწევა და არ სვამს ალკოჰოლურ სასმელებს.

. . .

90 წლის შვეიცარიელი მარიო ბორადორი მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ეძებდა საშუალებას სახელმოხვეჭილი გამხდარიყო.

და აი, ახლახან იგი გადმოხტა პარაშუტით 4 ათასი მეტრის სიმაღლიდან. ბორადორის ასაკის გათვალისწინებით ეს ფაქტი შეტანილია „გინესის რეკორდების წიგნში“.

. . .

იტალიის ქალაქ მილანში რესტორან — ჰოტელის „ჰილტონის“ ადმინისტრაციამ საკუთარი კლიენტების დროის დაფასების მიზნით ანგარიშსწორების ახალი სისტემა შემოიღო: რესტორნის სტუმარი იხდის არა მენიუში აღნიშნული კერძის საფასურს, არამედ იმ შესაბამის თანხას, რაც კერძის ჭამაზე დახარჯა.

. . .

მსოფლიოში ყველაზე მსუქანმა ადამიანმა, უოლტერ ჰადსონმა, რომელიც 400 კგ-ზე მეტს იწონის, გადაწყვიტა წონა მოიკლოს.

ნიუ-იორკელი უოლტერის წამება 18 წლის წინათ დაიწყო, როცა იგი 25 წლისა იყო. უოლტერი ჭამდა უწყვეტად და მცირედენი შესვენებაც კი საშინლად აგრესიულს ხდიდა. ყოველ დილას ჰადსონი იწყებდა ორი კილოგრამი ღორის ხორცისა და ამავე რაოდენობის შაშხის ჭამით, რასაც სამ ლიტრზე მეტ „კოკა-კოლას“ აყოლებდა.

უოლტერი ოთახიდან ვეღარ გამოდიოდა. ერთხელ დაეცა და ვერ ადგა, ვიდრე სახანძრო რაზმი არ გამოიძახეს. ამის შემდეგ მან მტკიცედ გადაწყვიტა გამხდარიყო და შედეგსაც მიაღწია — 240 კგ იწონის. „ახლა მე ვჭამ ორ დღეში ერთხელ“ — ამბობს უოლტერი — და ვიმედოვნებ. წელიწადნახევარში 90 კგ-მდე დავალ“.

გარეკანის პირველ გვერდზე: „შემოდგომის ბარაქა“. ფოტოეტიუდი ბონდო დვალიშვილისა.

მეოთხე გვერდზე: ჰუჯაბის მონასტერი.

გადაეცა წარმოებას 21. 07. 89. ხელმოწერილია დასაბეჭდად 26. 09. 89. უე 08413 ქაღალდის ზომა 70×108 1/8. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,69. ტირაჟი 50.000 შეკვეთა 1735. ფასი 35 კაპ.

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.

Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებათა გამგეების 9328-42, 99-01-39, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

4. რუსეთის სახალხო არტისტი ნატალია გუნდარევა და თბილისის N3-ე საშუალო სკოლის III კლასის მოწაფე ნინო კოღუაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათებზე: 1. დამდგმელი რეჟისორი გიორგი დანელია და მთავარი ოპერატორი ვადიმ იუსოვი ფილმ „პასპორტის" გადაღებისას.

ძმები პაპაშვილების ამაღელვებელი ისტორია დაედო საფუძვლად ფილმ „პასპორტ"-ს, რომელსაც იღებს დამდგმელი რეჟისორი, სსრკ სახალხო არტისტი გიორგი დანელია. სცენარის ავტორები არიან რეზო გაბრიაძე, გიორგი დანელია და ალექსანდრე ჰაიტი, ფილმის პროდიუსერია კონსტანტინე ალექსანდროვი (საფრანგეთი), მთავარი ოპერატორი — ვადიმ იუსოვი.

საფრანგეთის ფირმა „პასპორტ პროდუქციონის" წარმოების ახალ ფილმში მონაწილეობენ ცნობილი საბჭოთა და ფრანგი მსახიობები: უერარ დარმონი, რუსეთ სახალხო არტისტი ნატალია გუნდარევა, სსრკ კავშირის სახალხო არტისტი არმენ ჯიგარხანიანი, რუსეთ სახალხო არტისტი ოლეგ იანკოვსკი და სხვები.

ცხოვრობდა ორი ნახევარძმა — ქართველი მერაბი და ებრაელი იაშა პაპაშვილები. იაშა ისრაელიდან ვიზას ღებულობს, მერაბი აცილებს მას მოსკოვამდე. შერემეტიოვოს აეროპორტში კი მერაბი შემთხვევით აღმოჩნდება იაშას ადგილას, რომელიც გარეგნულად ძალიან ჰგავს, და მის ნაცვლად მიფრინავს ვენის გავლით ისრაელში, სადაც ხდება ფილმის უმნიშვნელოვანესი კოლიზიები.

ახალი ფილმი 1990 წლის მაისში გამოვა ეკრანებზე, ჯერჯერობით კი გადამღები ჯგუფი მთელი დაძაბვით მუშაობს თბილისსა და მოსკოვში.





ფოტო ბონდო დვალიშვილისა

b46/136

ეროვნული ბიბლიოთეკა
NBG 0-1-E-C-5-0 76056